ჩვენი თეატრი

სახელგამი
თბილისი 1938

ლიტერატურა-სტატისტიკური კომკავშირის ოსტატები



საქართველოს სამხატვრო მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

1938

სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1938 წელი. სექტემბერი

12-773

ბიბლიოთეკა-ბ
Библиотека-
имени
Акад. Н. Гераш
Академия

შინაარსი

	გვ.
სახელოვანი იუბილე	3

მხატვრული ლიტერატურა

ალიო მაშაშვილი — ლენინურ კომკავშირს	9
იოსებ მჭედლიშვილი — შევარდენი . .	10
ი. გრიშაშვილი — თბილისი . . .	24
ლადო ბალიაური — ელვიანი ღამე . . .	25
ალექსანდრე საჯაია — * * . . .	36
სანდრო ყღენტი — ჭაბუკი	37
ვ. ავალიანი — კლარა	39
ივ. შაიშმელაშვილი — არწივის სიკვდილი .	46
მ. ზონენაშვილი — დედის გული . . .	56
შალვა ამისულაშვილი — ამბავი ოქროს საბა-დოებში	63
ვლადიმერ უბილავა — სიმღერა . . .	65
რევაზ მარგიანი—აზერბაიჯანი . . .	66
როუე ბელანუე — ოცი წლისა ვარ . . .	69

კრიტიკა

აკ. გაწერელია — ერნესტ ჰემინგუეი . .	79
ერ. ასტვაცატუროვი—კომკავშირი და საბჭო-თა ლიტერატურა	88

პასუხისმგებელი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე
პასუხისმგებელი მდივანი ნიკ. აბიაშვილი

გადაეცა წარმოებას 23/IX — 38 წ. ხელმოწერილია დასაბეჭ. 10/X — 38 წ. 6 ფორმა. ანაწყობი ზომა 6½ ×11. ქაღ. ზომა 70×105. მთავლიტის რწმუნებულის № 3749. შეკვ. № 1782. ტირაჟი 6000.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ჟორესის ქ № 5.



სახელოვანი იუბილე

„ახალგაზრდობა — ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედია, ამხანაგებო. ჩვენ, მოხუცები, ახალგაზრდობამ უნდა შეგვცვალოს. მან ჩვენი დროშა საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მიიტანოს". ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგი **სტალინის** ეს სიტყვები — წარმოთქმული დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ხრულიად საკავშირო ყრილობაზე — გამოხატავს იმ დიდ მშობლიურ სიყვარულს, იმ დიდ პოლიტიკურ ნდობას, რომლითაც აღჭურვა საბჭოთა ახალგაზრდობის მილიონები მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, საბჭოთა ხალხმა, ლენინ-სტალინის პარტიამ. ლენინურ-სტალინური კომკავშირი მთელი თავისი არსებობის მანძილზე თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა და უფრთხილდება ამ პოლიტიკურ ნდობას. საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე საბჭოთა ახალგაზრდობამ გვიჩვენა შრომის, სამშობლოს სიყვარულის, ბოლშევიკური პარტიისადმი ერთგულების, მტრისადმი სიძულვილის წარმტაცი და აღმაფრთოვანებელი მაგალითები; ჩვენი სამშობლოს აყვავებამ, მისმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა სიმძლავრემ სულიერი და ფიზიკური განვითარების მდიდარი შესაძლებლობა შეუქმნა საბჭოთა ახალგაზრდობას. ბუნებრივია, რომ ამ ბედნიერი ცხოვრების ატმოსფერაში ახალგაზრდობის რიგებიდან წამოიზარდნენ ასეული ათასობით შესანიშნავი ადამიანები, ჩვენი სამშობლოს საამაყო შვილები, საბჭოთა ლაკვარდების ამაყი შევარდნები, მამაცი მესაზღვრენი, გაბედული მეზღვაურები, საუკეთესო საბჭოთა მეცნიერები, ინჟინრები და სტახანოველები, სოციალისტური წარმოების ხელმძღვანელები, სარეკორდო მოსავლის ორგანიზატორები, კულტურისა და ხელოვნების საუცხოო ოსტატები.

საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ კომკავშირელები და ახალგაზრდა მუშები — სტახანოველთა მოწინავე რიგებში იმყოფებიან; სტახანოვური მოძრაობის — ამ ნამდვილი ხალხური მოძრაობის ინიციატორთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ახალგაზრდობას. თავისი პირველი ისტორიული რეკორდი სახელოვანმა მნგრეველმა ალექსი სტახანოვმა — რევოლუციურ ახალგაზრდობის საბრძოლო დღესასწაულს — ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს მიუძღვნა. კომკავშირელმა პეტრე კრივონოსმა დაიწყო სტახანოვური მოძრაობა ტრანსპორტზე, მსუბუქ მრეწველობაში პირველი სტახანოველები იყვნენ კომკავშირელი ქალიშვილები — ვინოგრადოვა და ოდინცოვა, სოფლის მეურნეობაში პირველად კომკავშირელებმა — დემჩენკომ და გნატენკომ — დაამყარეს სტახანოვური რეკორდები. ფაბრიკებისა და ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საუკეთესო სტახანოველთა შორის, რომელნიც დაჯილდოვებულნი არიან საბჭოთა მთავრობის მიერ ორდენებით — ითვლებიან ასობით ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნენი. მთელი ქვეყანა იცნობს მათს სახელებს, მათით ამაყობს ლენინური კომკავშირი.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები თავისი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები არიან. სამშობლოს სადიდებლად და სასახელოდ

კომკავშირი ზრდის ურიცხვ გმირებს. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანებმა კარგად იციან, რომ ანმტკიცებენ რა სოციალიზმის ქვეყნის ეკონომიურ და თავდაცვითს სიძლიერეს — ისინი ამით სჭედენ არა მარტო ახლანდელ და მომავალ თაობათა ბედნიერებას, არამედ ასრულებენ თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე, ეხმარებიან მას კაპიტალიზმთან ბრძოლაში, ამაგრებენ საერთაშორისო მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ფრონტს. ამიტომ ასე ბეჯითად ეუფლება ჩვენი ახალგაზრდობა მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს, ამიტომ ასეთი გატაცებით მუშაობს იგი წარმოებაში, ამიტომ ასეთი დიდი სიხარულით იღებს ხელში შაშხანას და დგება საბჭოთა კავშირის საზღვრების სადარაჯოზე.

ამ უკანასკნელ ხანებში კომკავშირის რიგებს მიემატა მილიონ-ნახევარზე მეტი ახალი წევრი. ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება, სამშობლოს მგზნებარე სიყვარული არის ის უკვდავი ძალა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მოქალაქე მიჰყავს კომკავშირის რიგებამდე. ზაოზერნაიას სიმაღლეებზე იერიშის წინ უმცროსმა მეთაურმა კარპოვმა შეიტანა განცხადება კომკავშირში მიღების შესახებ; მარჯვე სნაიპერმა კარპოვმა წინადღესაც ისახელა თავი სამურაებთან ბრძოლაში. ახლადმისულმა კომკავშირელმა ორი საათის შემდეგ თავის ამხანაგებთან ერთად, თავის ასეულთან ერთად ბრძოლით პრაქტიკულად დაუმტკიცა ქვეყანას, რომ იაპონელი სამურაების ბინძური ფეხი ვერასოდეს გასთელავს თავისუფალ საბჭოთა მიწას. იმავე ბრძოლებში საკავშირო ოცეულის კომკავშირის ორგანიზატორს ალექსანდრე პატრიშევს იერიშის წინ მებრძოლებმა ტრუბინოვმა, რაკინმა და ისაკოვმა გადასცეს განცხადებები კომკავშირში შესვლის შესახებ. ამის შემდეგ ისინი გაასკეცებული ენერგიით წავიდნენ იერიშზე. კომუნისტებთან ერთად კომკავშირელები ცეცხლის საზღვარზე პირველ რიგებში იდგნენ. მათ გვიჩვენეს გმირობის სასწაულები. ამხ. ხუდიაკოვის სატანკო ეკიპაჟი სამი დღის განმავლობაში არ გამოსულა ბრძოლიდან, ვიდრე მთლად არ გაიწმინდა ჩვენი ტერიტორია სამურაებისაგან. კომკავშირელი კოშელევი ორი დღეღამის განმავლობაში მარტო დარჩა ტანკში და მაინც მარჯვე და მიზანაუცდენელი სროლა არ შეუწყვეტია. გიქტორ ანდრეევი საბრძოლო მანქანის მეთაური, კომკავშირის ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრი, სამჯერ მონაწილეობდა იაპონელების წინააღმდეგ იერიშში. შეუძლებელია ჩამოთვალო ყველა ახალგაზრდა გმირის სახელი, რომელნიც აღზარდა და რომელთაც ზრდის ბოლშევიკური პარტია.

ისინი ყველგან არიან, მათი გმირობის ნაკვალევი ნათლად აღბეჭდილია ყველგან — ჩვენი ქვეყნის მილიონობით კვადრატულ კილომეტრებზე გადაჭიმულ ფართობზე. არ არსებობს მათთვის დაბრკოლება, როცა საქმე ეხება პარტიის დავალების შესრულებას. ეს სახელოვანი ტრადიცია თან სდევს კომკავშირის მთელ ისტორიას, თან სდევს მისი 29 წლის ბრძოლასა და შრომას.

თავის დაარსების დღიდან დღევანდლამდე კომკავშირი იყო და არის ერთგული თანაშემწე პარტიისა, მისი რეზერვი და ღირსეული შვილი. იმ დღეებიდან, როცა ყალიბდებოდა მისი პირველი უჯრედები — კომკავშირი არის კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლი დიდი არმიის მეომარი, პარტიის ხელმძღვანელობით იგი ზრდიდა და ამოქმედებდა ახალგაზრდობის სულ ახალ-ახალ ფენებს ჩვენი სამშობლოს მტრებთან საბრძოლველად. ვის არ ახსოვს სამოქალაქო ომის ქარიშხლიანი წლები: ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა განსაცდელში იყო; უკრაინას ესეოდნენ გერმანიის დივიზიები, დონზე დათარეშობდა კალედინი, არხანგელსკში ინგლისელებმა გადმოსხეს დესანტი, იაპონელები შემოიჭრნენ ციმბირში, კოლჩაკის ბანდიტები ოროქლმავლის ქვაბში წვავდნენ დატყვევებულ პარტიზანებს, გენერალ სლაშჩევს საღრჩობელაზე აჰყავდა ბავშვები, კავკასიელი ნაციონალისტები ვაჭრობდნენ ნავთითა და სამშობლოთი, იუდენიჩი უახლოვდებოდა პეტროგრადს.

და ამ მძიმე დღეებში ბრწყინვალედ გაიმარჯვა თავისუფლებამ, გაიმარჯვა ძლევამოსილმა საბჭოთა პატრიოტიზმმა. პარტიის მოწოდებით, ლენინისა და სტალინის

ხელმძღვანელობით მშობლიურ მიწის დასაცავად ფეხზე დადგნენ მილიონობით ადამიანები. როგორც კი თავის პირველ ყრილობაზე, რომელიც მოწვეული იქნა 1918 წლის 29 ოქტომბერს, — კომკავშირმა გააფორმა თავისი არსებობა, — მან პარტიის მითითებით მთელი ყურადღება სამოქალაქო ომის ფრონტებზე გადაიტანა. 1919 წლის მაისში კომკავშირმა ჩაატარა თავისი რიგების პირველი მობილიზაცია და გაგზავნა სიმამაცით აღსავსე ახალგაზრდობა აღმოსავლეთის ფრონტზე — კოლჩაკის წინააღმდეგ. კომკავშირის მეორე ყრილობის, — რომელიც მოწვეული იქმნა 1919 წლის 5 ოქტომბერს — მთავარი საკითხი იყო კომკავშირელთა მობილიზაცია სამხრეთის ფრონტისათვის — დენიკინის წინააღმდეგ. რომ უკეთ დახმარებოდა წითელ არმიას, უკეთ განეხორციელებინა ლენინისა და სტალინის მითითებანი, უკეთ ემუშავა ფრონტისა და წითელი არმიის ზურგის მომსახურებისათვის — ამისთვის მეორე ყრილობამ დაადგინა კავშირის წევრთა მობილიზაცია 16 წლის ჰასაკიდან. ორგანიზაციებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ სამხრეთის ფრონტის გამაგრებულ სექტორში — ორიოლმა, ტულამ, ვორონეჟმა, ტამბოვმა, რიაზანმა, კალუგამ და მოსკოვმა — მოახდინეს საყოველთაო მობილიზაცია. ეს მობილიზაცია უდიდესი აღმავლობით ჩატარდა, მან მისცა ფრონტს ათი ათასი თავგანწირული მებრძოლი. როცა იუდენიჩი უახლოვდებოდა პეტროგრადს — პარტიამ დარაზმა პიტერის მუშათა კლასი — ქალაქის მახლობელ მიდამოებთან მოსული მტრის გასანადგურებლად. კომკავშირლები აქაც მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ, მობილიზებული იქნა ათას ხუთასი კომკავშირელი. როცა დაიწყო ანტანტის მესამე ლაშქრობა და პოლონელი პანები შემოიჭრნენ უკრაინაში — მაშინ გამოცხადდა კომკავშირის სრულიად რუსეთის მესამე მობილიზაცია, ფრონტზე მიდიოდნენ მთელი ორგანიზაციები, უჯრედები და რაიკომები სრული შემადგენლობით და სიცოცხლის ფასად იცავდნენ სამშობლოს.

ამ საბრძოლო დამსახურებათათვის სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბჭოთა მთავრობამ კომკავშირი და მისი სახით მოწინავე მშრომელი ახალგაზრდობა დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით.

კომკავშირის მესამე ყრილობაზე ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა დიდი ლენინი. მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდმა ბელადმა რევოლუციური ახალგაზრდობის საბრძოლო ორგანიზაციის წინაშე მთავარ ამოცანად დააყენა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის, მისი. ბოლშევიკურად გამოწრთობის, სწავლისა და კულტურის დაუფლების საკითხი. ლენინის ეს გენიალური მოხსენება გზის მანათობელ შუქურა ვარსკვლავად მიუძღოდა და მიუძღვის კომკავშირს. საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებასთან ერთად ეძლეოდა შესაძლებლობა კომკავშირს წასულიყო წინ და ებრძოლა ახალი მწვერვალების დაპყრობისათვის. დამთავრდა სამოქალაქო ომი. დაიწყო სამეურნეო მშენებლობის დაძაბული წლები. ხალხთა მილიონებმა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით არნახული სისწრაფით აღადგინეს იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების დროს დანგრეული მეურნეობა. ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი ქვეყანა გადაგვეყვანა თანამედროვე ინდუსტრიისა და მაშინიზებული სოფლის მეურნეობის რელსებზე, შეგვექმნა მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, პირველხარისხოვანი ინდუსტრია, რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების სოციალისტური ფორმების განვითარების საფუძველზე მიგვეღწია ექსპლოატატორთა კლასების სრული მოსპობისთვის.

ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინის საუკეთესო მოწაფისა და თანამებრძოლის, ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის მეთაურობით ბრწყინვალედ განახორციელა ეს ამოცანა, კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის აშენების ამოცანა.

ჩვენი ქვეყნის ამ გრანდიოზული აყვავების უახლოესი მონაწილე იყო და არის ლენინ-სტალინური კომკავშირი. მთელი ამ წლების მანძილზე კომკავშირი გამოდიოდა და გამოდის როგორც ღირსეული თანაშემწე და ერთგული შვილი ბოლშევიკუ-

რი პარტიისა. ასეული ათასობით ახალგაზრდობა და კომკავშირლები—ბოლშევიკური პარტიის გაწვევით — გმირულად მუშაობდნენ პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების ინდუსტრიული გიგანტების მშენებლობაზე. ჩვენი ახალგაზრდობა გვიჩვენებდა შრომითი აღმავლობის სასწაულებს. „...პარტიამ მოაწყო ფართო სოციალისტური **შეჯიბრება** და მასობრივი **შრომითი აღმავლობა** ფაბრიკებსა და ქარხნებში. პარტიის XVI კონფერენციის მოწოდებამ შეჯიბრების შესახებ საქმე რელსებზე დააყენა. დამკვრელ ბრიგადებს ეს საქმე უფრო წინ მიჰყავთ. ლენინური კომკავშირი და მუშა-ახალგაზრდობა, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, აგვირგვინებენ შეჯიბრების და დამკვრელობის საქმეს გადამწყვეტი წარმატებებით. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენმა რევოლუციურმა ახალგაზრდობამ ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა" (სტალინი). საბჭოთა ახალგაზრდობის ამ თავდადებულმა მუშაობამ მაღალი შეფასება მიიღო საბჭოთა მთავრობის მიერ. 1931 წელს კომკავშირი დაჯილდოვებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, უსაზღვროდ გაიზარდა კომკავშირის ავტორიტეტი, იგი გადაიქცა მრავალმხრივ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სკოლად.

სტალინურმა კონსტიტუციამ აღბეჭდა და დაკანონა საბჭოთა ახალგაზრდობის შრომის, განათლებისა და დასვენების უძვირფასესი უფლებები. საბჭოთა ახალგაზრდობისთვის შექმნილია ამ უფლებების განხორციელების ყველა პირობა, მისთვის ღიაა ყველა უნივერსიტეტების და აკადემიების კარები. ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი მშრომელი ახალგაზრდობა მუშათა კლასის ყველაზე უუფლებო ნაწილია. ბურჟუაზიულ ქვეყნებში სკოლას ერთი ფუნქციაღა რჩება: იგი ამზადებს კადრებს უმუშევართა არმიისთვის. უფრო უარეს და საშინელ დღეშია იმ ქვეყნის ახალგაზრდობა, სადაც ფაშიზმმა მოახერხა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ფაშიზმმა მოაწყო იძულებითი შრომის ბანაკები, აკრძალა ფაბრიკებსა და ქარხნებში იმ ახალგაზრდობის მუშაობა, რომელთაც არ შესრულებიათ ოცდა ხუთი წელი და იძულებითი შრომის ბანაკი არ გაუვლიათ.

ჩვენთან კი შრომა სახელისა და დიდების საქმედ იქცა, ჩვენთან შრომა გახდა ადამიანის აუცილებელ მოთხოვნილებად, სასიხარულო და შემოქმედებითი პროცესად. ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებს მართავენ და წინუძღვიან ადამიანები — წამოწეულნი მშრომელთა წრიდან, ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მოკლე სამუშაო დღეა მთელს მსოფლიოში, მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს მიერ ყოველმხრივ და სავსებით გარანტირებულია შრომის, განათლების და დასვენების უფლებათა სრული განხორციელება.

საბჭოთა ახალგაზრდობას აქვს უდიდესი პოლიტიკური უფლებები, საბჭოთა ხალხმა თავის უმაღლეს საბჭოში აირჩია ორას ოთხმოცდა ოთხი ახალგაზრდა, მათგან ორმოცდა ათი ქალიშვილი; საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად არჩეული იქნა ორმოცდა ხუთმეტი ახალგაზრდა პატრიოტი.

ხალხის მტრები ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდიტები არაერთხელ შეეცადნენ გაეთიშათ კომკავშირი პარტიისაგან, აეცდინათ ჩვენი ახალგაზრდობა ლენინურ-სტალინურ გზიდან. ტროცკისტები, ზინოვიევეტლები, მემარჯვენე რესტავრატორები, ყველა ეს კონტრრევოლუციური დაჯგუფებანი, რომელნიც ერთ მყრალ ფაშისტურ გორგლად გადაიხლართნენ—ცდილობდნენ მოეწამლათ ახალგაზრდობის შეგნება სოციალიზმისადმი რწმენის უქონლობით, მტრები მოქმედებდნენ პროვოკაციის, სიცრუის და ყველა ბინძური საშუალებებით, რომ გამოეყენებიათ ახალგაზრდობა პარტიის წინააღმდეგ საიერიშოდ. მტრების ამ ცდებმა სასტიკი მარცხი განიცადეს, ლენინურ-სტალინური კომკავშირი აქაც თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა და ყოველმხრივი დახმარება გაუწია პარტიას ფაშისტური დაზვერვების მიერ მოგზავნილი მკვლელების და ჯაშუშების ბანდების განადგურების საქმეში. ლენინ-სტალინის პარტიამ ახალგაზრდობაში აღზარდა რევოლუციური სიფხიზლე და რკინისებური ნების-ყოფა, მახვილი ბოლშევიკური თვალი და ორგანიზატორული ნიჭი, უაღრესად დახ-

ვეწილი პროლეტარული ალღო. ლენინ-სტალინის პარტიამ აღზარდა და ზრდის კომკავშირულ ახალგაზრდობას რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკის მეოხებით. საბჭოთა ახალგაზრდობამ, ლენინურ-სტალინურ კომკავშირმა — მტერთან, ფაშისტურ დაზვერვათა აგენტებთან ბრძოლაში — ნათელყო, რომ იგი ღირსეული შვილია თავისი დიდი დედის — საკავშირო კომუნისტური პარტიისა.

„ჩვენს სამშობლოში მშვიდობიანობის პირობებში იზრდება ახალი ადამიანი, ნათელმოსილი აწმყოსი და მხიარული მომავლის ადამიანი.

ეს არის ფიზიკურად ჯანსაღი, ყოველმხრივად განვითარებული პიროვნება, ცხოვრებაში მრავალფეროვანი ინტერესებით და მოთხოვნებით: ესენი არიან დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობათა, მაღალ შემოქმედებითი აღმაფრენის ადამიანები.

ესენი არიან კულტურის მაღალი დონის ადამიანები, რომელნიც სპობენ წინააღმდეგობას გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის“ (ა. კოსარევი).

განვლილი 20 წლის მანძილზე საქართველოს კომკავშირი დაუღალავ მუშაობას აწარმოებდა არა მარტო სამეურნეო ფრონტებზე, არამედ კულტურის სფეროშიც.

საქართველოს კომკავშირმა აღზარდა ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტების მთელი თაობები, კომკავშირის რიგებიდან დაწინაურდნენ ორდენოსანი პოეტი ალიო მაშაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ეს იყო კომკავშირის პირველი გაწვევა პოეზიის ფრონტზე. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე აღიზარდნენ გ. კაჭახიძე, კ. ბობოხიძე, ირ. აბაშიძე, ალ. გომიაშვილი, გრ. აბაშიძე და სხვები.

იზრდებიან ახალგაზრდა პოეტების ახალი კადრები.

ეს ზრდა არასოდეს იზოლირებული არა ყოფილა კომკავშირის მჩქეფარე ცხოვრებისაგან. იგი აძლევდა ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს შთაგონების ძალას, ლენინ-სტალინის პარტიის საქმე აღაფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს მათ ახალი საუკეთესო ნაწარმოებების შესაქმნელად, ჩვენი ახალგაზრდა პოეტები იზრდებიან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის ზრდასთან ერთად.

არ არის ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მოღვაწეობის არც ერთი სახე, სადაც ახალგაზრდობა მონაწილეობას არ იღებდეს ნაყოფიერ შემოქმედებითი მუშაობაში.

20 წლის მანძილზე გავლილია დიდი გზა, დაძლეულია ბევრი სიძნელენი, მოპოებულია მრავალი გამარჯვებანი, მაგრამ ბოლშევიკებისთვის უცხოა თვითდამშვიდება და თვითკმაყოფილება. ლენინურ-სტალინური კომკავშირის წინაშე სდგას უდიდესი ამოცანები. მან უნდა უმეთაუროს ახალგაზრდობის პოლიტიკურ აქტივობას, რომელიც დღითი-დღე იზრდება, იგი უნდა ზრდიდეს ახალგაზრდობის ახალ ფენებს მარქსიზმ-ლენინიზმის მებრძოლი სულისკვეთებით, მტერისადმი სიძულვილის დაუცხრომელი სულისკვეთებით. კიდევ წინ არის უდიდესი ბრძოლები, რადგან ჩვენ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვცხოვრობთ, ფაშიზმი ამზადებს ომს ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ. ასეთ პირობებში ახალგაზრდობის ამოცანაა იყოს ყოველწუთში მზად, დააგროვოს ცოდნა და დაეუფლოს ბოლშევიზმს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება კომკავშირი კომუნიზმისთვის მებრძოლთა ღირსეული ცვლა. სიფხიზლის ამაღლების, ამ გრძნობის — გამახვილების გარეშე შეუძლებელია ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდა. ვისწავლოთ მტრის აღმოჩენა, გამომუღავნება და განადგურება — ეს საპატიო ამოცანაა ყოველი კომკავშირელისთვის, ყოველი საბჭოთა ახალგაზრდისთვის. არ არსებობს ახალგაზრდობის აღზრდისთვის უფრო უკეთესი საშუალება, ვიდრე ბოლშევიზმის გმირული ტრადიციების შესწავლა და ათვისება. უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი — ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის პირველი ჭეშმარიტად მეცნიერული ლენინურ-სტალინური სახელმძღვანელო. ეს წიგნი შექმნილია დიდი სტალინის ინიციატივითა და უახლოესი პირადი მონაწილეობით, აღნიშნული სახელმძღვანელო ნათელ შუქსა ჰფენს ლენინურ-სტალინური ფოლადისებური გვარდიის განვლილ ბრწყინვალე გზას, იგი გვამდიდრებს ბოლშევიკური პარტიის გიგანტური ის-

ტორიული გამოცდილების ცოდნით, გვეხმარება ბოლშევიზმის დაუფლებაში, გვიმაღლებს პოლიტიკურ სიფხიზლეს, გაგვიმტკიცებს ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების რწმენას.

საბჭოთა ახალგაზრდობა მისთვის ჩვეული გატაცებით და დაუცხრომელი ენერგიით უნდა დაეწაფოს ამ სტალინურად ბრძნული მეცნიერული შრომის შესწავლას. ამ წიგნით უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ ბრძოლისა და გამარჯვების ბოლშევიკური ხელოვნება. ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლა — ეს საუკეთესო სკოლაა, სკოლა ცხოვრებისა, რომელსაც არა ერთი უშიშარი, მედგარი თავგანწირული და კეთილშობილური თაობა გაუზრდია. ამ დიად სკოლაში, კომუნიზმის მშენებელთა სკოლაში იზრდება ჩვენი ახალგაზრდობა.



ალიო მაშაშვილი

ლენინურ კომკავშირს

როგორ ვიზარდეთ, — ნალმის ნათელით
ძლივს მიიკვლევდენ გზას ათიოდე,
მტერს მიჰკიოდენ სამგზის გათელილს
და შეტევაზე გადადიოდენ!

როგორ ვიზარდეთ, — ქარში ალივით,
აწმყოც ჩვენია და მომავალიც,
თავზე გვევლება მამა სტალინი
ხალხში მზესავით ამომავალი!

მუდამ მებრძოლი და მოწინავე
გულდაგულ რას არ გამკლავებია,
თვალნი მრავალნი, ძირს რომ ბრწყინავენ, —
ცას მოწყვეტილი ვარსკვლავებია!

ბრძოლის დღეები კიდევ წინ არი, —
მტერს რომ აწვება გულის დარდებად,
გმირთა ლაშქარი დაუძინარი
ისევ ქარიშხლად ამოვარდება!

ისევ ჰქუხს ჩემი ლექსის ნალარა, —
ვით უწინ, ახლაც მხნე და გმირული,
თუმც გამერია თმაში ჭალარა,
გული მაინც მაქვს კომკავშირული!

იოსებ ფეფლიშვილი

შევარდენი

სამოქალაქო ომი ჯერ არ იყო გათავებული.

გარეშე მტრისაგან წაქეზებული თეთრები კვლავ განაგრძობდნენ თავიანთ სისხლიან საქმეებს და საბჭოთა ქვეყანა არ იყო ჯერ ჩამდგარი მშვიდობიანობის კალაპოტში. ათასნაირი ხალხი ირეოდა ქუჩებში და ყველას ნერვიულობა ეტყობოდა, როგორც სიარულში, ისე ლაპარაკში.

სხვებთან ერთად მეც ტრამვაის ვაგონის გაჩერებასთან ვიდექ, ჩემს პირდაპირ, ქუჩის გადაღმა ერთს შავად გაქონილს, თმააბურძგვნილს, ცხრა წლის ბავშვს მოვკარ თვალი. მისმა უცნაურმა მანჭვა-გრეხამ მეც გამართო. ფეხშიშველა, თავშიშველა, ნახევრად ტანშიშველა დადიოდა იგი წინ და უკან, თან იგრიხებოდა, ხტოდა და თან რაღაცა სიმღერას მღეროდა.

მის სახეზე და ტანზე შორიდანაც კარგად მოსჩანდა, თუ რამსიღრმედ იყო ჩამკვდარი შიგ დიდი ხნის ჭუჭყი.

შემეცოდა, სიბრალულის ფიქრებმა წამიღეს, გადამაფრინეს ახლო წარსულში და ვამბობდი ჩემთვის: „ვინ იცის ვინ არის?“

ამ ფიქრებით ვუყურებდი იმ თმააბურძგვნილ ბავშვს, რომელიც ჯოჯოხეთიდან ამომძვრალი ჭინკა გეგონებოდათ.

იმის ყურებაში და ფიქრებში რომ ვიყავ, უეცრად ვიღაცის საქმიანობა ვიგრძენ ჩემს ჯიბესთან; არ მივიხედე, ხელუკულმა ვწვდი და ხელში შემრჩა სწორედ ისეთივე თმააბურძგვნილი, თავიდან-ფეხებამდე შავად გაქონილი, ფეხშიშველა და ნახევრად ტანშიშველა ცხრა წლის ბიჭი.

თან შეპყრობილს ვეჯაჯგურებოდი და თან იმ ბიჭისკენ ვიყურებოდი, რომელზედაც სიბრალულითა ვფიქრობდი, მაგრამ ის ისე უეცრად გამქრალიყო, რომ ველარ გამოვერკვიე, თვითონ ის დავიჭირე, რომელსაც ვუყურებდი თუ ეს სხვა იყო.

ამ დროს მომეშველა მილიციელი.

მან ბავშვი ჩამომართო და მკითხა:

— ხომ არაფერი ამოგაცალათ?

— არა, — ვუპასუხე მე, რის შემდეგაც ბავშვი ტირილითა და ჭიჭ-ყინით წაიყვანა.

მილიციელმა იგი მიიყვანა სამილიციო უბანში, სადაც პაცანას ისე დახვდნენ, თითქოს შინ მიიყვანესო. შინაური, თითქმის მშობლიური ლა-პარაკითა და ხუმრობით გაართეს იგი. შემდეგ სახელი გამოჰკითხეს და გაიგეს, რომ ანტოშკა ჰქვიან.

შემდეგ პური აჭამეს.

იმ ღამეს იქ დააძინეს და მეორე დღეს სხვებთან ერთად წაიყვანეს სადგურზე, იქ მატარებელში ჩასხეს ყველანი და სადღაც გააქროლეს.

ანტოშკას ძალიან მოეწონა ეს ყველაფერი, გაერთო და დაინტერეს-და კიდეც თუ სად მიდიოდნენ; რამდენიმეჯერ შეეკითხა კიდეც მცვე-ლებს, მაგრამ არავინ მისცა პასუხი —

— მივალთ და გაიგებთო — ეტყოდნენ.

ანტოშკა ფანჯარასთან მოთავსდა და გაქანებული მატარებლიდან ხარ-ბად გაჰყურებდა ტრიალ მინდვრებს, ტყეებს და სოფლებს, რომელთაც დიდის გულმოდგინებით და აღტაცებით ათვალიერებდა.

კარგა მანძილზე რომ გასცილდნენ ქალაქს, უეცრად წამოიძახა—საშ-კა, უყურე ცხვრებს — და საშკასკენ მიბრუნდა, მაგრამ საშკა იქ არ იყო. მოაგონდა, რომ იგი ქალაქში დატოვა და დაფიქრდა, დაღონდა, მე-რე აღარ გაუღიმნია, სულ მოწყენილის თვალით გადაჰყურებდა მინდვ-რებს და რაღაცას ფიქრობდა.

ერთ დიდ სადგურში ყველანი ძირს ჩაიყვანეს და სადგურის დიდ დარბაზში შეიყვანეს, სადაც დიდსავე მაგიდაზე ჩარიგებული იყო კერძით სავსე თეფშები და მათლაფები. კუპრში ამოვლებულმა ყარაჩმა ბავშ-ვებმა ერთმანეთს შეჰხედეს და ტუჩები გააცმაცუნეს.

ამ დროს გაისმა უფროსის ხმა:

— დასხედით თითო კერძთან თითო-თითოდ.

იგრიალეს და მაგიდას შავი ტარბივით დაედო შავი ბავშვების ბრბო. შათი დასხდომა და ჭამის დაწყება ერთი იყო. მათლაფიდან რომ სჭამ-დნენ კერძს, თეფშზე ზედაც იყვნენ გადაფაფრებულნი მარცხენა ხე-ლით და პურზეც ზედ იყვნენ წაწოლილნი გულისპირით, არავინ აგვა-ცალოსო.

ანტოშკა ძალიან მშიერი იყო, რის გამოც ხელად შეთქვლიფა თავი-სი კერძი, გამოხრა უკანასკნელი ძვალი და წასწვდა მეზობლისას. ელვის სისწრაფით ააცალა მას ხორცის ნაჭერი. მეზობელი წამოხტა და ის-ის იყო უნდა სწვდომოდა ყელში ანტოშკას, რომ უფროსმა დიდი ნაჭერი მიაჩეჩა ხელში:

— აჰა, აი, ჭამე!

მეზობელს ჯერ გაუკვირდა, მერე გბელიმა და კმაყოფილი სახით ჩა-მოართო ნაჭერი, შემდეგ დაჯდა. ანტოშკას მოტაცებული ნაჭერი ხელი-

დან გაჰვარდა და შურით დაუწყო ყურება მეზობელს, რომელმაც სამაგიეროდ მშვენიერი ლუკმა მიიღო.

— შენც გინდა? — ჰკითხა უფროსმა ანტოშკას.

ანტოშკამ დარცხვენით თავი დახარა და პასუხი არ მისცა, ხოლო უფროსმა ერთი კარგი ნაჭერი მაინც მიუმატა.

— ჭამეთ, გაძეხით — უთხრა დაყვავებით.

ამის დანახვაზე ყველა ბავშვებმა ხელი აუშვეს თავის მკლავებში მომწყვდეულ საჭმელს და ერთმანეთს შეჰხედეს სრული ნდობით. მოტაცების შიშმა სამუდამოდ გაიარა და ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთსაც კი შესთავაზეს კერძი.

ანტოშკა და ყოველი მათგანი სრული კმაყოფილებით ადგა სუფრიდან.

— მატარებელში!

გაისმა ისევ უფროსის ხმა და ბავშვებმა იჭყივლეს, როგორც ტალახში ნაყარმა გოჭებმა და შეგრიალდნენ თავიანთ ვაგონში.

უფროსმა საჩქაროდ გადაათვალიერა, ჩამოითვალა, — არავინ აკლდა. ეს კარგი ნიშანი იყო მათი აღმზრდელობისა და ადამიანობის გზაზე დაყენებისათვის.

მატარებელი დაიძრა და ანტოშკა ისევ ფანჯარასთან მიჯდა. ისევ გაჰყურებდა გაუთავებელ მინდვრებს, რომელნიც მწვანე ზღვად ღელავდნენ და რომლის ჰორიზონტზეც აქა-იქ მოსჩანდნენ ქარის წისქვილები თავისი ფრთებით. ზოგი მათგანი ტრიალებდა, ზოგი იდგა.

ყველაფრით კმაყოფილმა ანტოშკამ პირველად დაიწყო ოცნება: „ფრთები რომ ჰქონდეს, აი იმ წისქვილივით სულ იტრიალებდა, ან გაფრინდებოდა სულ შორს, შორს და“...

უეცრად მოაგონდა ამხანაგი საშკა, რის გამოც ოცნება გადაიტანა მასზე: „ჰო და გაფრინდებოდა სულ შორს, იქ, საიდანაც მოჰყავთ; იპოვიდა საშკას და იმასაც თან წამოიყვანდა.

— ნეტავ კი შესაძლებელი იყოს ესა და!

ამოიოხრა მან ისეთი სიძლიერით, თითქო მატარებელს მუხრუჭი მოუჭირესო.

მატარებელი მართლაც დადგა.

ყველანი ჩამოიყვანეს, ჩასხეს ავტოში და გააქროლეს. ეს მგზავრობა უფრო გასართობი და საამური გამოდგა მათთვის. ათასი სალაპარაკო გაუჩნდათ და კაცი გამოარკვევდა თუ ვინ რის მცოდნე იყო, რის მნახველი, ან რა წრისა რქნებოდა იგი წინად და რა შესაძლებლობა ეტყობოდა მის ნიჭს მომავლისათვის.

ყაყანისა და ჟივილ-ხივილის შემდეგ სიმღერაც დაიწყეს.

სიმღერა ჯერ არეული იყო, ერთმანეთს ვერც ხმა შეუწყეს, ვერც სიმღერა, ვერაფერს გამოიტანდა კაცი იქიდან, მაგრამ თუ კარგა დააკვირდებოდა, დაინახავდა იგი როგორ ნელ-ნელა იღებდა სახეს, ნელ-ნელა ითხზებოდა და იქმნებოდა სრულიად ახალი სიმღერა, რომელსაც სიტყვები თვითონვე მოუძებნეს.

ისინი მღეროდნენ:

„ჩვენ ვის გავუჩნდით, არ ვიცით,
ვიცით კი, გავჩნდით ზიანად,
მაგრამ ვინ გვიზამს მშობლობას,
ვინ გვაქცევს ადამიანად?
ჰეი, გამოჩნდი მშობელო,
გულთბილად, სახემზიანად —
მაშინ სულ შენი ვიქნებით
ჩვენ სიკვდილ-სიცოცხლიანად!“

ეს უკვე დაწმენდილი, ახლად შეთხზული, ნახევრად მხიარული და ნახევრად ნაღვლიანი სიმღერა, გულში გამთბარი წივილით ამოდიოდა ბავშვების ყელიდან და ვრცელი მინდვრების უსაზღვრო მდუმარება გულში იხუტებდა.

სადღაც შორს, რკინისგზას ასი კილომეტრით დაშორებით სოფელი იდგა ბექობზე და გადაჰყურებდა ყანებით და მწვანე ტყეებით გადაჭიმულს ოკეანესა. ამ სოფელს სოფელი ერქვა, მაგრამ უფრო ქალაქსა ჰგავდა თავისი ქვისა და მაგარი შენობებით.

ბავშვები შეიყვანეს განსაკუთრებით მათთვის გამზადებულ უზარმაზარ შენობაში, მაგრამ ჯერ ბინაში არ შეუშვეს: კარებთანვე დაჰხადეს თავისი ტანისამოსი და შერეკეს აბანოში, იქ კარგა ლაზათიანად გააბანეს, გაღვრიჭეს, გაასუფთავეს და ჩააცვეს ახალი, სუფთა ტანსაცმელი.

მშვენივრად გამოწყობილებმა ბევრი იცინეს იმაზე, რომ ერთმანეთს კარგა ხანს ვეღარა სცნობდნენ.

შემდეგ წაიყვანეს თავიანთ ოთახებში.

ყველას თავისი საწოლი უჩვენეს და დაარიგეს, არ შეგეცვალოს შენი არაფერიო.

ანტოშკამ იმდენი რამე ნახა, დაიბნა, არ იცოდა რომელი რას ნიშნავდა. რა არ იყო აქა: სათამაშოები, საკრავები, ჭადრაკი, წიგნები, სურათები, ხის ცხენები, თოფები და კიდევ ვინ ჩამოსთვლის? შემდეგ სკოლაც აჩვენეს და აუხსნეს, რომ აქ ისწავლიან წერაკითხვას და სხვადასხვა მეცნიერებას.

ყველაფერი ძალიან მოეწონა ანტოშკას, მაგრამ ყველაზე მეტად მოეწონა ოთახის შუა ჭერში ჩამოკიდებული თვითმფრინავი და ღრმად ჩაეჭრა გულში.

დეიდა ტერეზამ, რომელმაც ჩაიბარა ეს ბავშვები, ხმამაღლა წაუკითხა ყველას ამ ჭერში ჩამოკიდებული „შევარდენის“ წარწერა.

— შევარდენი! — წამოიძახა სიხარულით ანტოშკამ და დიდხანს, დიდხანს შეჰყურებდა მას.

— ამასაც გვასწავლით? — ჰკითხა დეიდა ტერეზას ანტოშკამ მოწიწებით.

— უეჭველად — მიუგო ტერეზამ.

ანტოშკა სიხარულით შეხტა და რამდენჯერმე გაიმეორა:

— შევარდენი! შევარდენი!...

ბავშვებს ვახშამი აჭამეს და დააძინეს.

ასეთ სუფთა საწოლში წოლა ანტოშკას არასოდეს არ ახსოვს. არც ჭშიოდა, არც სწყუროდა, თოვლივით თეთრსა და სპეტაკ სარეცელში იწვა, მაგრამ არ ეძინა. სულ ჩარხივითა ტრიალებდა ლოგინში და რაღაცას ოხრავდა. რამდენჯერმე წამოდგა კიდეც, მივიდა სარკმელთან და იდაყვდაყრდნობილმა დიდხანს იყურა სივრცეში. მერე ამოიოხრა და ისევ ჩაწვა ლოგინში.

რა აწუხებდა? დედა? დაკარგული ბედნიერება, თუ ქუჩაში შიშველ-ტიტველი სიარულის დატოვება? არც დედა ახსოვს, არც მამა, არც ბედნიერება.

რამდენიმეჯერ კიდევ ამოიოხრა და ჩასთვლიმა. ცოტახნის შემდეგ უეცრად წამოიძახა: საშკა! ფრთხილად, საშკა! — წამოიწია კიდეც. მერმე ისევ მიდო ბალიშზე თავი და მიიძინა.

ყველას თავისებურად ეძინა.

ზოგი აბრეშუმის ჭიასავით ეგდო თავის საწოლზე მოკრუნჩხული. ზოგი გულდაღმა იყო თავით წარჭმული ბალიშში, ზოგიც ისე იწვა, გეგონებოდათ ოთხზე დგაო, ზოგსაც, როგორც ქუჩაში იცოდნენ, საბანი არ დაეხურნა და მკლავებში კი ღრმად შეეყო თავი.

და ყველას ეძინა მაგარის ძილით.

გარეთ ღამის გულღია ცაზე თავი მოიყარეს პირქუშმა, ელვითა და ჭექით გატენილმა ღრუბლებმა. ნიავმა ღრენით გადაუსვა ხელი დაყურსულ ყანებს, მიარხ-მოარხია მწვანე ოკეანე მინდვრებისა და უზარ-მაზარი, წყლით გამძღარი ღრუბლები ზედ იმ შენობის თავზე მოჰყარა, რომელშიაც ეძინათ ოდესმე უპატრონო ბავშვებს.

ვაგრამ არა! სულ ამაოა შენი მძვინვარება ბუნებავ! ეხლა შენ უძლური-ღა ხარ ამათ წინააღმდეგ: მათ ველარც შენი ჭექა-ქუხილი შეაკრთობს და ველარც შენი ღვართქაფი. მათ პატრონი ჰყავს და იგი იმის ნებას აღარ მოგცემს, შენი მსახვრალი ხელი შეახო.

დიდხანს ირუხრუხა, იგრგვინა, აფრქვია ცოფი და ბრაზი კოკისპირულად, რის შემდეგ, ამაოდ დამაშვრალი, წავიდა, გადიკარგა შორს და სადღაც ცისა და მიწის ვიწრობებში ჩაინთქა.

მიწყნარდა ყოველივე.

ბავშვებს ისევ ისე ეძინათ.

მხოლოდ ანტოშკამ რაღაც ამოიზმუვლა ერთხელ, მერე ტოკვა დაიწყო. შემდეგ კიდევ ამოიზმუვლა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

ეტყობოდა, რომ სიზმარში რაღაც არა სასიამოვნოს ჰხედავდა. რასა ჰხედავდა?

ვითომ იგი ისევ ქუჩაშია გამოსული, გათხუპნული, ჭუჭყიანი, ნაფლეთებში გახვეული, ვიღაცას ხელს უყოფს ჯიბეში. მის პირდაპირ საშ-

კაა, მისი ამხანაგი, ორი თუ სამი დღის მშიერი და ის აქეზებს, ამოაცალეო. ანტოშკას თვითონ არ უნდა ფული, მას არა ჰშიან, არც ეხალისება სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა, მაგრამ მშიერი ამხანაგის სიბრალული აბედვინებს. ჩაყო ხელი და უკვე თითებით იგრძნო, რომ ხელი ფულს წაავლო. ამ დროს ის ვიღაც უცნობი სტაცებს ხელსა და შეჰკივლა ანტოშკამ:

— ჩემთვის არ მინდა! პატიოსნებას გეფიცებით, ჩემთვის არ მინდა!— ყვირილით წამოხტა იგი და მეზობლის საწოლს წააწყდა.

— რა ამბავია? — იკითხა დეიდა ტერეზიმ, რომელიც იმ წამსვე გამოვიდა თავისი ოთახიდან.

ანტოშკა გონს მოვიდა და თვალები მაგრა მოიფშვნიტა.

— სიზმარი ნახე? — ჰკითხა ისევ დეიდა ტერეზამ და ალერსიანად მოეხვია. შემდეგ მაგრად ჩაიკრა გულში და დიდხანს, დიდხანსა ჰყვანდა ჩაბღუჯული წაბლისფერთმიანი, ხუჭუჭა ბიჭი.

ანტოშკამ, თითქო პირველად იგრძნო დედის ალერსი, ისიც მაგრა ჩაეკრა გულში ტერეზას და დიდხანს, დიდხანს იყო ისე. მას არ ჰსურდა მოშორებოდა, მის კალთაში უნდოდა ძილი, როგორც ბავშვს, რომელმაც დედა იპოვნა, დიდი ხნის დაკარგული დედა.

— დაიძინე ჩემო პაწაწა, დაიძინე — უთხრა ტერეზამ ალერსით.

ანტოშკამ ასე იფიქრა, თავი მოვაბეზრეო და გასწია თავისი საწოლისაკენ.

— გინდა ჩემს კალთაში დაგაძინო?

— არა, შეგაწუხებ. პატარა ხომ აღარა ვარ, — მიუგო თავაზიანად ანტოშკამ და საწოლთან მივიდა.

ბავშვი ჩაწვა და დეიდა ტერეზამაც შეიხურა თავისი ოთახის კარი.

ანტოშკას ძალიან მოეწონა ჰაეროპლანი, რომელსაც ეწერა „შევარდენი". იმდენი უყურა, იმდენი უარა გარს, რომ დეიდა ტერეზიმ მოუტანა სხვა და დაუდო წინ.

ამის შემდეგ ანტოშკას თავი მაღლა აღარ აუღია: სულ ჰაეროპლანს აკეთებდა, სულ მას დასტრიალებდა თავს.

გაკვეთილების დროსაც პარტაში ჰქონდა შემალული თავის მიერ გამოჭრილი პატარა „შევარდენი" და როცა მასწავლებლის ყურადღება სხვაგან წავიდოდა, ის გამოიღებდა ქვეშ, მიაბრუნ-მოაბრუნებდა და ფიქრობდა თუ როგორ მოეწყო ისე, რომ მართლა ამუშავებულიყო.

გაკვეთილების შემდეგაც ამ ფიქრში იყო.

ერთხელ, როცა დეიდა ტერეზამ დაუარა საწოლებს თვალის გადასავლებად, რათა უწესრიგობა არსად ყოფილიყო, ყველაფერი კარგა დაჰხვდა, ყველა საწოლზე წაიკითხა გვარიც და სახელიც მისი მფლობელისა, მაგრამ ანტოშკას საწოლს მარტო სახელი ეწერა.

— ანტოშკა, — დაუძახა დეიდა ტერეზამ: გვარი არა გაქვს ბიჭო?

— გვარი? — დაფიქრდა ანტოშკა და შემდეგ დაუმატა: ჩემი გვარი არ ვიცი...

— მერმე? ხომ შეგიძლიან ახალი გვარი გამოიგონო შენ თვითონ? რას აირჩევდი?

— შევარდენი! — წამოიძახა ანტოშკამ.

დეიდა ტერეზას გულიანად გაეცინა და სიხარულით წააწერა მის საწოლს: „შევარდენი“.

ამის შემდეგ ანტოშკას ამხანაგები „შევარდენს“ უფრო ხშირად ეძახდნენ, ვიდრე ანტოშკას, და საერთოდ, სულ „შევარდენის“ სახელი გაისმოდა.

რადა?

იმიტომ, რომ ის ერჩეოდა ნიჭით, სილამაზით, მოფიქრებით, მოხერხებით, სინდისით და პატიოსნებით. რომ იტყვიან, სიამოვნების კუნწულაო, სწორედ ის იყო.

სრული ნდობა მოიპოვა, როგორც დეიდა ტერეზასაგან, ისე სხვებისაგან და ამხანაგებში ხომ მეთაურის როლსა თამაშობდა. იქამდე გაიზარდა, გასრულდა ჭკუითა და ტანით, რომ დიდი ადამიანის საქმეებსაც ავალებდნენ. შემდეგ წათამამდა, პიონერობა გავათავე, და კომკავშირში ჩამწერეთო. შემდეგ, ვითომ თავის „შევარდენს“ ახალი რაღაც მოუგონია და გამომგონებელი ვარო და შემდეგ მსოფლიო პოლიტიკის საკითხებიც წამოაყენა.

ოქტომბრის რევოლუციის წლისთავზე ამხანაგ სტალინს წერილიც კი მისწერა, შენი სახელობის ბრიგადა დავაარსეთ ჩვენს თავშესაფარში და ყველანი მალე კომკავშირელები გავხდებითო, და ბოლოს ულოცავდა ოქტომბრის დღესასწაულის წლის თავს.

ერთხელ უეცრად დეიდა ტერეზას ფიქრად მოუვიდა, თავისი თექვსმეტი წლის ქალიშვილი თეკლე მოსკოვს გამგზავრებისას გაეცილებინა ანტოშკასთვის ავტობუსით რკინიგზის სადგურამდე.

— სანამ ბილეთი არ აუღო რკინიგზისა, მატარებელში არ ჩაჰსვა და იგი არ დაიძრას, თავი არ გაანებოო — უთხრა ტერეზამ ანტოშკას.

— რა სწავლება მინდა, დეიდა ტერეზა — სთქვა ამაყად ანტოშკამ.

ანტოშკამ სადგურზე მიიყვანა თეკლე, ჩასვა მატარებელში და პირნათლად დაბრუნდა თავის ალაგას.

— საქმე ძალიან კარგაა! — სთქვა დეიდა ტერეზამ: ანტოშკას სრულიად დაავიწყდა თავისი წარსული და იგი მას აღარასოდეს აღარ დაუბრუნდებაო.

ახლა შეიძლებოდა უკვე მის მშობლებზე ლაპარაკი, ვინაობის გამოკითხვა, მაგრამ ერთი რამ აშინებდა მაინც დეიდა ტერეზას: სადგურიდან დაბრუნებულ ანტოშკას რაღაც სევდა აწვა გულზე, ხშირად ოხრავდა და ვერ გამოეცნო მისი მიზეზი.

— „იქნებ მოაგონდა დედა, მამა, თავისი წარსული“-ო. ამის გამოფრთხილად, დროს შერჩევით, მშობლიური მიდგომით უსაყვედურა ანტოშკას დეიდა ტერეზამ:

— ყველაფერში კარგი ბიჭი ხარ, ჩემო თმახუჭუჭა, მაგრამ ერთი რამე არ მომწონს შენი.

— რა? — ჰკითხა გაოცებით.

— ისა, რომ აქამდე ვერ მოგიგონია, თუ ვინ იყვნენ შენი მშობლები.

— ჩემი მშობლები? — დაფიქრდა იგი. შემდეგ უეცრად ასწია თავი და ამაყად სთქვა:

— დეიდა ტერეზა, ჩემი მშობლები არის საბჭოთა ხელისუფლება, ვინლა უნდა მოვიგონო? განა უკეთესი მშობლები ჰყავს ვისმე? ამის მეტი სხვა არც მშობელი მინდა და არც პატრონი.

— ძალიან კარგი! სწორეა! მაგრამ რათა ოხრავ ამ ბოლო დროს? მე ვიფიქრე, ხომ არ მოაგონდა მეთქი თავისი უწინდელი მშობლები, რომელთაც ვინ უწყის რა ბედი ეწვია!

— არა დეიდა ტერეზა, არავითარი მშობლები არც მაგონდება და არც ვოხრავ მათთვის.

ამის შემდეგ უფრო აშკარად შეეტყო სევდიანობა ანტოშკას. უფრო ნაკლებად თამაშობდა ამხანაგებში. დადარბაისლდა, მეტისმეტად დადინჯდა და მის სახეზე რაღაც გეგმების უხილავი ზოლები მოსჩანდა ფიქრებად.

12 773

რაღაცისათვის დასჭირდა დეიდა ტერეზა, უეცრად შევარდა მის ოთახში, მაგრამ დეიდა ტერეზა იქ არ იყო. სამაგიეროდ თვალი მოჰკრა მაგიდაზე ერთ ბღუჯა ფულს, რომელმაც დაძგიბა მისი ყურადღება, გაშეშდა, გულში ელდასავით გაურბინა რაღაცა ბოროტმა ფიქრმა, რომელმაც ააძგერა და ააფორიაქა იგი.

ერთი ნაბიჯი წადგა წინ. შიგ ყანყრატოში მიაწვა ის ფიქრი, რომელიც ხელს ჩასძახოდა თავიდან, აიღეო. ის-ის იყო, უნდა დაეტაცნა ფულისათვის ხელი, რომ გული უეცრად გადაუბრუნდა კეთილისაკენ და მძიმე-მძიმედ გამობრუნდა უკან.

ნეტავ რათ უნდა ფული?

ნუთუ ძველმა ჩვეულებამ წასძლია? ან აკლია რამე?

ისევ თავის საქმეებს შეუდგა ანტოშკა. ჰაეროპლანს აკეთებდა, ჩაჭკირკიტებდა და ხანდახან უცნაურად შეჩერდებოდა, ერთის შეხედვით იფიქრებდით, რაღაცა ნაწილის ახალ გამოგონებაზე ფიქრობსო, მაგრამ თუ ცოტას დაუკვირდებოდით, მიხვდებოდით, რომ მის ფიქრს, „შევარდნის“ ნაწილებთან არაფერი ჰქონდა საერთო, მით უმეტეს, რომ ამოიოხრებდა და განზე გადასდებდა ხოლმე მას.

დეიდა ტერეზა დარწმუნებული იყო თითქო, რომ ამისი მიზეზი თეკლეს წასვლა იყო მოსკოვს.

მაგრამ ერთი საკვირველი ამბავი მოჰხდა ამის შემდეგ.

როდესაც ყველა ბავშვებმა დაიძინეს და დეიდა ტერეზამაც, დიდი მოღლილობის გამო, სრულიად მშვიდობიანად მისცა ძილს თავი, ანტოშკას რაღაცა ეშმაკი შეუჯდა, წამოაყენა იგი ფეხზე და უცნაური გადაწყვეტილება გამოატანინა.

მან ფეხაკრეფით ჩამოუარა ყველა საწოლებს, კარგად გასინჯა, ყველას ღრმად ეძინა თუ არა და, როცა დარწმუნდა რომ ძილი ღრმა იყო, ნელის ნაბიჯით გასწია დეიდა ტერეზას ოთახისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეზე აღარ ეტყობოდა ადამიანობა, თვალები უელავდა და სწორედ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიცა აქვთ ხოლმე ბოროტმომქმედებს, კაცის დასახრჩობად რომ მიდიან.

ნუთუ ანტოშკამაც ეს უნდა ჩაიდინოს?

რისთვის? რამ შესცვალა ასე უეცრად ეს მშვენიერი და სამაგალითო ბავშვი, რომლითაც ამაყობდა მთელი თავშესაფარი?...

ანტოშკამ ნელა, დიდის სიფრთხილით შეაღო კარი დეიდა ტერეზასთან და უკან გამობრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მივიდა კართან და შეიჭვრიტა; ნახა რომ ტერეზას მშვიდად ეძინა.

ანტოშკამ რო დაჰხედა დეიდა ტერეზას, ცოტა გაიჟრჟოლა და შედგა. შემდეგ რაღაცა მოიფიქრა და უეცრად გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტამ შუბლი შეუკრა. მეტის მეტად საჩქაროდ მივიდა მაგიდასთან, უჯრას ხელი წაავლო, უნდა გამოეწია, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა ტერეზას საწოლის თავზე ჩამოკიდებულ მის დიდ საკვოიაჟს და უჯრას თავი გაანება. საჩქაროდ მოაცალა საწოლის აშვერილ მკლავს საკვოიაჟი, ფრთხილად გასხნა, ამოიღო ერთი ბღუჯა ფული, გახსნილი საკვოიაჟი მაგიდაზე დადო და თითონ საჩქაროდ გამოვიდა ოთახიდან.

ელვის სისწრაფით ჩაიცვა თავის ტანისამოსი, ისკუპა ფანჯრიდან და ლამის ბინდ-ბუნდში საითღაც გაჰქრა.

დეიდა ტერეზამ კი სიზმარში ღრმად ამოიოხრა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ისევ მიიძინა.

მეტად შავ-ბნელი და კუმეტი დღე გაუთენდა ტერეზას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საშინელება-მწუხარებას ვერ გამოსთქვამს ენა და ვერ ასწერს კალამი, დეიდა ტერეზამ სახეზე მაინც არაფერი შეიმჩნია, როდესაც დარწმუნდა, რომ მისი საკვოიაჟი ღამით რომელიღაც ბავშვს გაეძარცვნა.

თითო-თითოდ ჩამოუარა დეიდა ტერეზამ, თითო-თითოდ გადაუსვა თავზედ ხელი და ლაპარაკში ოდნავ ჩაურთავდა: „წუხელის ხომ არ დაგინახავს ვინ იყო ჩემთან? ალბათ რაღაც საქმე ჰქონდა და მძინარე არ გამაღვიძა“. შემდეგ დაუმატებდა: დილას კარი ღია დამხვდაო. ხოლო საკვოიაჟის გაძარცვაზე არაფერს ამბობდა.

ყველაზე ჰქონდა ეჭვი, გარდა ანტოშკასი, ამიტომ ყველაზე ბოლოს ანტოშკა მოიკითხა და დახე უბედურებას! ანტოშკა იქ აღარ აღმოჩნდა.

ორივე ხელი შემოიკრა დეიდა ტერეზამ თავში და თავზარდაცემული შევიდა თავის ოთახში. ამოდენა ამაგმა, ამოდენა შრომამ მუქთად ჩაუარა და იმედების ხუხულაც ერთის შებერვით დაენგრა. თუ ანტოშკას შევძლო ეს ჩაედინა, მაშ რაღა იმედი უნდა ჰქონდეს ხვებისა? უეჭველია ქუჩის ბავშვში ქუჩამ დაილაპარაკა ისევ და ასევე მოჰხდება ყველას თავს. აქამდე კი დეიდა ტერეზა სრულიად დანდობილი იყო იმ იმედზე, რომ ეს ოდესღაც ქურდბაცაცები, კაცური ცხოვრებიდან სრულიად გადავარდნილები, ადამიანებად აქცია. ამის შემდეგ რაღა დარჩენია დე-

ოდა ტერეზას? — უნდა კარჩაკეტილში დაიძინოს და ხელი სულ ჯიბეზე ევლოს, რომ არავინ არა ამოაცალოს-რა!

მაგრამ გაკვირვებულსა და განცვიფრებულს დეიდა ტერეზას შორს, ძალიან შორს, გულის ერთ კუნჭულში ერთი იმედის სხივი მაინც უფარფატებდა: ვინ იცის, იქნებ არც ისეა საქმე, როგორცა მგონიაო.

დეიდა ტერეზამ მაშინვე გაგზავნა კაცები ავტომობილთა არტელის ეზოში, საიდანაც მგზავრები მიდიოდნენ რკინიგზის სადგურისაკენ, რათა გამოეკვლიათ ასეთი და ასეთი ბავშვის ამბავი. იმის იმედიც ჰქონდა დეიდა ტერეზას; რომ სადმე იქვე ახლოს იპოვნიდნენ ანტოშკას.

მაგრამ ეს იმედი რომ სულ გაცრუვდა, შემდეგ დეპეშა დაუკრა რკინიგზის სადგურს და მოსკოვს: ასეთი და ასეთი ბავშვი გამოგვეჭცა და პოვნა შეგვატყობინეთო.

ამის შემდეგ დეიდა ტერეზას ხასიათი გამოეცვალა. თავის გულისწყროლას, უზომო მწუხარებას არავის აგებინებდა, არც ის გააგებინა ვისმე თუ ანტოშკამ ფული ამოაცალა მას. მაგრამ ალერსში და მოპყრობაში მაინც ის აღარ იყო, რაც იყო წინად.

ხშირად გაუელვებდა ხოლმე აზრი, რომელიმე ბავშვზე დაეყუდებინა გული, დედის სიყვარულის ნიღარი მასზე დაეყარნა, მაგრამ გაახსენდებოდა თუ არა ანტოშკა, ფიქრი მაშინვე გულიდან გადაუვარდებოდა და შიგ ძმარნარევი წყალივით ჩაუდგებოდა რაღაც გაურკვევლობა.

რამდენჯერმე წასვლაც მოიწადინა ამ სამსახურიდან, მაგრამ დიდი სამშობლოს მოვალეობა, მისთვის ზრუნვა და შრომა აკავებდა მას. ანტოშკაზე ფიქრმა უძილობა შესძინა, უძილობისაგან თავის ტკივილი დასჩემდა, თავის ტკივილმა ძარღვები დაუშალა და ბოლოს ჩავარდა ლოგინად.

დეიდა ტერეზა საავადმყოფოში დააწვინეს და მის მაგივრად დანიშნეს მისი თანაშემწე სოფიო. სოფიო წინათ ბავშვებს არ უყვარდათ, რის გამოც მას ერიდებოდნენ. სოფიოც ერიდებოდა ბავშვებს და ერთმანეთს კარგა ვერ იცნობდნენ. მაგრამ როცა მარტო სოფიო დარჩა და ბავშვებს მხოლოდ მასთან ჰქონდათ უშუალოდ საქმე — უფრო ახლოს გაიცნეს და უფრო მეტადაც შეეჯავრათ იგი. ახლა უფრო მეტად დააფასეს დეიდა ტერეზა და სულ მის ხსენებაში იყვნენ.

სოფიო რაღაც უცნაური ქალი გამოდგა. ბავშვებს ყვირილსა და ხტუნვას უკრძალავდა. დეიდა ტერეზა კი პირიქით, თუ დაიყვირებდა ვინმე, ეტყოდა, უფრო ძალიან დაიყვირე, ფილტვები გაგიმაგრდებაო, თუ ვინმე შეხტებოდა კიდევ, შეარცხვენდა:

— ჰაი შე უშნო, მაგაზე მაღლა ვერ უნდა შეხტეო — და იქამდე ახტუნებდა, სანამ არ მოსწყინდებოდათ.

ამასთანავე საკვირველი ის იყო, რომ მიუხედავად ამისა, ისინი უფრო ნაკლებსა ყვიროდნენ და ნაკლებსა ხტოდნენ.

სოფიო კი ყველაფერს უკრძალავდა, უყვიროდა და იგლეჯდა ძარღვებს, რის გამოც ბავშვები უფრო უარესს სჩადიოდნენ.

დეიდა ტერეზა, მართალია, საავადმყოფოში ცოტა მომჯობინდა, მაგრამ იქვე გადასწყვიტა, გამოსვლისას აღარ დაბრუნებულიყო თავის ადგილას. როდესაც იქიდან განთავისუფლებისათვის დაწერილ განცხადებას ხელი მოაწერა, ისე ღრმად ამოიოხრა, რომ ჯიგარი თან ამოაყოლა.

საავადმყოფოდან გამოწერეს.

სანამ განცხადებას შეიტანდა, მაინც შეიარა თავის ბავშვებთან და გზადაგზა ფიქრობდა თუ როგორ ეთქვა თავისი წასვლის მიზეზი მათთვის. ვერ გამოეძებნა ხერხი. ათასი ფიქრი ათასს ეღობებოდა და ერთმანეთში ირეოდნენ აზრები.

ამასობაში მიუახლოვდა დაღონებული ბავშვთა თავშესაფარის ეზოს, საიდანაც მას უეცრად შემოესმა ყურისგამჭრელი და გრძელი დაძახილი:

— დეიდა ტერეეეზა!

ეს დაძახილი სიხარულისა და აღტაცებისა იყო. იგი ამოდიოდა დიდი ვრძნობებით სავსე პატარა გულიდან და ამ დაძახილმა სიხარულის კორიანტელივით შეატრიალა ბავშვების კერა.

ასტყდა თავბრუდამხვევი წივილ-კივილი, ზოგი კისერზე ეკიდებოდა დეიდა ტერეზას, ზოგი ზურგზე, ზოგი წელზე შემოეჭდო და ზოგნიც სიხარულისაგან ერთ ადგილას ხტოდნენ. ერთი ბავშვი კი, რომელსაც თხუნელას ეძახდნენ ამხანაგები, სარკმელს იქით გადახტებოდა და გადმოხტებოდა ნოლმე. გადახტ-გადმოხტომით რომ დაიღალა, რაღაცას დაეკვირდა შორს, მერე გადახტა ისევ და გაიქცა გარეთ.

დეიდა ტერეზა კი დედაბოძივით იდგა ბავშვებში, რომელნიც ფუტკარივით შეჰხვეოდა მას. ბავშვები დაიღალნენ სიხარულით, დეიდა ტერეზამაც ყველას გადუსო თავზე ხელი, რამაც სრულიად დაამშვიდა ისინი, თვითონაც დამშვიდდა. მაგრამ მოაგონდა რომ მათ შორის ანტოშკა აღარ იყო და ისევ დაღონდა. ისიც მოაგონდა, რომ ამ ბავშვებთან განშორებისათვის დაწერილი განცხადება საკვოიაჟში ედო და ცრემლი დაეკიდა თვალის წამწამებზე. გული შუა გაეყო. არ იცოდა რა ექნა.

სწორედ ამ დროს გაისმა გარეთ გაქცეული თხუნელას ხმა:

— დეიდა ტერეზა! დეიდა ტერეზა!

და ასეთი ყვირილით შემოვარდა დარბაზში.

— რა იყო ბიჭო? — მიეგება დეიდა ტერეზა!

— მახარობელი ვარ, მახარობელი! — დაიყვირა მან.

— რისა, თხუნელა, რისა?

— ანტოშკა მოვიდა! — მიახალა მან სიხარულით და ჭინკასავით შეხტა მაღლა.

— აგერ! — გაიშვირა ხელი გარეთკენ.

— ანტოშკა! — წამოიძახეს ყველამ სიყვარულით და მღიმარე სახეები ისე გაირინდნენ, რომ დახატულები გეგონებოდათ.

დეიდა ტერეზას შუბლი გაეხსნა, მისი თითო თვალიდან ათმა მზემ გამოაშუქა და ყველა სხივებით მიბრუნდა იქით, საიდანაც ანტოშკა უნდა შემოსულიყო.

ანტოშკა მორცხვი ღიმილით დანელა შემოვიდა. დეიდა ტერეზა რომ დაინახა, გაქანდა, ყელზე ჩამოეკიდა და კოცნა დაუწყო:

— მაპატიე დეიდა ტერეზა, მაპატიე! — ეუბნებოდა მას.

შემდეგ მიბრუნდა ანტოშკა კარებისკენ და დაუძახა:

— მოდი!

მის დაძახილზე მძიმე-მძიმედ შემოვიდა ერთი თავითფეხებამდე მჭვარტლში და ჭუჭყში გაქონილი ბავშვი, რომელსაც მხოლოდ თვალის ქუთუთოებშილა ეტყობოდა თეთრი მოხაზულობა. თმა სასაცილოდ ჰქონდა აბურძგვნილი და ფეხშიშველა საფლავიდან ამოღებული გეგონებოდათ.

მის დანახვაზე ერთხმად ასტეხეს სიცილი ბავშვებმა.

— რას იცინით?—წარმოსთქვა ხმამაღლა ანტოშკამ,—ვის დასცინით? ეს გუშინდელი სახეა ჩვენი. აი რა ვიყავით ჩვენ. ეს საშინელებაა, მაგრამ მაინც არ უნდა დასცინოთ, რადგანაც იგი წარსული არის ჩვენი!

— ყოჩაღ ანტოშკა! — წარმოსთქვა სიხარულის ცრემლმორეულმა დეიდა ტერეზამ.

— კი არ უნდა გაიცინოთ ამის დანახვაზე — განაგრძო ანტოშკამ — უნდა იფიქროთ ამის გარდაქმნაზე და ჩვენად მოქცევაზე.

— შენ გენაცვალოს დეიდა ტერეზა! — ჩაურია ტერეზამ.

— დეიდა ტერეზა! — მოუბრუნდა ანტოშკა ყინჩად: მე თქვენ ფული მოგპარეთ და გავიპარე. ამისათვის გთხოვთ პატიებას. მე ეს მხოლოდ იმისათვის ჩავიდინე, რომ ეს ჩემი ამხანაგი საშკა მეპოვნა და მომეყვანა. განა შეიძლებოდა მე აქ ვყოფილიყავ ბედნიერი და ეს იქ დამეტოვებინა უბედური?

— შენ გენაცვალე! — ჩაურთო კიდევ დეიდა ტერეზამ.

— მე, უეჭველია, დიდი კაცი გავიზრდები,—განაგრძო ისევ ანტოშკამ, — ჩემი მარჯვენით ვიშოვი ფულსა და გადაგიხდით ვალს.

— ჩემო გვრიტო—მიუალერსა ანტოშკას: შენ ვალი უკვე გადახდილი გაქვს შენი გონივრული და კეთილშობილური გრძნობით, მაგრამ რა საჭირო იყო გაპარვა, განა ჩემთვის რომ გეთქვა არ დაგეხმარებოდი მაგ საქმეში, არ გაგიწევდი თანაგრძნობას?

— ეგ შეცდომა მომივიდა და მაპატიეთ. ხოლო აი ეს ჩემი ამხანაგი უნდა მიიღოთ ჩვენთან.

— სიამოვნებით!

წარმოსთქვა ტერეზამ და კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა საშკა, რომელიც ყოველივე ამ ამბისაგან გაკვირვებული და გაოცებული კეტივით გაშეშებული იდგა.

დეიდა ტერეზამ საკვოიაჟიდან ამოიღო დაწერილი განცხადება, ოთხად გადახია იგი და საშკას გაუძღვა წინ საბანაო ოთახისაკენ.

* * *

სწორედ ახალგაზრდათა კომკავშირის ოცი წლისთავის დღესასწაულისათვის ემზადებოდა საბჭოთა ქვეყანა, რომ მე ქუთაისიდან ვაპირებდი გადმოფრენას ტფილისს.

აეროდრომზე რომ მივედი, ვნახე რომ ჩვენი თვითმფრინავის გარშემო ერთი ახალგაზრდა ტრიალებს. მშვენიერი, აშოლტილი, ულვაშამოღალანებული ყმაწვილი თვალსა და გულს მტაცებდა. რომ ვაკვირდებოდა, გული მითქვამდა, რომ ეს ყმაწვილი სადღაცა მყვანდა ნახული, მაგრამ სად? ვერ მომეგონა.

ჩავსხედით.

მან მანქანა მოსხლიტა მიწას და შევსრიალდით ცის ლაჟვარდში. მისი მოხდენილი მიხვრა-მოხვრა მანქანაში მართობდა და სულ ვფიქრობდი, როგორმე მომეგონა თუ სადა მყვანდა იგი ნახული.

სურამის მთების თავზე სქლად იდო ღრუბლები და ჩვენ სწორედ ამ ღრუბლებზე ისე მიგვასრიალებდა ეს მშვენიერი ყმაწვილი, როგორც თოვლის ფიფქზე.

ერთი-ორჯერ შევეკითხე, თქვენ ვინა ბრძანდებით მეთქი, მაგრამ პროპელერის გრიალში ვერც იმან გაიგო ჩემი კითხვა და ვერც მე მისი პასუხი.

შემდეგ თავი გავანებე და ტფილისის ჰაეროდრომზე რომ დავეშვით, გულმა არ მომითმინა, კიდევა ვკითხე:

— უკაცრავად ყმაწვილო, თქვენ ძალიან მეცნობით და ვერ მომიგონია თუ ვინა ხართ, ან სად მინახავხართ.

— მე კომკავშირელი შევარდენი გახლავართ, — მომიგო მან. მაგრამ ეს ჩემთვის არავითარი ახსნა არ იყო.

იმანაც შემატყო ესა და დამაკვირდა. კარგა რომ დამაკვირდა, გაეღიმა, შემდეგ თავი დახარა, კიდევ გაიღიმა და შემდეგ მითხრა:

— მე გიცნობთ თქვენ.

— საიდან? — ვკითხე მე.

— საიდან?—სთქვა მან, შემდეგ მკლავში წამავლო ხელი ძმურად, განზე გამიყვანა და მითხრა:

— სწორედ მითხარით, რამდენი გედოთ მაშინ ჯიბეში ფული, როდესაც მე თქვენ შიგ ხელს გიყოფდით ამოსაცლელად?

სთქვა თუ არა ეს, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ის პაცანა იყო, მე რომ დავიჭირე ერთხელ. ვიცან თუ არა მოვეხვიე და გადავკოცნე.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ვალი უნდა გადაგიხადო, რამდენი გედოთ მეთქი მაშინ ჯიბეში? უეჭველია, რომ არ დაგეჭირეთ ამოგაცლიდით — სთქვა მან სიცილით.

— გეფიცებით სინდისს — ვუთხარ გულწრფელად — გეფიცებით სინდისს, რომ მაშინ სამი შაურის მეტი ფული არ მქონდა, ისიც მხოლოდ ტრამვაის ვაგონში ჩასაჯდომად მინდოდა. თუ მაკადრებთ და მომცემთ? ავიღებ.

— არა. სამ შაურს კი არ გაკადრებთ, მაგრამ მეტი კი გეკუთვნით, რადგანაც თქვენ გაჰხდით მიზეზი ჩემი დროზე გაბედნიერებისა.

— მერე, შევარდენია თქვენი გვარი? — ვკითხე ბოლოს!

— შევარდენი მე თვითონ დავირქვი, რადგანაც თვითმფრინავი შემიყვარდა ბავშვობიდანვე და სულ მას ჩავკირკიტებდი.

— სასიამოვნოა!

— ახლა მალე გადავალ სამხედრო გამანადგურებელზე, და თუ მტერი გაჰბედავს ჩემი საყვარელი სამშობლოსა და მშობლის წინააღმდეგ ხმის ამოღებას, თვითმფრინავი „შევარდენი“ უსახელოდ არ დაიღუპება სამშობლოსათვის ბრძოლაში.

— ყოჩაღ ახალგაზრდავ! ყოველი გონიერი და სამშობლოს მოყვარული მიჰბაძავს შენს მაგალითს, — ვუთხარი მას.

ამ დროს მოვიდა მანქანა. რაკი უნდა მანქანაში ჩავჯმდარიყავ ქალაქში წასასვლელად, საჩქაროდ გადავკოცნე კიდევ იგი და მივბრუნდი მანქანისაკენ.

— საშკა! — დაუძახა მან შოფერს — ეს ამხანაგი შენ გვერდით დაისვი. — მერე მე ამიხსნა: ეგ საშკაც ჩემი მაშინდელი ამხანაგია, თქვენ რომ პირველად შეგხვდით, ტანკისტია და ავტოზე ვამუშავებთ.

მანქანამ ტფილისისაკენ გამაქანა დატვირთული საამური შთაბეჭდილებებით.

ი. გრიშაშვილი



იქ, სადაც წინათ იყო ფარდული,
და ჯიხურების ბნელი ხუხულა, —
დღეს მზის ჯიღები, (ეად ამართული,
ოქროს თბილისზე გადმოხურულა.

იქ, სადაც წინათ არა ჰყავოდა
ხრიოკ მიწაზე ბუჩქი და ჩირგვი, —
დღეს მცენარეთა სხვადასხვაობა,
ჩემო თბილისო, გამშვენებს ირგვლივ.

ავხედავ მთის შუბლს, გავხედავ ფერდებს!
ყველგან შრიალებს ნაძვი და ფიჭვი! —
— და გრიშაშვილიც ლექსს რომ არ სწერდეს,
რის მაქნისია იმისი ნიჭი?

ლადო გალიაური

...ათენგენობა ანლოვდებოდა... კომკავშირელები მუშაობაში იყვნენ გართულნი: ხატავდნენ, სწერდნენ, ლაპარაკობდნენ. მანგიამ კედლის გაზეთი დაამზადა, აბიკამ და ხათუთამ პლაკატები დახატეს, ხთისომ ლოზუნგები დაწერა, მინდია ხეზე აცოცდა და რადიოს ანძა დაამაგრა.

გაგა დედას მიუჯდა გვერდზე: სთხოვდა არ წასულიყო ხატში საზღვნელად. არწმუნებდა — ხატები არ არსებობენო.

— ყინჩი ნარ, შვილო, ყინჩი, გაგო, მაგრამ... ხატებს ნუ სცოდავ, — ჩიფჩიფებდა მონუცი და იახსარს შენდობას სთხოვდა:

— ლაღო იახსარ!.. აპატივე გაგას, პირის ქარი ას!.

— იცოდე, უბედურება დატრიალდება, — თქვა გაგამ და გამწყრალი უვანშმოდ დაწვა ლოგინში.

* * *

იახსრის გამძღოლთ საჯვარეში მოეყარათ თავი. ლუდის ფხას აქებდნენ და თასებს თასებზე სცლიდნენ.

„სვიანი ას“, „კა ლუდ მამხდარას“, „შაუნდნას“, „შასვი“, „გაამოს“!..—ისმოდა არეული ხმები. ჯერ ღრეობა არ გახურებულიყო, სტუმრებს ელოდებოდნენ. — მლოცავი მლოცავზე ემატებოდა, მოდიოდნენ: სიმღერით, თოფის სროლით, მაგრამ დაუახლოვდებოდნენ თუ არა ხატისკარს, მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდებოდა და სწრაფად გადმოხტებოდნენ ცხენებიდან. მივიდოდნენ „საჩოქნასთან“, მოიხდიდნენ ქუდებს და მადლს სთხოვდნენ ლაღ იახსარს:

— დიდო იახსარ!.. ხთისგან იკურთხოს შენი სახელი!...

ამბობდნენ ძლივს გასაგონი ხმით. მოწიწებით თავ-დახრილნი. წაღმა-უკუღმა იწერდნენ პირ-ჯვარს. სამჯერ ჰკოცნიდნენ მიწას და ფეხზე დგებოდნენ. დინჯი ნაბიჯით უახლოვდებოდნენ ხატისკარს, კვლავ იყრიდნენ მუხლს დროშების წინ და ერთსადაიმავეს იმეორებდნენ:

— დიდი იახსარ!.. ხთისგან იკურთხოს შენი სახელი!... დაამთავრებდნენ თუ არა მუხლმოყრით ჯდომას, შემოტრიალდებოდნენ ღრეობისკენ და ჯვარ-ჯვარის კარში თავმოყრილ მლოცავს ესალმებოდნენ:

— აშენდით ჯვარ-ჯვარის კარო!.. წაღმაც გაგივათ დღეი დღეობა!.

— დაშვენდით... წყალობა ლაღ იახსარსა. წაღმ მოგეგებასთ იახსარის დავლათი!..—პასუხობდნენ დამხდურნი და ფეხზე დგებოდნენ. სტუმრებს სკამებს უცლიდნენ — ხნოვანების მიხედვით რიგდებოდნენ. ხუცეს ლუდს სთხოვდნენ და თასები თასებზე იცლებოდა. „კა ლუდი ას“! „სვიან მომხდარას“!.. „შაუნდნას“! „შასვი“! „გაამოს!“ — ძლიერდებოდა წამოძახილები.

იმ დღეს, ხუცესი ძაღლიკა კარგ გუნებაზე იყო: ოცამდე კურეტი დაბა იახსრის კარზე. იახსრის მადლით შემოსავალი ძლიერდებოდა. გახარებული დათვიას დასჭიხვინებდა, მედროშე ჩალხიას ლუდიან თასს თასზე აცლევინებდა, ადღეგრძელებდა, იცინოდა და აცინებდა.

ჯერ შუადღე არ იყო მოახლოვებული, რომ გახარებულმა ჩალხიამ მხარი წაჰკრა ძაღლიკას, გაუღიმა და შარაზე მიმავალ თეთრი კურეტის პატრონზე მიუთითა.

— დიდება შენდა, იახსარ!.. დიდი ას შენი ძალა, დიდებული,—თქვა გახარებულმა ძაღლიკამ, როცა დარწმუნდა, რომ გაგას დედას, მზიას, კურეტი მოჰყავდა იახსარში ზღვნად.

ამის შემდეგ ვინღა ამოიღებს ნმას! ვინ გაბედავს ხატების წინააღმდეგ ბრძოლას?! ყველაზე ავი კომკავშირელის — გაგას დედა ლოცულობს ნატს!..

— დიდო იახსარ!.. დიდი ას შენი სიძლიერე!

— სწყალობდას, იახსარის მადლ სწყალობდას. — ამბობდა პირმომღიმარი დათვია და ხუცესს სთხოვდა მეტი ყურადღებით მოჰქცეოდა მზიას.

— სამგზის ვეტყვი წყალობისას!.. — იცინოდა ძაღლიკა.

— შეეწივას იახსარ, კას ჩადის!..

— ერთ შვილი ხყავის!..

— ბედბოლოს ნატრობს.

— გაგაის გაჩენას, არ გაჩენა ერჩივა.

— დედ-მამას არცხენის!..

— სოფელს კარგ სიკეთეს ჩაადენს!..

— ბევრ კას აკეთებს ხალხისად!...

საუბრობდნენ საჯარეში მსხდომი მოხუცები და ყალიონებს აბოლებდნენ.

...ღმერთმა დასწყევლოს კომკავშირლები!.. .მოულოდნელად გაჩნდნენ საჯარეს. ბევრი ერბინათ, მაგრამ დაწყებას მაინც ვერ მოუსწრეს.

— დავიგვიანეთ!.. — ჯავრობდა მანგია და ოფლს იწმენდდა გახურებულ სახიდან.

— დავალება უნდა შევასრულოთ, წუწუნი რას გვიშველის!... — პასუხობდა გაგა. იგი მისვლის უმალ დაინახა ჩალხიამ. — ფერი ეცვალა: გაგას ეტყობოდა, რომ ხატის სალოცავად არ იყო მოსული. მას არც პირჯვარი დაუწერია, არც აშენება უთქვამს, ხის ქვეშ ნაწოლი ახალგაზრდა მოძებნა, ნაბადში რომ გახვეულიყო, და მასთან წუთით შეისვენა. მხარზე ხელი დაჰკრა, რაღაც უთხრა და ორივემ გაიცინეს.

...ეშმაკის ფეხები! ახლა აღარ აპატივებს ჩალხია, არა! აგერ, სამი წელიწადია მას შემდეგ, რაც იგი გაგასთან ბრძოლის გზას დაადგა, მაგრამ დღესნამდე ვერ მიუღწევია მიზნისათვის. გაგა იზრდება, ხალხში მომხრეებს იმრავლებს, თემ-სოფელს მფარველობს. ხელისუფლების და ხალხის ხიდია. ახალი ყოფა-ცხოვრების პიონერია ხევსურეთში. ჩალხია კი... მამა-პაპათ ვერ გასცდენია... არც ცდილობს, იახსრის მადლით სული უდგას და პურის ლუკმას ჭამს. მკლავს უქებენ, გვარით და მამულით ამაყობს. ჯიში უყივის. ჯვარს ყმობს. იახსარის საყმოს მფარველობს, ხთიშვილთა ეშინიან და... „ფრთხილად, ფრთხილად, გაგავ, შენც! დიდი ას ლაღ იახსარი“...

საჯარეში მისულ მანგიას, ყურადღება არავისთვის მიუქცევია, დინჯად გახსნა შეკრული ქაღალდები და მლოცავი გააოცა: შეუხლართველად შევიდა „კვრივში“ და დროშების მახლობლად, ჩახავსებულ კოშკის კუთხეს გააკრა რაღაც ნახატი. იმ ადგილზე ფეხი არავის დაედგმებოდა—სურათს ვერავინ შეეხებოდა. ხევსურებს ლუდის სმა დაავიწყდათ და ყველა ნახატს დააშტერდა. სურათში ღრეობა ამოიცნეს — ჩაღრეებული ხევსურები ხანჯლებით კეჭნაობდნენ, გორავდნენ, არწყევდნენ. ხუცესი ძაღლიკა მთლად სისხლით იყო მოსვრილი, სისხლიანი ხანჯალი ეჭირა ხელში, რომლის წვერიც ჯერ კიდევ ამოუკრეფელი იყო ახლად ყელგამოღადრულ კურეტის კისრიდან, ჭრილობიდან სისხლი შადრევანივით ამოდიოდა. ნაწილი ძაღლიკას სცემდა სახეში, ხოლო ნაწილი საჯვარეს აწვიმდა და სისხლით იღებებოდა ღრეობა. ძაღლიკა სულელივით იცინოდა, ამღვრეული თვალებით ჩაჰკირკიტებდა გამოღადრულ კურეტის ყელს, მოკირთუნე, ახლადგადაჭრილ ძარღვებს და ხანჯლის წვერით კურეტს ტვინს უკლავდა. ღრეობის წინ ეყარა ყელგამოღადრული ცხვრები, ბატკნები, ვერძები და ყველას სისხლი სდიოდა. სისხლი იყო მიწაზე, სისხლი ჩადიოდა ლუდიან თასებში, საწდეში და სისხლიან ლუდს სვამდნენ მლოცავნი. ცოტა მოშორებით დახატული იყო შტოგაშლილი მუხები. მუხის ტოტებზე მშიერი ყვავები ისხდნენ და განუწყვეტლივ დაჩხაოდნენ საჯარეს. ზოგი მათგანი დაფრენილიყო ღრეობის მახლობლად, დასწაფებოდა პირუტყვთა სისხლს და წყურვილს იკლავდა. იქვე იწვა

გაძვალ-ტყავებული მყეფარი: იდუმლად უახლოვდებოდა ხელ-უკუღმა გადმოგდებულ ლუკმას. მის თვალებში იხატებოდა: ხვეწნა, მუდარა და ზიზღი ადამიანთადმი. სურათის მარჯვენა მხარეს დახატული იყო სოფელი. სოფლის წინ — ლამაზი შენობა — ქოხ-სამკითხველო. შენობის ეზოში მწვანე ბუსნოზე მოგროვილიყვნენ ახალგაზრდები, პატეფონს უკრავდნენ, თამაშობდნენ, უსმენდნენ და გაიხარებდნენ. იქვე ხის ქვეშ სუფრა იყო გაშლილი: ჭაღარა ხევსურები ესხდნენ მაგიდას და უხვი სასმელსაჭმელი გაშლილიყო მათ წინაშე. რამდენიმე გლეხი სამკითხველოს წინ დამდგარიყო და რადიოს უსმენდა. სამკითხველოს აივანზე ახალგაზრდები ჭადრაკს, შაშსა და ნარდს თამაშობდნენ. თმა-ხუჭუჭა ძილუკას ქალ-დედაკაცები შემოხვეოდნენ და ის გაზეთს უკითხავდა.

სურათის დანახვაზე ხალხში ჩუმი მითქმა-მოთქმა ატყდა.

— ურწმუნონი!.. თქვა ვიღაცამ.

— რისხვა იახსრისა!.. — დაუმატა მეორემ.

— სიმართლე ას!.. — წამოიძახა ჭაღარა ხევსურმა და პატეფონი დაინატრა.

— არა მოუცია ხატებს, არა!

— მხოლოდ ზარალი კი დიდი!

— რისხვა იახსრისა, იახსრის კვრივის შემლახავს!..

აყვირდა ძაღლიკა. დასტურები მოიმხრო, ჩანჩხები წააქეზა და ერთხმად შერისხეს კომკავშირელები.

გაგას შუბლი სინას უგავდა, თვალებიდან ფოლადი ელვრებოდა. გული სტკიოდა კომკავშირელს. დედამ კურეტი მიიყვანა ხატში!.. ვიღას დაუშალოს მავნე წესები? და, მან ხატს შესცოდა: აყვირებულ ძაღლიკას ყურადღება არ მიაქცია, ნელა მიუახლოვდა დასახოცად ჩამწკრივებულს საკლავებს. თეთრი კურეტი ახსნა, აუშვა. ხუცესმა სიმწარით დაიღრიალა. ბულამ ლაღად შეჰყვირა, თითქოს მადლობას უხდისო გაგას. შემდეგ ჰაერი შეისუნთქა. მიწას რქა მოჰკრა და ჯიქურად დაეჯახა გვერდზე ნადგომ კურეტს,—საბმური დააწყვეტინა. ერთიმეორეს დაეჭიდნენ, კურეტები აზმუვლდნენ, აბუბუნდნენ და დაბრაზებულებმა ხატის კარზე მიწა მოთხარეს რქებით. შემდეგ გაფრთხნენ და ველად გაიჭრნენ.

ძაღლიკა დროშებთან მიიჭრა. ზარს დაჰკრა და გაგას რისხვა უთხრა:

— რისხვა იახსრისა, გაგავ, რისხვა, დალივ შენობა. — იძახოდა ის სახეგაფითრებული, თმაგაშლილი და მლოცავის ხატების დაცვისკენ მოუწოდებდა. გაგამ, მანგიამ და რამდენიმე სხვა ახალგაზრდამ ერთად მოიყარეს თავი, მლოცავი მიიზიდეს. მავნე წესები დაჰგმეს, ახალი ცხოვრება დაანატრეს.

— როს ვეღირსებით, როს?.. — იძახდა შუახნის ხევსური.

— ცოტა ხანაც მოითმინეთ და ყველაფერს მოესწრობით. ამ დღეებში კრებას ჩავატარებთ და სათქვამი მაშინ ვთქვათ, — უთხრა გაგამ. ერთხანს კიდევ ილაპარაკეს მლოცავებს შორის. შემდეგ გაგას მაცნე მოუვი-

და: სოფლის საბჭოში იბარებდნენ — ვიღაც უცხოები მოვიდნენ და იგი ახალი ამხანაგების შესახვედრად წავიდა, თან გაიყოლა წყევა-კრულვა, ტკბილი სიცილი და ახალგაზრდობის მოცინარე თვალების ელვარება...

* * *

დედროვანში ნაჯდომ მზიას თავ-ზარი დასცა შვილის მოქმედებამ. შეძრწუნებულმა მოხუცმა თმები გაიშალა, მანდილი მიწას დაჰკრა, ფარაგი დაბერტყა და ერთად-ერთი შვილის საწყევარი თქვა:

— ნუმც დამწერინარ, გაგა, ნუმც გიწოვია დედის ძუძუ!...

— კომკავშირელნი!.. — ზიზღით თქვა ვიღაცამ და მზიას შეუბღვირა.

— არამ იყავს დედის ძუძუ!..

— ქალ-ზალის ცრემლი ნუ ეღირსას!

— ნუმც გაიხარებენ!—ჩიფჩიფებდნენ მოხუცები, სწყევლიდნენ განძას, აბიკას, გაგას და მანგიას. მზიას ჭირის ოფლი დაასხა. საკუთარ თავს იწყევლიდა: რად არ წყლად იქცა გაგა დედის მუცელში, რად არ გველი შობა მზიამ გაგას მაგიერ!... უწინამც მზე დაბნელებოდა.

— იყავ წყეული!..

— ნუმც გაიხარებ, გაგავ!...

— რისხვა იახსრისა. რისხვა!

დიდნანს, დიდხანს გრიალებდა ჯვარ-ჯვარის კარი. ერთი მეორეში ირეოდა: ლანძღვა, გინება, წყევა-კრულვა, კურეტების ზმუილი, ზარების ძგრიალი და მზიას მოთქმა.

ჩალხიამ დრო იხელთა—ახლა გადაუხდის გაგას სამაგიეროს: ცეცხლ-მოკიდებული დროშებთან მიიჭრა, სამიოდე დროშა დატოტა, ერთად შეაჟრიალა, მეზარეს ზარებისთვის აცემინა და მლოცავს თავ-ზარი დასცა.

— გაგა უნდა მოვიშოროთ! ხალხო. ხმა ამოიღეთ!..

— მამა-პაპის წესები დაიცავით, ჯვარით ნუ სცოდავთ! მავნე თავიდან მოიცილეთ!. გაგა მოვიკვეთოთ!.. — ყვიროდა ის და დროშებს აჟრიალებდა, ხალხს ერთ-პიროვნებას ურჩევდა.

— მოკვეთა არ კმარა!..

— ჩაიქოლოს!

— სისხლი დაიღვრების!

— მთავრობა არ გვაპატიებს!

— გაგა კომკავშირელი ას...

— კა საქმეს აკეთებს...

— სოფლის იმედი ას!..

— მაკვლა რანლა იქნების!.

— ჩალხიას ჯავრი სჭირს!.

— ხალხის სიკეთეს გაურბის..

— გაგა კი...

— სიკეთეს შვრება, სიკეთეს!..

— ბალღი შესცდა, ხომ არ დავლუპავთ!..

— ურწმუნოა, ურწმუნოა, ხატს შესცოდა!.. — ირევა ხმები. მლოცავი ორად გაიყო, კამათი ძლიერდება:

— ჯვარი რისხავდეს გაგაის მომხრეთ!..

— იახსარს სურს გაგაის მოშორება!.. ხთისრიხვას დაატრიალებს, ცეცხლით დაიწვება იახსრის მოლალატე!..

— ნუმც გაიხარებენ...

— ამინ!.. — იძახის ძაღლიკა.

— ამინ შენს დიდებას!.. — ყვირიან დასტურნი.

— ხალხნო, გაგა მოიშორეთ, გაგა!—ურჩევს ჩალხია.

— მოვიკვეთოთ, მოვიკვეთოთ!.. — ერთხმად პასუხობს აღშფოთებული მლოცავი. ვიღაცამ საკლავი მოიყვანა მეორემ გრძელი ქვა მოძებნა, ქვა სამნად ჩააგდეს და ზედ გაგას სამრისხველო საკლავი დაკლეს.

— დღეის შემდეგ გაგა მოკვეთილი ას!..—განაცხადა კმაყოფილებით ალსავსე ჩალხიამ.

— დაბუგას ლაღ იახსარმ!.. — მიემხრნენ ჩანჩხები.

— დედა-დის ცრემლ ნუ ეღირსოს! — იძახოდნენ ქალები.

— კერა ჩაუქრას გაგაისად ცეცხლის ჩამდებს!..

— კეზ გაუტყდას გაგაისა შინ შამშობს —

— ხმალ გაუტყდათ გაგაისად გვერდით დამდგომს! — და სამანი შემიწეს.

— მოკვეთა არ კმარა! — წამოიძახა დათვიამ.

— მაშ ჩაიქოლოს! — წახალისდა ჩალხია.

— უნდა, უნდა!.. — პასუხობენ ჩანჩხები, — დასტურები.

— სისხლ დაიღვრების!..

— კა საქმე არ იქნების!..

— გაგა სოფელს დააკლდების!.. — ისმის მლოცავთ წამოძახილები.

აგერ ძაღლიკამ დათვიას რაღაცა უთხრა. ჩალხიას ხელი წაჰკრა, აალაპარაკა.

— ვინ ას გაგაის ჩაქოლვის მომხრე?!

ხალხი შეკრთა. თავები დახარეს. ერუანტლად გაუჯდათ ტანში: დროშების ერიალი, ზარების რეკა, ხუცესის რისხვა და მუქარა.

— გაგა კომკავშირელი ას. ხელისუფლება არ გვაპატიებს. — თქვა შუბლშეკრულმა ახალგაზრდამ.

— ჩვენთვის არაფერი დაუშავებია, სოფელს სიკეთეს უშვრების.

— ბევრ კა გააკეთა!.. — დაუმატა მესამემ.

— ჩაქოლვა რახლა იქნების!..

— ხატ მოითხოვს ჩაქოლვას, გესმით, ხატი! ადვილი ხომ არ არის: იახსრის რისხვა დატრიალდება. მშველელ ანგელოზი გაწყრება, ზურგს შეაქცევს საყმოს, ლაშქარ-მწევარნი აიშლებიან, დობილ-ხავალან გადმოიყრებიან. ცა რისხვით აქუხდება. ქვეყანას წყალ წალეკავს. ელვან დასდაღავენ....

— ღმერთო ძლიერო!..

— ლალო იახსარ!..

ქალებს შიშით ცხრო შეუჯდათ, მამაკაცები თავს ხრიან, ჩოქს იყრიან დროშების წინ და ხოიშნობას სთხოვენ ლალ იახსარს.

აზრი ერთია:

გაგა უნდა ჩაიქოლოს!..

— საიდუმლოს ვინ გასცემს!!

— გაგას ვინ შეატყობინებს!..

— ხალხს წინ ვინ გადაუდგება!

— ვინ შესცოდავს იახსარს!

— კომკავშირელს ვინ დაიფარავს?

მკვდრული სიჩუმე. ხმას არავინ იღებს — ხატისა ეშინიათ. „დიდი ას იახსრის ძალა". ერთად-ერთი განძა იღიმება. მლოცავს თვალებით ცელავს. ამხანაგებს დაეძებს — ყველა გამქრალა, აღარც გაგაა, არც მანგია, არც ხთისო!... აგერ აბიკას მოჰკრა თვალი. სახეზე სინისფერი დასდებია, ბრაზი ახრჩობს. აბიკა სატრფოსკენ მიიწევს. განძას ფარად დგომა სურს. სიტყვის სათქმელად ემზადება, მაგრამ განძა აღარ აცლის: ხუცესს ზურგს შეაქცევს, ჩამწკრივებულ მლოცავისკენ შეტრიალდება და ფოლადსავით წკრიალა ხმა გაითამაშებს ჰაერში: განძა გაგას გული ას, გაგაის ამხანაგი, გაგაის გაწირვას არ აპატიებს ჩალხიას... ქალია, მაგრამ იახსარზე მეტ რისხვას დაატრიალებს: კომკავშირს მოუხმობს, რაიკომს შეატყობინებს, მილიციას დახმარებას მოსთხოვს და მტერს ზარს შესდებს...

— წყეულო მოჯამაგირევ!..

— უნამუსო ძუკნავ!..

— რაით გაბედა სოფლის პირის გატეხა!..

მლოცავს შურის ცეცხლი ედება. აბიკას ბრაზი ახრჩობს. ხელები უკანაკალებს, თვალებში ცეცხლის ალი ენთება-სატრფოს მიწასთან უსწორებენ, უიარაღო ქალს ებრძვიან!.. არ აპატიებს აბიკა, არა!.. აგერ ხუცესი ძაღლიკა ადგა. დროშა შეაჟრიალა და ბრძანება გასცა:

— ფარაგ *) მიეჭრას განძას!..

— ტიტველამ იარს მამროვანში!.. დაუმატა ჩალხიამ. წინ გადმოხტა. ათრთოლებული ხელით იღებს დანას. განძას ნელი ნაბიჯით უახლოვდება, თვალებით აშტერდება. შურისძიება სწყურს — წარსული ნანატრი უცხადდება.

— შეჩერდით ხალხო!.. შესდექ ჩალხიავ!.. აპატიეთ აბიკას განძა!.. სისხლს ნუ დაღვრით!... თემ-სოფელს ნუ ავრევთ. კარზე მაიქცენით!.. — ორთის აბიკა, კანკალებს. სამჯერ წაავლებს ხელს ნაგანის ტარს, მაგრამ ხელი უდუნდება: უდგება წინ გაგას სახე: „ამხანაგო აბიკა!... შენ მეტისმეტად ფიცხობ, ჩვენი მიზანი კაცის კვლა არ არის. გესმის? — კითხულობს აბიკა გაგას სახეზე, არაერთხელ ნათქვამს გაგას პირით. უწინ აბიკაც შემდგარა, აოხრებული წყურვილი გულში ჩაუკლია. ახლა კი..

---

*) ფარაგი — ხევსური ქალის სამოსის გულისპირია.

აბიკას სატრფოს ფარაგი უნდა მოსჭრან. განძას სამუდამო სირცხვილი უნდა დასდონ ხევსურეთში. არ აპატიებს აბიკა: მოჰკლავს და მოკვდება.

— ვაშკაცს ქალთან რა ესაქმების!.. ვაჟ ვაჟს უნდა დაუხვდას!.. ნუ, ჩალხიავ, აიღე ხელი განძას ფარაგიდან!... აბიკა გაგცემს სამაგიერო პასუხს!.. ვაშკაცი დადგება ვაშკაცის წინ!

— იყუჩე, ვაჟო!.. — უგემურად იღიმება ჩალხია და ქალის ფარაგს ჩაავლებს ხელს — ვერცხლის ღილ-შატს მოგლეჯს, გალესილ მახვილს ჩამოჰკრავს მტკიცედ ნაბეჭ შალს და განძას თეთრი გულმკერდი გამოანათებს.

ხელ-ფეხგაკავებული განძა იბრძვის. აბიკას თავზარი ეცემა, თვალები უბნელდება, გრძნობა გონებას ფარავს და განძას კივილს ნაგანის ჭახუნი გაჰყვება ტოლად.

ჩალხია შეჩქვიფდება, შეიკურნჩხება და მოცელილივით ეცემა მლოცავის წინ. მკვლელი აბიკა ვეფხის ნახტომს აკეთებს, მლოცავს გაარღვევს და ველად გაიჭრება.

გაოცებული ხალხი წუთით შედგება და უცებ მხეცური ღმუილი ამოხდებათ—აოხრდებიან. ერთი-მეორეში აირევა:

მლოცავთ ყვირილი, ჩალხიას კვნესა, განძას კივილი და აფორიაქებული ცის ქუხილი.

ფარაგმოჭრილი განძა კივილით გარბის სოფლის შარაზე და ჯერ მზის სხივმიუკარებელი თეთრი ძუძუები ცის ცრემლით იბანება. მთის ბროლივით ლივლივებს მარმარილოს ფიცარზე.

— ღმერთო, ღმერთო!.. რა დაგიშავათ განძამ!.. ფარაგმოჭრილი!.. რად უნდა სიცოცხლე!.. მშვიდობით, ტკბილო სამზეო და შენც, შავგვრემალავ აბიკავ!.. მშვიდობით, ამხანაგებო: გაგავ, ძილოვ და ხათუთავ!.. ველარ ნახავთ განძას! თავს მოიკლავს, თავს!.. შურისძიება?!.. არა, არა. სიკვდილი მოიტაცე განძა!.. დაიმიწოს ადამიანის ხელშეუხები ძუძუები—შერცხვენილი ძუძუები!..

— შურ იძიე, განძავ, შური!.. — მისძახის მას იდუმალი ხმა. შური იძიოს?! ჩალხია გაქრა: აღარ არსებობს ამ ქვეყნად, მტერი ბევრია, განძავ. ბევრი. თავის შოკვლა რას გიშველის? სიცოცხლე გიღირს. საამო ცხოვრება გიძევს წინ!

განძა ოდნავ შედგება. ათრთოლებულ ხელებს იფარებს შიშველ ძუძუებზე, შემკრთალი მიდამოს ათვალიერებს.

— გონს მოდი, ქალო! ტკბილია სამზეო! საამოა ცხოვრება! მტერს სამაგიერო გადაუხადე!

— ტკბილო ხმავ!.. — განძას გონება უფხიზლდება, თვალებს საფარველი ეხდება. კომკავშირის მოვალეობა გაახსენდება და მის თვალებში სიცოცხლის წყურვილი აკიაფდება. წინ მდებარე გზას გაზომს, სოფელს გვერდს აუხვევს და მწყემსის ქოხში შეაფარებს თავს.

* * *

ამლილი ღრეობა ნელ-ნელა მშვიდდება. იდუმლად წვება შავი ბინდი მთათა გრეხილებზე. მიდამო წამით გატვრინდება, თითქოს ღამისა შეეშინდაო და კვლავ ღრუბელნი აქუხდებიან. ლემადე, ლემადეს დასჯახებია. ელვათ გირკლები კვეთენ შავ უკუნეთს. ცა ქუხს, გრიალებს, იფითება. იზნიქებიან ქუდდაჟანგული მთა-გორები და. შეშინებული ცხოველნი თავ-შესაფარს ეძებენ. ელვა კოდის ფხას დაეჯახება, — შლის. დაშლილ ქვა-ლოდს, მწვანე ფერდობს გადმოშლის და ჭალისკენ ერეკება. ელვის სინათლეზე ელდ-ელდად გამოჩნდება ქარაფის ბოლოს არწივის ბუდესავით მიკრული სოფელი. აქა-იქ მიბნედილი სინათლე კიაფობს. თმაგაწეწილი ბებერი მუხლს მოიყრის კარებთან. ხელებს შლის. კარებიდან უჭვრეტს აბობოქრებულ ცას და ნელად ჩიფჩიფებს:

— ღმერთო, ღმერთო! დაგვიხსენ უბედურებისგან... დიდო ხახმატურო!.. რად დააღონე მზია!.. რად დასწერე შემარცხვენელი შვილი! გაგავ!.. დედის იმედო, დედის ერთავ!.. რად ჩაიდინე ავი საქმე, რადა?! რად შესცოდე ლაღ იახსარს!.. რა ჰქენი შვილო?.. რად გაუქარწყლე დედას იმედი? რად დააღვრევინე ადამიანის სისხლი აბიკას, ადამიანო, რად? გრცხვენოდეს, შვილო. გრცხვენოდეს, დედ-მამის შემრცხვენელო, ჯიშის მომთხრელო. ვის რად უნდა შენი კომკავშირელობა, შენი საქმიანობა, თუ იახსარს შესცოდავ, ადამიანის სისხლს დაღვრი? ქრება იმედი. მითენდება უკანასკნელი ღამე!.. ქალავ, ქალავ, შავ-ბნელო განძავ!.. წყეული იყავ თემ-სოფლის პირის დამრღვევო, დედ-მამის შემარცხვენელო, ფარაგმოჭრილო! არამი იყო დედის ძუძუ თქვენზე, არამი!.. ოქროს პერანგიანო წმინდაო სამძიმარ!.. გადმოხედე ტანჯულს და ჩქარად მიიბარე წყეული დედის საბრალო სული.

მოხუცი რომ ამ წყევა-კრულვაში იყო გართული, სწორედ ამ დროს აფორიაქებული აბიკა გაგასთან მიიჭრა, მომხდარი ამბავი აუწყა და თავ-დახრილი დადგა მის წინაშე.

გაგას სახე გაუფითრდა, სიბრაზით ხელები აუკანკალდა. დიდხანს იდგა ხმაამოუღებლად. მათ გარშემო მდგომნი: სოფსაბჭოს თავმჯდომარე, ოთხიოდე მილიციელი, სადარაჯოს უფროსი და რაიონიდან მაშინლა ამოსული სამი ახალგაზრდა, წუთით გაჩუმებულიყვნენ და ყველას გაგამ დაასწრო სიჩუმის დარღვევა:

— შენ უდიდესი დანაშაული ჩაიდინე. — მიმართა მან აბიკას არეული ხმით და მწყრალად შეხედა. აბიკა შეკრთა, ფერი ეცვალა.

— მტერ მავკალ!. — თქვა მან ოდნავ წყენით.

— სამაგიეროდ პასუხს აგებ! გესმის თუ არა, პასუხს?! მე მოვითხოვ, რომ ახლავე დაგაპატიმრონ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე.

— გაგავ!.. — თქვა აბიკამ და უნებურად წაძრა ბიჯი ძმად-ნაფიცისკენ. — მე მტერი მოვკალ, კლასიური მტერი და შენ კი...

— სამწუხაროდ მადლობას ვერ მიიღებ, კაცი მოჰკალი. ხალხში არევ-დარევა შეიტანე და ვინ იცის რამდენი საიდუმლოც ჩააყოლე მიწაში ჩალხიას. ის გასაღები იყო იმ კარისა, რომლის იქითაც კლასიური მტერია ამოფარებული. შენ კი.. გაღების მაგიერ კარები ჩაჰკეტე.

— მტერს მტრულად მოექეცი, გამიგონია და მეც ველარ მოვითმინე, ვერ დავიოხე წყურვილი.

— შენ კომკავშირელი ხარ და უნდა გრძნობდე ამას. არაერთხელ გსმენია ამხანაგების ნათქვამი, რომ ჩვენი მიზანი იარაღით ბრძოლა არ არის. ჩვენ საქმე გვინდა, საქმე!

—-კუზიანს სამარე ასწორებს!

— არსებობს ხელისუფლება, სასამართლო.. კანონი.

— კი მაგრამ, მან არ მაპატივა ერთად-ერთი იმედი ჩემი სიცოცხლისა. განძა სამუდამოდ შეარცხვინა: ფარაგი მოსჭრა.

— შენ სცდები, აბიკა. პირადი ინტერესები გაჩქარებენ და ჰკლავ ადამიანს, ამით ხელს უშლი ჩვენს მუშაობას, პარტიისა და ხელისუფლების საქმიანობას. ეს კი უდიდესი დანაშაულია.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ, აბიკა! — გამოართვა სიტყვა სადარაჯოს უფროსმა გაგას და შემკრთალ აბიკას იარაღი მოსთხოვა.

გაგამ უხერხულობა იგრძნო: დროებით ჩამოშორდა სიყრმის ამხანაგს, თავდადებულ კომკავშირელს.

— თუ ღირსი ვარ.. — თქვა აბიკამ და ოდნავ ჩაფიქრდა. გაგას გადახედა: პატიების თხოვნა სურდა, მაგრამ ყველას სახეზე ცივი ეტლი ცქიატობდა: მდურვით შესცქეროდნენ კაცისმკვლელს. მან დინჯად დახარა თავი და მილიციელს გაუძღვა წინ.

* * *

გავიდნენ დრონი. წელში გადატყდნენ ბრძოლის დღეები. მიწყნარდა ქვეყნიერება. სიმშვიდე გამეფდა მთაში და ერთერთ დილის მზის ამოსვლისას ზარის ხმა გაისმა კოპალის სალოცავიდან. ათენგენის დღეები იყო, მაგრამ ღრეობა არ სჩანდა. არც კურეტები იყო ჩამწკრივებული. თეთრი „ორბა“ მანძილა გამხდარიყო. ზარის ხმაზე შეკრთა, საიალაღო მწყარალად შეათვალიერა. ქედზე გასულმა მიწა მოთხარა და ლაღად აყვირდა, თითქოს გაგას ეძახდა: „ცოცხალი ვარ, ცოცხალი... შენ მაჩუქე სიცოცხლე!..“ ამ დროს გაგა ზართან იდგა და რეკავდა: კოლექტივის წევრებს მოუწოდებდა. ზარის ხმაზე სოფელი ფეხზე დადგა. კრებისთვის მოემზადნენ. ადრე გაღვიძებულმა განძამ საჩქაროდ მიირბინა შინ, საქონლის ბაგიდან. აკვანში ნაწოლი ჯურხა გადაკოცნა და აბიკასთან ერთად წავიდა კრებაზე. კოლექტივის წევრები ნელ-ნელა გროვდებოდნენ საჯარეს. კრების მოლოდინში რადიოთი ერთობოდნენ. ახლად მოსულ სტუმრებს ზარის ამბებს ჰკითხავდნენ და თავისას უამბობდნენ.

გაგა იჯდა მაგიდასთან. გვერდზე მდგომ ამხანაგს რაღაც ცნობებს აძლევდა. ბოლოს ადგა. კრებას სიწყნარე მოსთხოვა და დინჯად თქვა:

— ამხანაგებო, კოლექტივის წევრთა კრებას გახსნილად ვაცხადებ.

ყველა სმენად გადაიქცა, მხოლოდ ერთი მათგანი არღვევდა წესრიგს: ჯურხა ჭყიოდა,დედის ძუძუს ეხუტებოდა. ხელებით ეალერსებოდა, მოლაპარაკე გაგას უღიმოდა და აბიკას მამობით მოუწოდებდა.

ბევრი ეცადნენ, მაგრამ ვერ დააჩუმეს.

ჯურხა ამაყობდა.

ალექსანდრე საჯაია

*
* *

მე ახალგაზრდა ხეც მიყვარს, როცა
დიდ საბჭოეთის მიწაზე ხარობს,
გუშინ ღელესთან ტირიფი მორცხვად
მეუბნებოდა: თვრამეტის ვარო!

გუშინ მესტუმრა მეგრელი ერთი, —
ჩვენი ბრიგადის მოხუცი წევრი.
დალია... ყანწში არ დარჩა წვეთი
და სიმღერებიც იმღერა ბევრი.

მე ხანი ვკითხე, მან ხელში მაგრად
ჩამბღუჯა, თვალში მზერა გამირჭო,
მითხრა: ასოცი წლისა ვარ, მაგრამ
გული თვრამეტის მექნება, ბიჭო!

და დავიჯერე, რომ ჟამმა თუნდაც
ჩქარა გარიყოს წლების ფურცლები, —
ჩვენ ახალგაზრდა ვიქნებით ბუდამ,
ჩვენ არასოდეს არ მოვხუცდებით!

ალექსანდრო ჟღენტი

ჭაბუკი

ამხანაგ ბორის ძნელაძის ხსოვნას

ისევ მგზნებარე ხალხში იჭრები,
ჭაბუკს ცხოვრების წინსვლა გახარებს...
თბილისს მოსული ჯმუხა ბიჭები
კვლავ სიყვარულით ბაღში გნახავენ.

შეირხევიან ყვავილთ ბუჩქები,
აღტაცებული სწორებს გაჰყვები,
ღიმილს აფრქვევენ შენი ტუჩები —
და მხრებს გიმშვენებს მზის ვარაყები.

ბაღში ელვარებს მწვანე მაისი,
მოლზე მძივია ხეთა ჩრდილების,
ხალათზე მწყობრად მკერდს რომ გაიხსნი,
აციმციმდება თეთრი ღილები.

და ბრწყინვალებით ფიქრში გართული,
ყოველი წუთი ჩვენთან გაერთებს,
შენი ოცნების ეს გაზაფხული:
ჩვენ ვაჟკაცურად მოვახავერდეთ.

ხედავ, კრიალებს ზეცა საყვარლად,
სივრცე ლილისფრად ნალაჟვარდები:
სამშობლო მთების ქვაც კი აყვავდა,
შიწამ მოისხა მზე და ვარდები.

შენც ამ მიწაზე დგეხარ ყმაწვილი
ხელში გრაგნილით — თითქოს ხმალია,
ვით ეს ჭადარი ტოტებ-გაშლილი,
მუდამ მცინარე ხვდები ალიონს.

ისევ მგზნებარე ხალხში იჭრები,
ჭაბუკს ცხოვრების წინსვლა გახარებს...
თბილისს მოსული ჯმუხა ბიჭები,
კვლავ სიყვარულით ბაღში გნახავენ.

ვ. ავალიანი

კრეპრეპ

1918

ბინა, სადაც კომკავშირლების საიდუმლო კრებები იმართებოდა, დიდხანს მიუგნებელი დარჩა — გააფთრებული თეთრების კონტრდაზვერვისთვის.

ყოველდღე მატულობდა ჯილდო მათთვის, ვინც რევოლუციის საქმისთვის თავგანწირული ახალგაზრდობის თავშესაფარს აღმოაჩენდა. სულ მოკლე ხანში ჯილდომ გაუგონარ რაოდენობას მიაღწია, მაგრამ თეთრების მისწრაფება ვერც ამგვარმა გულუხვობამ დააკმაყოფილა.

კიდევ ერთი საშუალება დარჩა. ერთადერთი, ყველაზე უფრო ძნელი, მაგრამ ყველაზე მეტად საიმედო...

შენიღბული ჯაშუშის წყალობით კონტრდაზვერვის ჩასაფრებულმა აგენტებმა ერთი ღამის განმავლობაში ჩვიდმეტი კომკავშირელი შეიპყრეს სათითაოდ — საიდუმლო ბინაზე. დანარჩენები კი, ვინც იმ ღამეს იქვე უნდა შეკრებილიყვნენ, ერთერთმა გამოქცეულმა ამხანაგმა გააფრთხილა.

შეპყრობილები ყაზარმად და სატუსაღოდ გადაქცეულ სასტუმროში მოათავსეს. ამ სასტუმროს უკანა ეზოში აგურის კედელი ერთიანად აჩიჩქნილი იყო ჯგუფურად მოხვედრილი ტყვიისაგან. ამ კედელთან ხვრეტდნენ ჯიუტ და გაუსწორებელ კომკავშირლებს — უმეტეს შემთხვევაში უბენართვოდ და გაუსამართლებლად —

აქ, ამ კედელთან გავლას, თუნდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, ყველა განსაკუთრებით ერიდებოდა, რადგან ბნელი ღამის სანახაობათა დარჩენილი კვალის ხილვა დღისითაც კი შიშის ზარსა სცემდა გამვლელს.

იმ ღამესაც, შეპყრობილი კომკავშირლების ახალი ჯგუფი მოიყვანეს და მესამე სართულზე საპატიმროდ გადაქცეულ ოთახებში გაანაწილეს. სამჯერ თუ ოთხჯერ გაისმა სროლის ხმა. პატიმრებს ინსტიქტიურად გააჟრჟოლა და აფიქრებინა, რომ ეს სროლა კარგს არაფერს მოასწავებდა...

ჩვიდმეტ კომკავშირელში ერთი ქალი იყო. მის მძიმე მდგომარეობას ეს კენტად ყოფნა კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა. ოთახი, რომელშიც კლარა მოათავსეს, საკმაოდ მოზრდილი და ნათელი იყო. სხვა ყველაფერი კი: ფურთხით აჭრელებული და პაპიროსის უამრავი ნამწვავებით მოფენილი იატაკი, კედლებზე ძველი — გამოხუნებული და აქა-იქ ჩამოფლეთილი შპალერი — გულისრევას იწვევდა მხოლოდ. ფანჯარას არც ერთი შუშა მთელი არ შერჩენოდა. ყველა თავიდან ბოლომდე საგულდაგულოდ იყო ჩალეწილი, ფანჯრის ჩარჩოებზე ჯვარედინად იყო მიკრული ორი მოზრდილი ფიცარი.

კლარას წუთით დაავიწყდა თავისი მდგომარეობა, ფანჯარაზე მიკრული ფიცრების დანახვამ და მათმა უმაქნისობამ ღიმილი მოჰგვარა. უფიცრებოდაც ხომ არაფერი მოხდებოდა, — ხედვით — თავისუფლად შეიძლებოდა გახედვა ახლაც; გადახტომას კი აქედან, მესამე სართულიდან გადარჩენის იმედით ვერავინ იკისრებდა...

ღიმილი ბრაზმა შესცვალა; კლარამ ფიცრის შუაგულს ორივე ხელი მოსჭიდა, მოსწია, სული მოითქვა — კიდევ მოსწია, გაისმა ღრჭიალი და მსხვილი, მოზნექილი ლურსმანი ნახევრამდე ამოვიდა ნაჭედიდან.

კლარა ფანჯრისაკენ ზურგშექცეული, ხელდაჭდობით, ერთხანს შესცქეროდა კარებს. მაგრამ ეტყობოდა ხმაურზე კარის გაღებას არავინ სთვლიდა საჭიროდ. მან თავი ჩაღუნა — ამოიოხრა — ფანჯრიდან კარებამდე დინჯად გაიარა. მობრუნდა, ისევ ფანჯარასთან მივიდა. საღამოვდებოდა. ოთახში საკმაოდ ბნელოდა, ქალაქს კი ისევ ევლებოდა შემოდგომის მზის უკანასკნელი სხივები. ყველაფერს წითელი ფერი გადაჰკრავდა; ღრუბლებიც სისხლშესრუტულ ბამბასავით ეკიდა ცაში. შემდეგ ცა ნელნელა გაფითრდა, ღრუბლის ქულებიც გაიცრიცა და შეუმჩნევლად გაჰქრა. ამ ფიცრებით ჯვარედინად აჭედილი ფანჯრიდან თავისუფლად სჩანდა ქალაქის ნახევარი, რომელიც ახლა საღამოს ბურუსში ჩანთქმულიყო, მხოლოდ აქა-იქ მაღალი სახლების მუქი სილუეტები სჩანდნენ გარკვევით ჰორიზონტის მტრედისფერ ფონზე.

ღამით მხოლოდ ქუჩებში ანთებდნენ სინათლეს, სახლებში კი ბნელოდა, არც ნავთი იყო, არც სანთელი.

ქუჩების გასწვრივ რამდენიმე ფანარი ბჟუტავდა ყოველ ღამ, და იმათაც განთიადის მოახლოვებისას საჩქაროდ აქრობდნენ მეეზოვეები ნავთის ეკონომიის მიზნით...

ორი დღე და ორი ღამე გავიდა.

კლარას ოთახის კარი მხოლოთ ოთხჯერ გაიღო ამ ხნის განმავლობაში, ისიც მხოლოდ საჭმლის გადასაცემად.

საჭმელი მოჰქონდა მოხუც ჯარისკაცს, რომელიც ყოველთვის შუბლშეჭმუხვნილი და თვალებდახრილი შედიოდა პატიმართან. ასეთი საჭმლის მოტანისთვის მგონი თითონ მომტანსაც რცხვენოდა და ისე დაბლა ხრიდა თავს, თითქო თანაუგრძნობდა ახალგაზრდა გოგონას და თანაც მორჩილად ბოდიშს იხდიდა...

ორმა დღე და ღამემ ლოდინში, ტანჯვაში, უძილობაში, მაგრამ მაინც მშვიდობით ჩაიარა. მესამე ღამეს კი კლარა უმალვე მიხვდა, რასაც ნიშნავდა უდროო-დროს კარის გაღება და გამოძახება. ორი დღედაღამის განმავლობაში ფეხზე დგომით და ფანჯრის რაფაზე ჯდომით მოქანცულ გოგონასთვის უკვე სულერთი იყო — რაც დაემართებოდა-თუმც უსაზღვრო, დაუმორჩილებელი ზიზღი მტრებისადმი ისევ წინანდებურად დუღდა გულში.

ყოველ ღამ — ნაშუაღამევიდან დაწყებული—სასტუმროს სამსართულიან შენობას ზანზარი გაჰქონდა.

ცეკვავდნენ, ქეიფობდნენ, თავდავიწყებამდე სვამდნენ და თავდავიწყებამდე ეხვეოდნენ ტუჩებ და ლოყებშეღებილ „ლამაზებს“ კონტრდაზვერვის ოფიცრები, ბ — ნი გენერლები... ხელქვეითები. აქ, ქეიფის დროს, მოისურვეს ოფიცრებმა კლარას დაკითხვის მოწყობა. ასეთი დაკითხვა პირველი არ იყო ამ სასტუმროში. გოგონამ შესვლისას—მკრთალ სინათლეზე, პაპიროსისი ბოლში ვერაფერი გაარჩია, გარდა ოფიცრების ბრჭყვიალა პაგონებისა.

კლარა კარიდან ორი ნაბიჯის მანძილზე შეჩერდა; რათა უფრო კარგად დაეთვალიერებინათ თვალებდაჭყეტილ ოფიცრებს მისი ლამაზი სახისა და ტანის ნაკვთები, მცველმა გამოიჩინა მიხვედრილობა და ხელებშეკრულ გოგონას საგრძნობლად უბიძგა. კლარამ კიდევ გადადგა ორი ნაბიჯი.

ერთერთმა ლამაზმა, რომელიც სკამის ზურგზე შიშველმკლავ-დაყრდნობილი მისკენ მიბრუნებულიყო და პირის კუთხეში გაჩრილი პაპიროსის ბოლისაგან ამწვარ თვალს წამდაუწუმ ახამხამებდა, გაოცებით მიმართა:

— Давайте ближе, нечего бояться, мы тоже такие люди!

ვიღაცამ ჩაიცინა.

კლარამ თავაუღებლად შეხედა „ლამაზს“. თავისთვის გაიფიქრა: „სცდები, ქალბატონო“.

რადგან იმ „ლამაზმა“ ვერც პასუხი მიიღო და ვერც ადგილიდან დასძრა გოგონა, დინჯად წამოდგა, თეძოების გადაჭარბებული თამაშით გამოემართა, წინ, — სულ ახლოს დაუდგა. სანტიმეტრის სიგრძეზე წამწვეტებული ფრჩხილებით თითები ნიკაპ ქვეშ ამოსდო — თავი აუწია, მაგრამ თვალი არც ახლა გაუსწორა კლარამ. ლამაზმა არაფერი უთხრა, გვერდით ჩაუარა, მარცხენა ხელი მოულოდნელად სტკიცა საჯდომზე.

— Ничего, баба!.. Только немножко упрямая.

წინასწარ შეთქმულივით, „ლამაზის“ საქციელზე და შენიშვნაზე ყველამ ერთიანად გადაიხარხარა. ქალების კისკისი განსაკუთრებით მკაფიოდ ისმოდა ყელამოხრანტულ ოფიცრების ხარხარში.

„დაიწყო“, გაიფიქრა კლარამ.

— იური იურიევიჩ!.. — მიუბრუნდა მეორე „ლამაზი“ სავარძელში წამოწოლილ ოფიცერს, — მე რომ ჩამომაცივდით, აი თქვენს ხელთაა, ამ გოგონას მშვენიერი საკოცნელი ლოყები აქვს.

— ტუჩებიც! — დაუმატა ვიღაცამ.

— ო, ბრწყინვალე აზრია, თუმცა იგი ყველაზე ადრე მომივიდა თავში, მაგრამ... აქ ჩემზე უფროსებიც არიან, არა წლოვანების მიხედვით, по титулу!..

— ქალთან დამოკიდებულების საკითხში ყველა ტიტული ერთ დონეზე სდგას, — განმარტა ყველაზე უფროსმა.

ხმელხმელმა, წითურმა, იური იურიევიჩმა ნებართვის მიღებისთანავე წამოიწია სავარძლიდან. გაიმართა და დინჯი სამხედრო ნაბიჯით მაგიდის და გზაში გახერგილი სკამების გვერდის ავლით გაემართა კლარასაკენ. მისი დეზების რიტმული წკარუნი გულის სიღრმემდე სწვდებოდა გოგონას, ნემსებივით ჩხვლეტდა და მოთმინებიდან გამოჰყავდა. თუმცა გარეგნულად ძალიან მშვიდად ეჭირა თავი, ცდილობდა იქ მყოფთათვის ეგრძნობინებინა, რომ მათი თავხედური შენიშვნები მასზე ვერ მოქმედებდა, მიზანს ვერ აღწევდა.

იური იურიევიჩი ზურგიდან მიუახლოვდა, ფრთხილად შეახო ხელი მხარზე. შემდეგ მკლავი წყნარად გაუცურდა... თითები ნიკაპს ჩაეჭიდნენ, ოფიცერმა სცადა სწრაფად გადაეწია თავი მისთვის, მაგრამ კლარამ მოახერხა გასხლტომა.

ველარ მოითმინა გოგონამ, ცრემლები შეიკავა, მაგრამ ენა ვერ დაიმორჩილა...

— რა მიზანი აქვს ასეთ საქციელს!?.

— ჰე, ხე, ხე... — ახარხარდა და მუცლიან-სკამიანად შეიძრა მსუქანი გენერალი.

მაგრამ, რადგან დანარჩენები არ აჰყვნენ, გენერალმა სწრაფად უკლო ხარხარს. მაგიდაზე აფათურებულ თითებში მოყოლოლ ასანთის კოლოფს დააწვა და ჩაამტვრია.

— რაო, რა მინდაო! — გაიკვირვა გენერლის გვერდით მჯდომმა ახალგაზრდა პორუჩიკმა.

— რა მინდაო... — დაცინვით გაიმეორა კლარამ... — ტყვე უნდა დაიკითხოს — უპირველეს ყოვლისა... შემდეგ ან ციხე მიესჯება ან... — და გოგონას ყოყმანზე იქ მყოფნიც შეყოყმანდნენ...

— ან?.. — გაისმა დუმილში პირველი „ლამაზის“ ხმა...

— ან დაიხვრიტოს! — რაც თქვენ კავალრებს ასე ემარჯვებათ...

— დაიხვრიტოს! — ჩაფიქრებით გაიმეორა ნაოჭებით სახედაფარულმა ოფიცერმა, რომელიც აქამდე საქმეში არ ერეოდა — რას ჩქარობს?..

ყველაფერი თავის დროზე ხდება. — წარბების აწევით — ქარაფშუტული უდარდელობით განმარტა მანვე.

ამასობაში იური იურიევიჩმა კვლავ განაახლა შეტევა. მარჯვენა მკლავში ხელის წავლებასთან ერთად, მჭიდროდ მიეტმასნა, მარცხენა ხელი კისერზე მოსჭიდა, მაგრამ სანამ კოცნას მოახერხებდა, კლარამ მუხლი აიქნია უნებურად, მუხლი ფეხებს შუა მოხვდა ოფიცერს, უმალვე მოდუნდა, მოიკუზა და ურცხვად—ბავშვივით ჩაცუცქდა, სახემოღრეცილი.

რამდენიმე წუთის წინ დაწყებული ხარხარი წარმატებით გრძელდებოდა... ორი „ლამაზი“ დამარცხებულ იურისთან მივიდა, თავზე გადაუსვეს ხელი, ანუგეშეს...

ლხინი გრძელდებოდა.

შერცხვენილი ოფიცერი ნელნელა მოსულიერდა, გონს მოვიდა, წამოდგა, მაგრამ წელში მაინც ვერ გაიმართა რიგიანად.

კლარა მშველივით შემკრთალი იდგა კედელთან. იური იურიევიჩი კოჭლობით მივიდა მაგიდასთან, ჩოხოსანი პორუჩიკის გვერდით დაჯდა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ხელები სახეზე აიფარა...

წამით ისევ დუმილმა შეიპყრო მოქეიფენი... ერთმანეთს შესცქეროდნენ, მხოლოდ თვალით იური იურიევიჩზე ანიშნებდნენ და მორიდებულად ხითხითებდნენ...

მაგრამ აი იური იურიევიჩმა ველარ გაუძლო მისკენ მომართულ უსიტყვო, ფარულ დაცინვებს, წამოვარდა ზეზე და თან ჩოხოსანის ხანჯალიც აიყოლია...

„ლამაზებმა“ მსუბუქად შეჰკივლეს, ამან უფრო გაამხნევა ოფიცერი. იგი მივიდა კლარასთან, სტაცა მისი კაბის გულისპირს ხელი და ჩამოჰხია იგი... გოგონას ათრთოლებულ ძუძუებზე ნაზად აციმციმდა სანთლის შუქი.

თრთოდა გოგონა, ტყვე, სამი თვის ბავშვის დედა, თავგანწირული ბოლშევიკის ცოლი და თითონაც რევოლუციისთვის თავდადებული კომკავშირელი...

არ უნდოდა თმის ერთი ღეროც კი შერხეოდა სხეულზე... მაგრამ შერხეულიყო... ეს რხევა და თრთოლა უფრო ხომ ბრაზის გამოხატველი იყო, ვიდრე შიშის...

მაინც ყველაფერი მისდა უნებურად ხდებოდა.

იური იურიევიჩმა წუთით გაიხედა სუფრისკენ... მის ამღვრეულ თვალებში მხოლოდ სანთლების შუქი გამოისახა... მიტრიალდა, არაადამინურად მიეღრიცა სახე... მარცხენა ხელით კლარას მარჯვენა ძუძუს სწვდა, ჩაბღუჯა, მოსწია შემდეგ მარცხნივ გადაგრიხა და ელვასავით დაუსვა ხანჯალი, მოჭრილი ძუძუ, მიუბრუნებლად მაგიდისაკენ ისროლა. სისხლი თქრიალით წამოვიდა, შეღება მკერდი, ტანსაცმელი...

ოთახში, მაგიდის ირგვლივ და სავარძელზე მსხდარნი ერთად წამოდგნენ... თუ კი რომელიმე მათგანს დიდი ხნის სიცოცხლე ეწერა, ეს წუთი არასოდეს დაავიწყდებოდა.

ხანჯალზე ჯერ კიდევ მიცურავდნენ თბილი სისხლის წვეთები, როცა იური იურიევიჩმა წაავლო ხელი მეორე ძუძუსაც, მოსწია — მოგრიხა და დახელოვნებული ჯალათივით დაუსვა ხანჯალი, ახლა უფრო ნელა... კლარა ადგილიდან დაუძვრელად გადმოიხარა. ოფიცერმა უტია— და ის დაეცა მთელი ძალით იატაკზე... „ლამაზებმა“ მეორედ შეჰკივლეს, ხელებიც კი აიფარეს სახეზე, მაგრამ თვალები თითებს შუა მაინც პოულობდნენ ჭუჭრუტანებს ამ სანახაობის სამზერად...

სისხლის გუბეში ორჯერ გაიბრძოლა კლარამ, აიწია, დაეცა და აღარ განძრეულა...

ხელშეკრულ გოგონაზე გამარჯვებულმა ოფიცერმა ამაყად გადახედა „ლამაზებს“.

1938

ვიწრო დერეფანი ძლივს იტევდა კომკავშირში მისაღებ ახალგაზრდებს, იმ ოთახიდან ყოველი ახლად გამოსულის ირგვლივ, სადაც მიღება სწარმოებდა, უმალვე იკვროდა ცნობისმოყვარეთა მჭიდრო წრე.

როცა კლარას ჯერიც მოვიდა, იგი წუთით შეყოყმანდა, უნდოდა ერთი კაცი კიდევ გაეშვა, ამასობაში სული მოეთქვა, დამშვიდებულიყო და ისე შესულიყო...

მის ცხოვრებაში ხდებოდა დიდი გარდატეხა...

ეს წუთიერი ყოყმანი, მართლაც დააკარგვინებდა რიგს, რომ ამხანაგების ძალდატანებას არ ემოქმედნა.

კლარამ ფრთხილად გააღო, მაგრამ, როგორც წინათ, ახლაც სასაციოლოთ აჭრიალდა კარი, და მან იფიქრა, რომ ამ კარს არა — ისე უცებ კომისიის წევრები მას არ მიაქცევდნენ შესვლისას ყურადღებას.

კარებთან შეჩერებულმა უნებურად თავიც კი დახარა, რადგან დამხდური მართლაც გულმოდგინედ უცქეროდა მას.

ორი მათგანი სულ ახალგაზრდა იყო, და ასეთი გოგონას მიმართ, თუნდ ასეთ პირობებში, გადაჭარბებული ცნობისმოყვარეობისთვის ალბად ვერავინ დასძრახავდათ, მაგრამ მესამეს კი, უკვე ჭაღაროსანს, უთუოდ აღარ შეჰფეროდა იგივე.

სინამდვილეში დამხდურის ეს თვალმოუშორებელი მზერა იმ სიხარულს გამოხატავდა, რომელიც შეეძლო გამოეწვია ჯანსაღი, ლამაზი და ბედნიერი თაობის საუკეთესო წარმომადგენლის ჩარიცხვას კომკავშირის საპატიო რიგებში.

— ახლო მოდით!..

კლარა მიუახლოვდა. ნაზი თითებით ოდნავ შეეხო მაგიდას.

— შეგიძლიათ დაჯდეთ. — შენიშნა აბრეშუმისხალათიანმა.

— იქნებ დგომა უფრო ეხერხება, — ღიმილით განმარტა ჭაღარამ. ჭაღარა შეუმჩნევლად, მაგრამ გადაჭარბებული ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა გოგონას. მისი ნათელი სახე, თვალები ძალაუნებურად აგონებდნენ მისთვის ნაცნობ სახეს და თვალებს...

„სადღაც მინახავს უთუოდ“, — ფიქრობდა იგი, მაგრამ მეხსიერება აღარ ყოფნიდა იმის გამოსარკვევად, სად და როდის ენახა. ცქერამ და ფიქრებმა ისე გაიტაცა იგი, რომ დაავიწყა კიდეც თავისი მოვალეობა, — მიმღები კომისიის წევრისა, და როცა აბრეშუმის ხალათიანს შეკითხვაზე გოგონამ გვარი და სახელი მიუგო, ჭაღარა ვასო ისე შექანდა, როგორც სახელდახელოდ მიძინებულებს ემართებათ ხოლმე, როცა მათ მოულოდნელად და მოურიდებლად შეანჯღრევენ.

ვასო წამოდგა. ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და ისე უცნაურად დააშტერდა გოგონას, რომ ყველანი გაოცებამ შეიპყრო...

— გაიმეორე, გენაცვალე... გვარი და სახელი!

კლარამ გაიმეორა...

ვასო გასწორდა, ხელები მკერდზე შემოიჭდო. სახე გაუბრწყინდა.

— დედა გყავს?!.

— არა! — კლარამ დედის ხსენებაზე დახარა თავი — ფრჩხილით მაგიდაზე დაფენილი კოლენკორის ხორკლს დაუწყო ფხაჭნა... მერე ძალა მოიკრიბა, ჭაღარას თვალი გაუსწორა და უფრო გაბედულად უპასუხა:

— მე არ მახსოვს. თეთრებს მოუკლავთ!

ჭაღარას აკანკალებულ თითებში პაპიროსი ორად მოიკეცა, მოისრისა.

— რა ერქვა დედაშენს?..

— კლარა...

— სახითაც გავხარ! — ეს იმ კლარას შვილია, — მიუბრუნდა ვასო დამხდურს... — ისინიც უმალვე მიხვდნენ.

ჭაღარამ მზრუნველობით მოხვია ხელი კლარას. წყნარად წარმოსთქვა.

— მე და დედაშენი ერთად ვმუშაობდით რევოლუციის საქმისთვის.

ივ. შაიშმელაშვილი

ყინწვის ლეგენდა

(პოემა)

1.

ქარი ჰკივის.
მთიდან მთაზე
გაწვნენ შავი ღრუბლები.
მგზავრი ჩქარობს:
— თორემ ასე
გზაზე დავიღუპები.
ელვამ ცაზე გადიარა,
მეხიც დაიჭახჭახებს,
მეხი რაა, კაცს კი არა
მთას — მთას შემოაჯახებს.
ჩამობნელდა,
წადი აბა,
თუ გაგიძლებს ქვა გული,
სივრცე მოჩანს ღრუბელს დაბლა,
როგორც გამოქვაბული.
იკლაკნება, როგორც ფიქრი
ფიქრზე გადახლართული.
მთიდან მთაზე
და მთას იქით
ელვა —
ცხელი მავთული.
ჩამოეშვა

ახლო-მახლო
წვიმის ლურჯი სვეტები,
მეხმა ერთიც დაჰკრა მაღლობს
ეფრო თავგამეტებით.
წამოვიდა ქარტეხილი
და ზღვა მღვრია ღვარების,
ნიაფვენდა ღობეს, ხეხილს
ქარი შეუბრალებლად.
ბგზავრი მიდის,
ნეტავ რაა
ასე გაჯიუტება?
აქეთ-იქით ხვდება მრავალ
ხალხს და არსად ბრუნდება.
წვიმა ალბობს,
მეხი ლეწავს,
ელვა ანთებს ნაპირებს,
ქარი ტყეებს ბრაზით წეწავს,
მიწა რწევას აპირებს.
ბგზავრი მიდის თავდახრილი,
ის ნამდვილი ლანდია,
ხმას არ იღებს დაძახილზე —
ღამეს მისდევს ავდრიანს.
ბან გზის ნაპირს გადახედა —
ვილაც თავზე დაეცა:
— სად მიდიხარ,
რას თავხედობ,
სიკვდილს ხომ არ დაეძებ?
სად იჩქარი, წამო ასე,
ხმა გამეცი კაცურად,
სირცხვილია,
ჩვენს მიწაზე
თავი რამ მოგაძულა?
გადუხვიეს, გადიარეს
ნიაღვარი რუები,
წვიმა ჩადგა, ცა გრიალებს
ისევ გამაყრუებლად.
ხეივანში თვალებს ახელს
სახლი. კარი იღება.
— შემობრძანდი,
აი, ღამე
ყოფნა აქ მოგიხდება!
მაგრამ, მითხარ, სად გარბოდი?

რა საქმე გაქვს, ძმობილო?
ნუ გაწყრები, გაქვს საბუთი
შენი გამომცნობელი?
საზღვარია, სხვა მხარეა,
ეჭვი მუდამ თანა მდევს,
უფლება მაქვს ჩვენს მიწაზე
ასე გაგითამამდე.

*

* *

...ქამრამდე ფართო წვერგაყოფილი,
ჭალაროსანი და მომღიმარი,
ჩვენი ყოფილა,
შუა რუსეთის მხარიდან არი.
შევესაუბრეთ,
და ხუმრობაში
გულახდილობა მიჩვენა მანაც.
შვილი ჰყოლია მოსაზღვრე რაზმში
და სანახავად მისულა მამა.
მეკითხებოდა: „ჩვენი ბიჭები
ხომ ლომებივით დგანან ნამდვილად,
ხომ არ გვარცხვენენ, კარგად იჭერენ
უცხოეთიდან მოჭრილ ნადირებს?..“
მიჩქაროდა. ამბობდა ღამე
მივაღწევდიო რაზმის შენობას.
ერთი თვალი არ დაახამხამა —
ნეტავ სიფხიზლე როგორ შვენოდა!..

2.

შემოდგომის ქარი დაჰქრის,
სივრცე მოიბურება.
გუშაგს ფოთლებს შემოაყრის
ფრთხილად რომ იყურება.
ჭალა მოჩანს,
ლიჭით, მაყვლით
ჩახლართული ხეები,
დაჩითული ვეფხის, დათვის
ბნელი სასახლეები.
ახლა ტყეც კი ელის ნგრევას,
თითქოს იგრძნობს ცოტათი —
ხევში ისმის გადარეულ
ტურის ხმა საცოდავი.

ელვა ელვას ჩაეხვია —
ესეც წვიმის შხაპუნი,
ფესვებამდე ჩაეხია
მეხს ხე მამაპაპური.
გალმა ნაპირს
ღვარი რეცხავს,
ზოგჯერ ჩამოზვავდება,
გუშაგს უვლის ეჭვის ცეცხლი,
გასცქერს და ემზადება.
ჭექამ თავზე გადიარა,
გუშაგმა თქვა:
— მტრებია,
თოფის ხმაა? კარგი არი
ეჭვი გამმართლებია!
ულკან ცნობა მისდევს ცნობას:
„დაუჩქარეთ, ღელიდან
მეპარება მე სულ ცოტა —
ოცი თოფმღერილი“.
გამოვარდა ერთი ქვევით,
ქსვრის წამოჩოქებით,
მაღლობიდან ტყვიამფრქვევის
ტყვია ტყვიას მიჰყვება.
ულკან ცნობა ცნობას მისდევს:
„დაუჩქარეთ, გარწმუნებთ —
დავიქანცე,
ეაწვენ იმდენ
ცოფმორეულ კაცუნებს“.
გამალებით გზავნის ტყვიას,
მუხლში რამდენს კეცავდა,
ერთიც არვის
აპატია,
ვინც მის სიკვდილს ეცადა.

*

* *

ტყვიამფრქვევი მაინც რეკავს,
გუშაგს ფერდი ეწვება.
მაგრამ ტყვია რას მოდრეკავს,
გუშაგს მაჯაც ეწვება.
ტყვიამფრქვევი მაინც რეკავს,
გუშაგს მხარი ეწვება.
ო, ამ ტყვიას არ მოეკალ —

დაჭრას რას დაეძებდა.
ქარი გლეჯავს ბარდს და ეკალს
ცაში ხეებს ეწევა,
თვალებს ბინდი გადაეკრა,
გუშაგს მკერდი ეწვება.
მაგრამ ტყვია რას მოდრეკავს —
„ესეც წამოგეწიოთ!“
ყუმბარის ხმა ეცა კლდეკარს —
მტერს თავზარი ეცემა.
ტყვიამფრქვევი მაინც რეკავს,
გუშაგს შუბლიც ეწვება,
ქარი გლეჯავს
ბარდს და ეკალს,
გუშაგს თმა ეწეწება...

*
* *

ახლა აქეთ არვინ არ ჩანს,
ქარიშხალი ნელდება.
მიატანეს გუშაგს დაჭრილს,
აწ რის შეეშინდებათ.
მარტოდ-მარტო მოახელეს
ორ განუყრელ ამხანაგს,
გაიტანჯნენ, მის ცივ ხელებს
ვერ მოსწყვიტეს შაშხანა.

3.

აქ ბნელში ვიღაც მოვარდა ცხენით,
ქშენით მიაწყდა ჭიშკარს და ჰყვირის:
საყვირი ჩქარა!
იქ ერთი ჩვენი
ოცს უმკლავდება, ჩქარა საყვირი!
ცხენზე ცხენი მოდის ფრენით
რაზმი ბრაზით ივსება,
საგანგაშო რეკავს ცხელი
ამ ცხელ გულზე ისედაც.
და გაჰქუსლეს, ქვებზე, წყალში
გამალებით მიჰქროდნენ.
გაიფინენ ხეობაში
სანგრებს აქეთ — იქიდან.
დაიკივლეს ხმალშიშვლებმა,
ველზე გაინავარდეს,

ვერ შეჰბედეს მტრებმა შებმა —
დაცვინდნენ და ჩაბარდნენ.

*
* *

შემოიპარა პირველი სხივი
და მშვიდზე მშვიდი დილა თენდება.
მხედრებს თან მოაქვთ მკვდარი არწივი,
სთხოვენ და გული არ უმთელდება.
ის ვაჟკაცურად დაეცა წუხელ,
არ მოჰკლებია გამბედაობა
და წამით გზა თუ დაუთმეს წუხილს —
გრძნობაც დიდი აქვს ამ ჩვენ თაობას.
გამოიდარა,
ქარი არ ჰკივის,
თავდახრილები მოსდევენ ცხედარს —
მხედრებს თან მოაქვთ მკვდარი არწივი,
მაგრამ არწივი ველარას ხედავს.
იქნება ზოგს აქ ცრემლიც ჩამოსდის,
გულში ბრაზი და ცეცხლი ტრიალებს,
მაშინ აქ ერთმა შესძახა: — მოდი,
მოდი სიმღერამ დაიგრიალოს!
მოდი სიმღერამ
დაიგრიალოს!
არწივს მოწყენა არა სჩვევია,
ცა თვალუწვდენი, კლდენი ფრიალო
დაუძლეველი არ დარჩენია...
და კაპიტანი წინ დგება რაშით,
გულის სიღრმეში რაღაც არ არი,
რაღაც აკლია და სიმღერაში
იქნებ არ დარჩეს დაუფარავი.
დაიგრიალა,
სიმღერა მათი
თვალგადაუვლებ ველებს სწვდებოდა,
არწივი მკვდარი სამშობლოსათვის
შავ საზიდავით მოირწეოდა.
გული ვერ ითმენს, ნაბიჯი ნელი,
დავტოვოთ, მუხლი მოვიბათ მარდი!
გული მიიწევს
და ხელმძღვანელიც
ბრძანებს: — მხედრებო, მომყეთ ნავარდით!
ასე უნდოდათ — ასე უბრძანეს:

ერთიც გაშალოს ფრთები არწივმა,
შემდეგ დამჭკნარი და შეუძრავი
გაგვშორდება და სადმე დაწვება.
ცხენზე ცხენი ხურგში, გასწვრივ
მიჰქრის გახვითქული.
რა სიმღერა ასი კაცის,
და ნავარდის გული!
შუბლი როგორ გაიშლება —
რბენა ჩქარზე ჩქარი!
ხან დალმართზე დავეშვებით,
უკან მოგვდევს ქარი.
კაპიტანი ბრაზით რეკავს,
ცხენი ცხენზე მიდის.
საზიდავზე მკვდარი ეკრა
მდუმარე და მშვიდი.
მთიდან მოდის ლურჯი მკერდით
ღრუბლის მთა და ზვავი,
შარა-გზაზე ერთადერთი
წერტილია შავი.
უფრო მარდად!
ეს ნავარდი
თითქოს არა კმარა,
უფრო მარდად,
მარდად წადი,
წადი ქარზე ჩქარა!
კაპიტანი გადმოხედავს
უკან დაღვრემილი,
მაგრამ ფოთოლმოყრილ მხედარს
ვერ დაეფრთხო ძილი.
მთიდან მოდის შავზე შავი
ღრუბლის ზღვა თუ ზვავი,
შარა-გზაზე ისევ მოჩანს
წერტილი თუ მგზავრი.
ისე მიდის რაზმი ახლა,
როგორც ქარიშხალი,
ქვებს და ბელტებს განზე, მაღლა
ისვრის ფეხი მალი.
ცხრა ადგილას მოხვედრილი
ტყვია ცხარზე ცხარი...
იქნებ ყველას არგებს გრილი
ამ ხეობის ქარი.

კაპიტანი გადმოხედავს
უკან ხანდიხანა —
ისევ ისე სძინავს მხედარს,
რბენაა თუ ნანა?...
ასი კაცის ასი რაშით
ჭენება და ზარი —
წერტილია? არა გზაში
შეეგებათ მგზავრი
მუხლი ძლივს არ ჩაიხარა,
აბა რბენა გვეყოფა!
შუაგზაზე ეს ჭაღარა
რისთვის გადაელობათ?
— მე ნამგზავრი ვარ შორიდან
რას ნიშნავს რბენა თქვენი?
ეგ სახე თვალამღვრეული,
და გაოფლილი ცხენი?...
თავი რად დაგიხრიათ,
ვის დააფინეთ ფოთლები,
ცოცხალი თუ მკვდარია,
ასე რად გაფითრებულა?

. . . . . .

. . . . . .

მოჩვენებაა, თუ არც ის არი,
შვილია? მაგრამ მაფიქრებს ცოტა,
ვინ შეულეწა გულისფიცარი,
ვინ გაიმეტა სასიკვდილოთა?...
კაპიტანს სიტყვაც არ ესმის მისი:
— რამ გაგაჩერათ? ვისი ბრძანებით? —
ჩამოხტა, გამყოლს სადავე მისცა,
რაზმს გადაავლო თვალები ცხელი,
შეჩერდა მკვდართან და მოკრძალებით
სისხლიან შუბლზე დაუსვა ხელი?
— შენ, ჩემო ძმაო,
ეგ შენი თვალი
როგორ ჩამქრალა და დაბინდულა.
შეთაური ვარ, გვითხარ მართალი,
გამოგესალმოთ, თუ დაბრუნდები?
რამდენი ტყვია,
რამდენი ტყვია
მოხვედრია და ვერ მოგისწარით.
ამდენი ძმები რად მიგვატოვე,
ვინ შეგინგრია გულისფიცარი?...

არც მამას ესმის წუხილი მისი:
— რად დაგაყარეს გულზე ყვავილი?
მკერდი მიჩვენე, ჩამოგყვეს ისევ
ჩემი ცრემლები და სიყვარული...
მხარი მხარს მისცა ორმა, თუ სამმა,
ნაბიჯი მძიმე, დუმილი ცივი...
ჩურჩული ისმის: მოსულა მამა....
მაგრამ არ ადგა მკვდარი არწივი...
მას მეთაური უახლოვდება...
დგას შორიახლო გარიდებული.
კითხულობს,
მაგრამ ვინ ეუბნება —
ვის უფრო მეტად ეწვება გული:
ეწვება გული მამას მშობლიურ
სიყვარულით და ცრემლებით ცხარით,
მაგრამ ვინ იტყვის ნაკლებად ძლიერ
გრძნობით განშორდეს მხედარს მხედარი...

ეპილოგი

შემოდგომის ქარი დაჰქრის,
მუხებს არწევს თამამად,
სანგრებს ფოთლებს შემოაყრის,
ჩასილავს და დამალავს.
ამ ადგილას ეგდო მკვდარი
შარშან ერთი მეომარი....
გაღმა ნაპირს არწევს ჩრდილი
დაბურული ტყეების,
დაბლა ტალღებაწეწილი
რბიან მდინარეები.
ამ ადგილას ეგდო მკვდარი
შარშან ერთი მეომარი...
გული როგორ დაგიმშვიდდეს :
— წადით რომ მტერს შეებათ!
მამა გზავნის თავის შვილებს
რაზმში მესაზღვრეებად.
— წადით, საზღვრებს უდარაჯეთ,
ხმალი შიშვლად გეკავოთ,
არ დაინდოთ, დაჰკათ მარჯვედ,
საზღვარს ვინც გაეკაროს!...

იქ ორი ძმა თვალს ანათებს.
ტყეა ბებერ ხეების.
უკან ჩვენი ხალხი, მათი
ზღვა და სასახლეები.
ქარი ჰკივის შემოდგომის,
ქარი წეწავს ტყიანებს —
საზღვარს დასცქერს ორი ლომი —
თვალში ცეცხლი ტრიალებს.
ამ ადგილას ეგდო მკვდარი
შარშან ერთი მეომარი.

Ზ. ᲖᲝᲜᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ

ფანჯრის ახლოს, დარბაზის კუთხეში, პიანინო სდგას. პიანინოს ცხრამეტი წლის ქალიშვილი მისჯდომია.

ქალიშვილის სახეს უზადო ღიმი გადაჰფენია. წარბების რხევა, ბაგეების მოძრაობა და ტანის დროგამოშვებით შექანება ამტკიცებს, თუ რაოდენ განიცდის მუსიკას. ალბათ მიტომაც დაავიწყდა ამხანაგები, რომლებიც თავს ადგნენ ამჟამად და მუსიკით დამთვრალნი, ისინიც ისე არხევდნენ ტანს, თითქო ეთეროვან ტალღებში დასცურავენო.

მოხუცი აბელო ხუთიოდე წუთია, რაც სამუშაოდან დაბრუნდა. რაღაცას ფუსფუსებდა ოთახში. მუსიკის ხმა შეესმა, ფეხაკრეფით მივიდა, მორიდებით შეაღო კარი და ცალი თვალით შეიჭვრიტა, ისე რომ დარბაზში მყოფთ შეუმჩნეველი დარჩენოდათ.

აბელოს იამა ქალის დანახვა, დიდხანს უცქირა მის ამხანაგებსაც. შემდეგ ცალი ფეხი შესდგა კარებში, მაგრამ შესვლა ვერ გაბედა, „ხელი არ შევუშალოვო“, გაივლო გულში და წაიჩურჩულა: ნურასოდეს ნუ გამოკლებიხარ, შვილო, ტოლებს“. შემდეგ მოწიწებით გაიხურა კარები და ოთახისკენ მიბრუნდა.

დარბაზში მყოფ ქალიშვილებს, საკუთარი თავივით უყვარდათ ერთმანეთი, ისე რომ ცალკე ნაბიჯის გადადგმაც კი უმძიმდათ. ყოველთვის ერთად იყვნენ. ერთად სეირნობდნენ. კინოსა და თეატრში ერთად დადიოდნენ. ამ საღამოსაც ადრიანად შეიკრიბნენ სამეცადინოდ.

საკმაო ხანმა განვლო და ერთმა ქალიშვილმა მეორეს ჰკითხა:

— მედეა, რომელი საათია?

მედეამ კედლის საათს გახედა პირდაპირ, შემდეგ მაჯა ელნათურს მიუშვირა და საკუთარი საათის სისწორე შეამოწმა. ამ დროს კედლის საათმა რვაჯერ დარეკა.

— რვა უკვე შესრულდა, გოგოებო! — სთქვა მედეამ და პიანინოს უფრო მიუახლოვდა.

— რახილ, დროა წასასვლელად მოვემზადოთ.

რახილი მსწრაფლ წამოიჭრა, მარჯვენა ხელი ქერა თმაზე გადისვა.

— მგონი დავიგვიანეთ კიდეც. არა, ქეთინო? — ჰკითხა ხელმარჯვნივ შდგომ ასულს.

ქეთინომ რახილის ნათქვამს ყური აარიდა, პიანინოს მიუჯდა და თავისთვის წაილაპარაკა: არა უშავს, ჯერ კიდევ საკმაო დრო გვაქვსო, და კლავიშებზე თითები აათამაშა.

მედეამ ოდნავ იწყინა ქეთინოს საქციელი. გულში თითქო გაჯავრდა კიდეც. მაინც არ შეიმჩნია. დაყვავებით უთხრა:

— კარგი, გოგო ანებე თავი. წავიდეთ, თორემ სირცხვილს ვჭამთ. ქეთინომ ირიბად გადახედა მედეას, გაუღიმა და დასძინა.

— რა გააჭირვე საქმე შენც? ვერ ხედავ? ერთი საათი კიდევ გვაქვს. სრული ერთი საათი. — კედლის საათისაკენ მიუთითა. შემდეგ ისევ განაგრძო დაკვრა.

— რა ჯიუტი ხარ, ქეთინო. ერთი საათი! ერთი საათი! ნეტავი როდის მოისვენებ? — გულმოსული მედეა სარკესთან მივიდა და თმის სწორება დაიწყო.

რახილი მოთმინებით უგდებდა ყურს ქეთინოსა და მედეას წალაპარაკებას.

მას ისევე სერიოზულად წარმოედგინა ამ საღამოს მნიშვნელობა, როგორც მედეას. მაგრამ ვერც მედეას უთხრა რამე და ქეთინოს წყენასაც მოერიდა. ერთიც და მეორეც სულზე უტკბესად უყვარდა.

ქეთინო ისევ უკრავს პიანინოზე. მედეა ნერვიულობს. აგვიანდებათ.

რახილმა მასპინძლის თავაზიანობით მიმართა ქეთინოს:

— ალბათ მოვემზადებოდეთ. ეგ დრო კიდეც გავა, ჭირიმე. მგონი კიდეც იქნებიან მისული ჩვენები. —

*

* *

აბელო მოუთმენლად მოელის დაღამებას. ვინ იცის რას მოუტანს ეს საღამო. მწუხარებას, თუ სამარადისო სიხარულსა და სიამეს?

აზრზე არ არის წუხანდელს აქეთ. ალბათ მიტომაც გაიოცა წუხელის, მისმა ქალიშვილმა რომ უთხრა:

„დედი, სასწავლებელში უნდა წამომყვე ხვალ საღამოსო“.

ამის გამგონი აბელო შეჩქვიფდა. სწრაფად გაივლო გულში:

„აგერ რა ხანია კონსერვატორიაში სწავლობს რახილი. ერთჯერაც კი არ მახსოვს, რომ წავყოლოდე. ჩემზე უკეთესი პატრონები აღმოუჩნდნენ იქ, მშობლების მაგივრად ზრუნავენ მისთვის. ახლა კი ნეტა რად დასჭირვებია ჩემი თავი?“ და განცვიფრებულმა დედამ, რაკი პასუხი ვერ გასცა საკუთარ კითხვას, ისევ რახილს მიმართა:

— რად უნდა წამოგყვე, გოგო, არ იტყვი?

რახილი მკერდში ჩაეკრა დედას და მუდარით უთხრა:

— თუ ჩემი სიყვარული გაქვს, სურვილი ამისრულე!

— შენც კარგად იცი, დედა დაგენაცვლოს, სამუშაოზე უნდა წავიდე! — უთხრა აბელომ ქალიშვილს და ალერსიანად თავზე ხელი გადუსვა.

მშობლის მკერდში ჩაკრულმა რახილმა თავი ოდნავ ასწია და დედას მიაჩერდა.

— გაითავისუფლე თავი, დედი. სთხოვე გამგეს, უარს არ გეტყვის ისიცოდე, ჩემი ბედი ხვალ საღამოს სწყდება.

— გამგე ხომ მკითხავს მიზეზს? რა ვუთხრა?

— მიზეზი? — და რახილ ჩაფიქრდა. შემდეგ ისევ მოიღერა ყელი.

— მიზეზს ნუ მკითხავ, დედი. მოხვალ, გაიგებ. —

აბელოს უცნაურად მოეჩვენა ქალიშვილის პასუხი. მხრები აიჩეჩა.

რახილმა მკლავები უსურვაზივით შემოახვია დედის კისერს. მოწიწებით დაუწყო ხვეწნა.

— დედაშვილობას უარს ნუ მეტყვი. ნუ დამწყვეტ გულს. შემისრულე ეს ერთი თხოვნა. ნუთუ მეტად არ გიყვარს შენი ერთადერთი სანატრელი გოგო? —

დედას გული აუჩუყდა. მსწრაფლ წამოიძახა:

— ფუი ეშმაკს, ვინ უნდა მიყვარდეს, გოგო, შენზე უკეთ? არა დედა დაგენაცვლოს, თავს მირჩევნიხარ, ღმერთმანი.

და აღარ ჩააცივდა ქალიშვილს.

*

* *

შაბათი დღეა. მზიანი და ხალისიანი.

აბელო დილაადრიან მივიდა წარმოებაში.

არტელის ღია კარებიდან ფართო მაგიდები მოსჩანდა ერთიმეორეს მიყოლებით ჩამწკრივებული. მაგიდებს ებრაელი ქალები მისხდომოდნენ და საბნები გაეშალათ. ალინდაგებდნენ საბნებს და ღიღინებდნენ ხმადაბლა.

აბელოს მაგიდა მოშორებით იდგა კუთხეში. მაგიდაზე წითელპირიანი საბანი გაეშალა და დილაადრიან მოსული თავაუღებლად მუშაობდა. დროდადრო მომუშავეებს გადახედავდა და გონების თვალით წარსულში იჭვრიტებოდა.

ნესტიან სარდაფში სცხოვრობდა ოდესღაც. ქმარი რევმატიზმმა იმსხვერპლა. ეს უბედურება უმძიმეს ლოდად დააწვა მისდღეში გაუხარებელ აბელოს სულსა და გულს.

უდროოდ დაქვრივებულს ხუთი წლის გოგონა და საკუთარი თავი სავაივაგლახო და საზრუნავი გაუხდა. მაგრამ არც დაბნეულა და არც სულით დაცემულა. „ჭირს გაძლება უნდაო“, იფიქრა და საარსებო წყაროს ძებნა დაიწყო. იმათავითვე შრომისმოყვარემ საბნების კერვას მიჰყო ხელი. დღე და ღამეს ასწორებდა საბრალო, მაგრამ ნახევრადმშიერი იყო მაინც.

ერთ დღეს ბედმა გაუღიმა. მის უბანში საბნის სამკერვალო არტელი გახსნეს. ამ დღიდან არტელში დაიწყო მუშაობა. ქვრივ-ობლის ნესტიანი სარდაფი პირველად გაანათა მზის სხივებმა.

შრომა და გარჯა როდი დაიზარა აბელომ და მისი მდგომარეობაც გამოსწორდა. აღარც სიმშილი აწუხებს და არც ლუკმა პური ადარდებს.

*
* *

რახილი უკვე საკმაოდ წამოიზარდა. საამო სანახავი გახდა თორმეტი წლის გოგონა.

ბევრი მწარე დღეები გაატარა ობლობაში. მაგრამ, როდესაც იმღეროდა მეზობლის გოგო-ბიჭებში ჩამდგარი, თვალებში სიხარულის ნამი ჩაუდგებოდა. ავიწყდებოდა გამოვლილი მწუხარება და ობლობის ვარამიც.

ყველასთვის საყვარელი და საამოდ სამზერი შეიქნა რახილი. გამჭრიახმა და წინდახედულმა დედამ ჯანიზრახა: „რახილს ხელშესახები რამ საქმე უნდა გავუჩინოვო“. დიდხანს იფიქრა, ბევრიც აღარ დააყოვნა.

გუშინდელ დღესავით ახსოვს: რახილი აქ მოიყვანა სამუშაოდ რამდენიმე წლის წინათ. შეაყვარა შრომა. თითონ გაუწია ოსტატობა. მისივე ხელობა შეასწავლა სწორედ აი, აქ ამ მაგიდაზე, აბელოს ხელმარჯვნივ რომ დგას. აქ მუშაობდა რახილი, მშობელს გვერდში ედგა დედაბოძივით. შრომისმოყვარე დედაშვილის ნამოქმედარს ხვავი და ბარაქა ადგა დღე-მუდამ.

წარმოებამ დააფასა საქმისათვის თავდადებული დედაშვილი და ნესტიანი სარდაფიდან სინათლიან ბინაში გადაიყვანა.

უცქერის გვერდით მომუშავე ებრაელ ქალებს და აგონდება ბეჩავი დრო, როცა შაბათ დღეს, ფეხის გადმოდგმასაც კი ვერ ბედავდნენ კარის ზღურბლზე. ახლა კი? სულ სხვა სურათი უდგას თვალწინ. თუმცა შაბათი დღეა, მაგრამ დილაადრიან წარმოებაში მოსული ებრაელი ქალები გულმოდგინედ საქმიანობენ. უვიცობისა და წყვიდიადისაგან თავი დაუხწევიათ და მზის სინათლეს ხარბად დასწაფებიან.

*
* *

სამიოდე წლის წინათ არტელმა საკუთარი ძალებით თვითმოქმედების საღამო მოაწყო. საღამოზე ოცდაათამდე ქალმა და კაცმა მიიღო მონაწილეობა. მათში ქვრივ აბელოს ქალიც ერია. ამ დღიდან რახილის ნიჭსაც მიეცა გასაქანი. უნარიანი გოგონა მუსიკალურ სასწავლებელში მიავლინეს წარმოებიდან.

აბელოს ძლიერ ახარებს, რომ მისი სანატრელი გოგონა კონსერვატორიის მოწაფეა. ამის მოგონებისას სიამე გადაეფინა სახეზე....

ახლაც გულმოდგინედ მუშაობს აბელო. უეცრად მისი ქალიშვილის წუხანდელი ნათქვამი მოაგონდა და გულში გაივლო:

— ნეტა რისთვის მივყავარ სასწავლებელში? ცუდი რამ ხომ არ შეემთხვა? ან ხომ არ გამორიცხეს?—უკანასკნელის გააზრებაზე დასძინა:

— უმალ სიკვდილი რახილის მტერს და დუშმანს. ფუი ეშმაკს.— ასეთ ფიქრებში გახლართულს ნემსიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა მცირეხნით.

ვერ ისვენებს. რა არ იფიქრა დედის გულმა. რა არ წარმოიდგინა მშობლის გონებამ. „როგორ მითხრა ჩემმა გოგონამ? „მოდი და იქ გაიგებ ყველაფერსო“. უცნაურია ღმერთმანი. სანამ დაღამდებოდეს, მე მე კი ამომივა მთავარი სული და“,—სთქვა თავისთვის და ხელი ჩაიქნია.

*

* *

კონსერვატორიის შესავალ კარებს სტუდენტთა ახალახალი ტალღა აწყდება. ლაღი და ხალისიანი ახალგაზრდობით აივსო დარბაზი. იარუსებიც ხალხით გაჭედილა.

კულისებში სამთა გული უცნაურად ძგერს. ისეთი შთაბეჭდილება ექმნება თვითეულ მათგანს, რომ მათი გულის ცემა თითქო იმ ხალხს ესმით, აი, იმ ფარდის მიღმა რომ სხედან დარბაზში.

ქარვისფერი ფარდა შეირხა და ნელინელ გაიხსნა. როიალმა გიშერივით იელვა.

დარბაზი დუმილმა მოიცვა. თითქოს სცენიდან გადმოიღვარა ეს მყუდროება.

დამკვრელი ქალი როიალს მიუჯდა. ხალხის ყურადღება კლავიშებზე მოსრიალე თითებმა მიპყრო. კონცერტი დაიწყო.

მომღერლები ერთმანეთს სცვლიან. თითქოს განგებ გამოუშვეს პირველად სცენასა და საზოგადოებას მიჩვეული მომღერლები, რომ ამით წაათამამონ დებიუტანტები.

სიმღერის დამთავრებისას დასასრული არა აქვს ტაშის გრიალს. დროგამოშვებით დამკვრელი ქალიც წამოდგება, ოდნავ მოიხრება წელში. ორივე ხელებს ერთმანეთს გადააჭდობს და მკერდზე მიიყრდნობს. მომღერლებთან ერთად მადლობის ნიშნად თავს უკრავს დამსწრე საზოგადოებას. შემდეგ პირს იქცევს როიალისკენ. ვენის სკამზე ჩამოჯდება და ისევ ჩვეულებრივ პოზას იჭერს მომღერლების მოლოდინში.

კონფერანსიე შურდულივით შემოიჭრა სცენაზე. ქალალდს ჩახედა და დამსწრე საზოგადოებას ამცნო პროგრამის შემდეგი ნომერი...

სიტყვის დამთავრება ვერც კი მოასწრო, რომ ტაშმა იქუხა.

სამი ქალიშვილი შემკრთალი სახით გამოვიდა სცენაზე. ხელმარჯვნივ ქეთინო მთვარაძე დგას. რამდენი ღამეები გაუთევია ქეთინოს, ამ სანეტარო დღემდე რომ მოეღწია. რამდენჯერ ჩამოსძინებია პიანინოზე, რომ პირველი ყოფილიყო პირველთა შორის და ამ ნანატრ წუთებს შე-

სწრებოდა. ქეთინო მაღაროელის ქალია და მამამისს თვით მაღაროში მუშაობის დროს, თითქოს ყურში ესმის ქალიშვილის წკრიალა ხმა და ძალღონეს მატებს. უფრო გახალისებული ებრძვის მარგანეცის შავს გულს ჭიათურის მაღაროებში, რომ გადაჭარბებით შეასრულოს ყოველ-დღიური გეგმა და საბჭოთა ინდუსტრიას ხვავი და ბარაქა შემატოს.

მარცხნივ მედეა დგას. მელითონე ოგანეზოვის ქალი. ოჰ, რა ბედ-ნიერია მამამისი, როდესაც სამუშაოდან დაბრუნებული მიუახლოვდება პიანინოსთან მიმჯდარ მედიკოს და სტკბება შვილის სიმღერით. ამ დროს ჭაღარა მამას ისე წარმოუდგენია თავი თითქოს ახალგაზრდობა დაუბ-რუნდა და ახლა სურს თავიდან ცხოვრების დაწყებაო ამ ბედნიერი დღის შემსწრეს. ალბად მიტომაა ქარხანაში დილით ვერავინ მიასწრებს და საქმეს ახალგაზრდული ძალღონით რომ ეკვეთება.

ვინ აღირსებდა მათ მუსიკაზე ფიქრსაც კი ოციოდე წლის წინათ. ეს ბედნიერება მიუწვდომელი იყო მათთვის. ახლა კი გატაცებით ემზადე-ბიან კომკავშირელი ქალები, რომ ზეიმით და აღტაცებით შეხვდნენ სა-ხელოვანი კომკავშირის ოცი წლისთავს.

ქეთინოსა და მედეას შორის ქერათმიანი რახილი დგას. დარბაზში მყოფთ ზღვა ხალხს გასცქერის ზღვასავით ფართო და ცისფერი თვალე-ბით. და როდესაც დარბაზის მესამე რიგში თმაშეერცხლილი დედაკა-ცის თვალებს წააწყდა, უეცრად სახე აელეწა.

ჭაღარათმიან დედაკაცს, თითქო ეცნაურა კიდეც ქერათმიანი გო-გონას სახე. დიდხანს უცქირა უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილ ქა-ლებს. მაინც ვერ დააჯერა თავი და გვერდზე მსხდომთ გადახედა, კით-ხვა ვერვის გაუბედა და ისევ სცენისკენ იქცია პირი.

ქალიშვილები თვალს არიდებდნენ, როგორც დარბაზში მსხდომთ, აგრეთვე ერთიმეორეს. მღელვარება თანდათან ეძალებოდა თვითეულს. ძნელი სათქმელია, რომელი მათგანი მეტად განიცდიდა ამ წუთებს.

ერთი რამ მაინც ნათელი იყო. მათზე მეტად დარბაზში მჯდომი მოხუცი დედაკაცი ნერვიულობდა. იქით-აქეთ აცეცებდა თვალებს და ამ ბედნიერ ახალგაზრდობაში მყოფს უცნაურად უცემდა გული.

კიდევ ერთი წამიც და როიალი ახმიანდა.

ქალიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს და თითქოს კიდეც გაქრა ყო-ველგვარი შიში და კრთომა მათი გულიდან.

ამღერდა ტრიო და საუცხოო ხმამ მოაჯადოვა ხალხით სავსე დარ-ბაზი.

როცა მომღერლებმა დასტოვეს სცენა, უკან გაედევნათ აწყვეტილი ტაშის გრიალი.

ასეთ საზოგადოებაში პირველად მოხვედრილი თმაშეერცხლილი დედაკაცი სახტად დარჩა. მალიმალ ისვამდა ხელებს თვალებში. სცენას გახედავდა და შემდეგ სხვების წაბაძვით ზანტად უკრავდა ტაშს. ისევ მო-იფშვნეტდა თვალებს, რომ ნათლად დაენახა, თუ რა ხდებოდა სცე-ნაზე.

ტრიო კვლავ გამოვიდა სცენაზე. თავის დაკვრით ღრმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ, ახლა კი დააჯერა თავი აბეღომ, რომ მისი ქალიც იყო ამჟამად სცენაზე. ახალგაზრდული ძალა შეემატა მოხუცს ამ წუთში. სწრაფად ავარდა სცენაზე და ქალიშვილს გადაეხვია.

— შვილო, რახილ! შენ შემოგევლოს შენი დედა, რომ ამ დღეს მოგასწარი. მარადის მომტირალს სიხარულისა და სიმღერის დღეები დამიდგა. უი, შენ დაგენაცვლე, ჩემო სანატრელო გოგო. ამიტომაც არ მიმხელდი, შე ეშმაკო, აქ წამოსვლის მიზეზს?

დედა გულში იკრავდა შვილს და დედის მკერდზე მიკრულ რახილს ესმოდა სიხარულით ათრთოლებული დედის გულის ხმა.

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲑᲐᲓᲝᲔᲑᲨᲘ

წავიდნენ, გაჰყვნენ ველურ ტაიგას,
დუმილში დარჩნენ საბადოები, —
და შლიან ჩრდილებს ათასნაირად
ტან-ამოლტილი ფიჭვის რტოები.
წავიდნენ....
მათი ტერფის ხმაურიც
წავიდა, გაჰყვა ტრიამელ სივრცეს;
ვეება ტბორებს არწევს ამური,
და სუნგარისკენ მიარღვევს ნისლებს...
საღამოვდება, —
და ექვსის გარდა
საბადოებზე არვინ ტრიალებს;
დღეს მათ თვალებში წუხილი ჩადგა,
მადნის ნაკვალევს რომ ვერ მიაგნეს.
გაქრა იმედი,
მაგრამ ანაზდად —
ლითონის მძიმე ზუზუნი იშვა;
ამოშრა დარდი, ცაც გალამაზდა,
თხრილს მოაშორეს სილა და ქვიშა.
— ოქრო იქნება, —
წარმოსთქვეს ერთხმად,
— ოქრო იქნება, — ამოხდა მიწას.
ხმა გაიზარდა, ფრთა დაიბერტყა,
და ნაძვნარების წყვდიადში მიწვა...
შეჩერდნენ ხუთნი... უკანასკნელმა
დაუშვა ფსკერზე ფხიანი ბარი;
შეუდგა მუხლი, დაიცხრო ღელვა;
შემდეგ ნელნელა დასწია ტარი...
დასწია ტარი,
ოქროს მაგიერ
ძვალბორკილები ამოჰყვა ფოლადს;

იელვა შიშმა, — და ბნელ თარიღებს
მწვავე ფიქრებმა დაუწყეს ქროლა:
აი წარსული —
ცივი და ვრცელი
და შემზარავი მეფის რუსეთი;
კალესუხაზე მათრახის ცემით
მოჰყავთ ტყვეები შესისხლულები...
მოჰყავთ ქართველი,
რუსი, თათარი,
მოჰყავთ მონგოლი და სხვა მრავალი,
ზურგს უკან მოსდევთ მკაცრი ზამთარი, —
და ღრუბლიანი ცის დასავალი...
იღვრება ცრემლი,
ყინული ტყდება,
ჟღარუნი გააქვს ჟანგიან ბორკილს;
დღეში რამდენი ვაჟკაცი კვდება,
გვირთა სახელებს, აბა ვინ მოსთვლის?!

იქნებ ამ კაცსაც ეხვია სევდა,
ვერ აიტანა, დაემხო პირქვე,
არ მოაცილეს რკინები ცხედარს, —
და ცივ ნამქერში დამარხეს იქვე...
იქნებ ამ კაცის
ვინმე-მოკეთე
დადის, იგონებს დაკარგულ რაინდს.
იქნებ შემთხვევით შეხვდეს ოდესმე,
ნიშანი ჰქონდეს ბორკილებს მაინც!...
ადგა ხსოვნაში
ძველი ქარბუქი, —
ბებერი ფიქვიც კაცივით გმინავს:
აქ დაცემულა ბრძენი ჭაბუკი,
აქვე ჰქონია მუდმივი ბინა...
მოსაღამოვდა,
გამხმარი ძვლები
საფლავის დუმილს ფანტავენ ირგვლივ;
ფიქრში წასულა მიდამო ვრცელი
და იდგამს თავზე ოცნების გვირგვინს:
— ეს ბორკილები,
როგორც ფურცლები
ხელიდან ხელში გადავლენ ახლა, —
რომ სისხლიანი მეფის რუსეთი
ამოიკითხოს საბჭოთა ხალხმა!...

ვლადიმერ უგილავა

სიმღერა

ზის ბულბული აყრილ ტოტზე,
ვადაჰყურებს სივრცეს შვებით,
ვარდისა და მზის მეხოტბეს
არ ელევა შაირები.

აქ მოფრინდი! ვიყოთ ერთად,
ერთმანეთი ვიცნოთ ახლოს,
ან მეც მოვალ იმავ ხესთან
და სიმღერა შემოვძახოთ.

ხედავ? — კოხტად გაშლილ ბუჩქებს
და სიცოცხლით სავსე მთაბარს?
მიწას — ასჯერ ნაქარბუქევს,
გულმკერდი რომ მოუქარგავს?

ვავალ... ვიღებ ვარდის ყლორტებს
და ხალისით ბულბულს ვუხმობ:
ყვავილის და მზის მეხოტბევ,
ეს ხმა ერთად დავაქუხოთ.

აზერბაიჯანი

1.

გარათაშვილის გახსენება

რა იქნენ, გაქრენ, გაუჩინარდნენ,
ერთი თქმულებაც გაქრა განჯური,
შენი ხატება რისთვის ვინატრე
გაუხარელი და დატანჯული!

ოდენ შთენილან ძველი ზღაპრები
და გახსენებაც ვერ ამიხსნია,
ვინმე ქართველი ქუჩებს გავყვები
და შენზე ფიქრიც მარადისია!...

ნეშტის მისხალიც ხომ დარჩენილა
აქ, ამ მიწაში იქნებ ერიოს —
ხომ ყველასი ხარ ამიერიდან
დაბადებული საიერიოდ!

რად გამახსენდი სიზმრადნახული?
ვივლი ფიქრებით ღამენათევი.
შენ უკეთ იცი ყარაბახული
და ძველისძველი ბაიათები!

რად შრიალებენ? რად ირხევიან?
ხომ არ მოვსულვარ ნეშტის საძებრად?
მე არც ქამანჩა დამირხევია,
ისეც მშვიდობა მაცნეს ვაზებმა!

ამ ქვეყანაში ძმურად მახარეს
თვითონ კასპიის ზღვების კარამდის,
რომ სამშობლოა ჩემთვის სხვა მხარეც
და მეგობრობა სუფევს მარადი!

რად გამახსენდი სიზმრადნახული?
ძმურად ხვდებიან თვალებს თვალები.
და ბაიათით ყარაბახულით
ვშაირობ ვინმე გურჯისტანელი!

2.

აზერბაიჯანელ მეგობრებს

ამ კარგ ღამეში ძილი რაა, კაცს არც კი ჩაგთვლემს,
ციცინათელებს გაუვსიათ კასპიის მხარე, —
ამ კარგ ღამეში თქვენც შემომხვდით პატარა ქართველს
და სიხარულის ვარსკვლავები გადმომაყარეთ;
მე თქვენებური შაირები ვისმინე თქვენთან
და უკეთესი რამე მეთქვა — ველარ შევძელი.
მოდით, და ქვეყნად ასე ტკბილად ვიმღეროთ ერთად
და მეგობრობაც გვქონდეს დღეგრძელი!

3.

ბაქოს გასალები

ის მუზეუმში მეტყველებს მხოლოდ
ბევრ ჭირვარამში ნაცოდვილევი.
ჩაქანგებია ირიბი ბოლო
და ჟანგიანი უკრთის კბილები!

ვინ იყო ნეტა მისი მჭედელი?
ასოც წაშლილა ზედ არაბული.
იგი ბნელეთის მქადაგებელი
ახლა ნათელში სთვლემს განაბული!

— სადაურია? სად გაჭედილი?...
იქნებ ნალბანდი იყო არაბი?
იქნება ჰქონდა გული კეთილი,
სჭედა ძალით და დავიდარიბით!

ისლამს მსახური ჰყავდა რამდენი,
წავიდნენ, ბნელეთს შემოეფარნენ.

სდგას თქმულებების კორიანტელი.
და მეხატება ერთი მეკარეც!

ხელში სჭერია მას გასაღები
სიმაგრის ბნელის და ამაზრზენის,
არავინ იცის მისი სახელი,
არც მეტყველებენ კოშკ-დარბაზები!

ვიცით, რომ იყვნენ შახის მსახურნი,
ბუნჯები ბნელის მქადაგებელნი, —
აქ გასაღები სთვლემს ფერწასული,
არ სჩანს მეკარე და არც მჭედელი!

ჟოჟე ბელანჟე

ოქროს ფრისა ვარ

(თავები რომანიდან)

ჟოჟე ბელანჟე პარიზელი მუშაა, კომკავშირელი. ამ წიგნში ავტორმა მოგვითხრო თავისი და პარიზის ახალგაზრდა მუშების, თვისივე ამხანაგების ცხოვრება. ნაწარმოები გვიჩვენებს, თუ როგორ უმწეო და დუხჭირ მდგომარეობაში იმყოფება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მუშა ახალგაზრდობა.

ვბეჭდავთ ამ წიგნიდან რამდენიმე თავს.

ყოველგვარ საშუალებას ვეძებდით, რომ ფული გვეშოვა. მუშაობაში ძლიერ ცოტა გასამრჯელოს ვიღებდით და მთელს ჩვენს მონაგარს მშობლებს ვაძლევდით. მე როგორც მოწაფე, საათში ერთ-ნახევარ ფრანკს ვიღებდი, ე. ი. ორ კვირაში 150 ფრანკს. ეს ფული რამდენიმე ათეული ფრანკის დამატებით, რომელსაც ქალაქი გვაძლევდა, წარმოადგენდა მთელს ჩვენს საარსებო წყაროს. ამ რიგათ მე და დედას დღეში თორმეტ ფრანკამდე გვქონდა. ყოველდღე ვყიდულობდი ორ გირვანქა პურს, საზიზღარი კალბასის ნაჭერს, ცოტა ყველს და ლიტრ რძეს. ეს იყო ჩვენი სანოვაგე მთელი დღისთვის ორ ადამიანზე. დანარჩენი ფული მიდიოდა ბინის ქირაზე და როდესაც მე ამას ვიგონებ, მებადება კითხვა, თუ როგორ შევძელი ასე დიდხანს გამეგრძელებინა ეს...

სახელოსნოში, როდესაც მუშები თავიანთ საუზმეს შეექცეოდნენ, მე ხარბი თვალებით შევცქეროდი, ცარიელი მუცელი მახელებდა. ერთხელ სახეზე შემატყვეს, რომ მეც დიდი სიამოვნებით შევჭამდი მათთან ერთად. მათ თავიანთი საუზმე მომცეს, რომელიც მე წარმოუდგენელი სისწრაფით გადავყლაპე. მეორე დღისთვის მათ საჭმელი მომიტანეს და შუადღისას მე და დედა მშვენივრად გავძეხით.

ერთხელ, როდესაც მე რაღაც დავაშავე და ხაზეინს ჩემი გაგდება უნდოდა, მუშებმა ეს არ დაუშვეს და მეც დავრჩი. მას შემდეგ მშრო-

მელთადმი, რომელთა რიცხვს მეც ვეკუთნოდი, პატივისცემა აღმეძრა და მუშათა კლასისადმი სიყვარული ვიგრძენი.

ძ ა ღ ლ ი

მარტო ვარ!.. დიაღ, მარტო!.. და მე მხოლოდ ხუთმეტი წლის, ორი თვისა და 9 დღისა ვარ. მარტოობა... მე არ ვიცოდი თუ რას ნიშნავდა ეს. ხანგამოშვებით ვოცნებობდი კიდეც ამაზე.

მე არაფერი მაქვს ცხოვრებაში, არაფერი. მაშ დასაკარგიც არაფერი მაქვს და ეს მამშვიდებს.

დავსეირნობ ქუჩებში, ვუყურებ ჩემს გვერდით გამომვლელ ხალხს და მეჯავრებიან ისევე ძველებურად.

ვუყურებ ხალხს, ცხოველებს და ყველა გარშემო მყოფს.

ჩემს გვერდით იგრიხება უბინაო ძაღლი. ალერსიანი თვალებით მიყურებს. მე ვჩერდები, — ისიც ჩერდება. მე მივდივარ, — ისიც კვალდაკვალ მომდევს, საკვირველია, სადამდის ახლობელია ჩემთვის ეს ძაღლი. უფრო ახლობელი, ვიდრე ადამიანი, რომელიც გზაზე მხვდება.

ორივენი ნაგვის ყუთის ახლოს მივდივართ. ძაღლი ჩერდება და მიყურებს, თითქოს უნდა მითხრას „დამიცადე". ეძებს საკვებს და ბოულობს. და ისევ მომდევს, კბილებით საუზმე უჭირავს.

მეც მშიერი ვარ, მაგრამ მე არ შემიძლიან ნაგვის ყუთში ვეძებო რამე.

მე სულ წინ მივდივარ. სახლები, ხეები და ხალხი თითქოს პირდაპირ მხვდებიან.

უცებ დავინახე სკამი. მივემართები და ვჯდები. ძაღლი მიახლოვდება, წვება ჩემს ფეხებთან და თავის საუზმეს ათავებს.

ვგრძნობ, რომ რაღაცა ფეთქავს ჩემს გულში, მარცხნივ, ხელს ვიდებ. ეს ჩემი გულის ცემაა, ის აღსავსეა სიძულვილით.

ხუთმეტი წლისა ვარ და მშიერი. რა ძნელია სიმშილი.

დღეს კვირაა, დასვენების და სიცილის დღე. და ნამდვილად მეც ვიცინი. ეს სიძულვილი იცინის და — ძაღლს მუცელში წიხლი ვკარი.

ხმაამოუღებლად გადიტანა დარტყმა. მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯით გადინაცვლა და ისევ ძვალს დაუწყო ღრღნა.

მე არა მწამს ღმერთი. მან მხოლოდ სიმწარე მარგუნა ხვედრად, მე კი მისგან სიკეთეს მოველოდი.

არა მწამს ოჯახი. ჩემი ოჯახი — ეს ჩემი მამაა, მისგან ნაცემი გვერდები ახლაც კი მტკივა.

არც ძაღლებისა მჯერა. ისინიც ადამიანებივით ფლიდები არიან.

არა მჯერა ადამიანებისა — ისინი ძაღლებზე უარესები არიან.

მე არა მჯერა მათი, ვინც ქვეყნის გაუმჯობესებისთვის ისწრაფის.

არა ღირს ადამიანებისთვის, დაე, მათ იტანჯონ, იწვალონ, დაიხოცნენ: ასეთია ბუნების კანონი.

ყველა მეჯავრება: მდიდარი და ღარიბი, ადამიანები, პირუტყვი, ღმერთები, ნივთებიც კი.

მე მინდა, რომ ჩემს შესახებ ილაპარაკონ.

მე მინდა ყველაფერი დავანგრიო. ყველაფერი!

მაპატიეთ, მე ჯერ 15 წლისა ვარ და მუცელი ცარიელი მაქვს.

სკამიდან ვდგები. ძაღლიც დგება და იბერტყება.

ვუახლოვდები მას, ის ადგილიდან არ იძვრის. ვეალერსები, ის შემომცქერის, მე მას ვუღიმი, — ის კი ხმასაც არ იღებს.

ჩვენ კიდევ დიდხანს დავეხეტებით ქალაქში და ღამის წყვდიადში ვეხვევით. ხალხი სინათლეს ანთებს და ცაც თავის მნათობებს აცისკროვნებს.

თხრილში დიდი პურის ქერქი სველდება, ძაღლი ამჩნევს და ჩერდება. მე კი ჩემს გზას განვაგრძობ. ძაღლი ხან მე შემომხედავს, ხან პურის კანს და რამოდენიმე წამი გადაუწყვეტელ მდგომარეობაშია. შემდეგ გადაირბინა ქუჩა.

ჩემს მეგობრობას პურის ნატეხი არჩია.

მე ვცხოვრობ აქ.

ჭრრრ, ჭრრრ, ჭრრრ, — ასე ჭრიალებს კიბე ჩემს ფეხთ ქვეშ.

ამ კიბის ზევით მიიმართება სამი დიდი კორიდორი. გავლის დროს ვიჩეჩავ მხრებს და წელში ვიხრები, იმის შიშით, რომ არ დავეჯახო კედლებს მარცხნივ ან მარჯვნივ. ოთახების კარები მათ წინ გავლისას გათხუპნული და გაშავებულნი მიცქერენ, მათზე თეთრად მოჩანან პატარა ნომრები.

ამ კარებს შიგნით, ამ ოთახებში დგანან საწოლები. ამ საწოლებზე ადამიანებს უყვარდათ ერთმანეთი, იტანჯებოდნენ და განაგრძობდნენ ტანჯვას.

მე ვჩერდები კორიდორის ბოლოში: იქ კედელია, ვუახლოვდები უკანასკნელ კარს, რომელსაც ჩემს ოთახში შევყავარ.

როდესაც ოთახში შევდივარ, არავინ არ მეგებება მე.

ავეჯი ცივად დგას. ერთადერთი ცოცხალი არსებანი, რომელნიც ჩემთან ერთად ცხოვრობენ, ნაკლებად მისაზიდნი არიან, ეს ბაღლინჯოებია.

სიმართლე რომ ვსთქვა, ამ ოთახში ორნი ვართ: მე და ჩემი გაჭირვება. ხანდახან მე ვაკვირდები მას, ჩემთვის, ჩემს წარმოდგენაში მას გარკვეული მოხაზულობანი აქვს. ის ჩემთან ერთად დასეირნობს, ჩემთან ერთად მუშაობს, და რადგანაც ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ, მე მიყვარს ის, და მგონი უმისოდ ვერ გავძლებდი, უცბად რომ მომცილდეს.

როდესაც მე ვაღებ ჩემს შკაფს, ჩემს უზარმაზარ შკაფს, დიდი ძებნის შემდეგ მე ვპოულობ მასში ერთ პერანგს, ერთ ნიფხავს და ორ

ცხვირსახოცს, რომლებიც რაღაც უხერხულად გრძნობენ თავს ამ უზარ-მაზარ ბინაში.

ღამის მაგიდა ცარიელია. ღუმელი არასოდეს არ ინთება. ჭურჭელთა-გან მე მაქვს მხოლოდ მოკალული პატარა ქვაბი და ალუმინის ფინჯა-ნი. მაგიდაზე გდია დანა. როდესაც სარკეში ვიხედები, ვხედავ ჩემს გამხ-დარ, ფერმკრთალ სახეს.

მაგრამ ყველაზე მეტად ჩემი თარო მიყვარს. თქვენ შემეკითხებით, თუ როგორ შეიძლება თაროს შეყვარება, თქვენ ეს სასაცილოდ მოგე-ჩვენებათ, არა?.. აბა მაშ შეხედეთ ჩემს თაროს, სათამაშოები კი არ არის მასზე მიმოყრილი. აქ აწყვია ადამიანის გონების ნაწარმოები. აქ ვიქტორ ჰიუგოს „განკიცხულნია“ სამ ტომად და მთელი ანრი ბარბიუსი.

მე ვაგროვებ წიგნებს, რომელნიც ლატაკებზე ლაპარაკობენ.

ცამეტ წლამდე მთელი ჩემი წარმოდგენები ცხოვრების შესახებ გა-ნისაზღვრებოდა ჩემი ოჯახით, სკოლით და კვირა დღის გასეირნებით. მამის საკვდილის შემდეგ კი მე საკუთარი თავის ამარა ვიყავი მიტოვე-ბული და ნამდვილი ქუჩის ბიჭი გავხდი.

პირველ თვეში, როგორც კი ბილეთის საყიდელი ფული გამიჩნდე-ბოდა, კინემატოგრაფში მივიდოდი. იქ დავიწყე სხვა ადამიანების გაც-ნობა და მალე დავრწმუნდი, რომ ეკრანი არ წარმოადგენს მის ზუსტ გამოხატულებას. მეორე მხრივ ყოველდღიურად გაზეთის კითხვამ ჩემში სრულიად არასწორი წარმოდგენა გამოიწვია საზოგადოების ნამდვილ ცხოვრებაზე. ნამდვილ ცხოვრებაში შესვლის დროს კი ვიბნეოდი.

ბავშვობაში გართობა არასოდეს არ მქონია. მე არ ვიცოდი თუ რა არის სათამაშო, მე არ ვიცოდი თუ რა არის ამხანაგი და ძლიერ სუს-ტად მესმოდა თუ რა განსხვავება იყო ჩემსა და გოგონას შორის.

ცამეტი წლისა მივდიოდი მარსელთან და მისი ძველი სათამაშოებით რკინიგზობანას ვთამაშობდი. ყოველი უბრალო რამ მართობდა.

საღამოობით, მუშაობიდან დაბრუნების შემდეგ მე ვფიქრობდი ხოლ-მე მამის შესახებ და ჩემს თავს ვეუბნებოდი: „ახლა რომ ის მე მხედავ-დეს, მაგრად წამცხებდა კისერში“. ხანდახან, როდესაც მე დავცქეროდი ხოლმე ჩემს დასახიჩრებულს მუხლებს, გული სიძულვილით მევსებოდა. ასეთ წუთებში მე შინიდან მივდიოდი წარბებშეკრული, ქუჩა-ქუჩა დავე-ხეტებოდი და მხოლოდ მაშინ ვბრუნდებოდი, როდესაც ოდნავ მაინც ვმშვიდდებოდი. მარსელი და ჟოზეფი უკვე მელოდნენ, ჩვენ მივდიოდით სამნი.

ხდებოდა ისეც, როდესაც შუაღამესაც შინ არ ვიყავი. მე დავეხეტე-ბოდი ქუჩა-ქუჩა ორი ჩემი მეგობრით და ჩვენ მთელი ქვეყნის დანგრე-ვის გასაგიჟებელ გეგმას ვადგენდით.

ძია მიკარი

იმის მეორე დღეს, რაც მე გამოვეთხოვე „ნორჩ ყრმათა დამხსნელ საზოგადოებას“, ქუჩაში ანრი მიკარი „მეძონძე“ შემხვდა. რამდენიმე

თვის განმავლობაში არ მენახა და შევამჩნიე, რომ ის მეტისმეტად გამოცვლილიყო.

ის შემეკითხა, თუ როგორ ვცხოვრობ. მე მას ვუამბე ჩემი თავგადასავალი და ბევრი, ბევრი ვიცინეთ. როდესაც მეც დავინტერესდი, თუ რა არის ახალი მის ცხოვრებაში, მითხრა, რომ ერთ მანქანათაამწყობ პატარა სახელოსნოში შეგირდად მუშაობს. „დიახ, მეგობარო, უკანასკნელად რომ მნახე, მაშინ მე ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი. კლასში ყოველთვის ერთი პირველთაგანი ვიყავი, ყველა გამოცდები დავიჭირე და სწავლის განგრძობაც შემეძლო. მაგრამ ახლა კი ხედავ! ხელები დაკოჟრებული მაქვს, ეს იმიტომ, რომ მთელი დღეობით ქლიბს ვამუშავებ. ეს მაშინ, როდესაც ვირი ლამბრუსი სწავლას განაგრძობს, ეს კი მხოლოდ იმიტომ, რომ მამამისს ფულები აქვს, მამაჩემს კი არა. მამაჩემსაც უნდა, რომ მეც ვსწავლობდე, მაგრამ არაფერია. იქნებ ეს მდგომარეობა როდესმე შეიცვალოს.

ასეა თუ ისე, ახლა შინ მივდივარ, თუ შენ ჩემთან წამოხვალ, მამაჩემს გაგაცნობ და შენ უამბობ მას თუ როგორ ცხოვრობდი „მხსნელებთან“.

ძია მიკარი მაგიდასთან იჯდა და წიგნსა კითხულობდა. ელექტრონის სანათურის მბჟუტავი სინათლე ანათებდა მისი სახლის ზევითა ნაწილს. ოთახი უფანჯრო იყო.

ანრიმ თავისი მამა გამაცნო, მე მას მაგრად ჩამოვართვი ხელი, მერე, მისი თხოვნის ასასრულებლად, ვუამბე ჩემი უბედური თავგადასავალი.

ძია მიკარი ყურადღებით მისმენდა და ხანდახან მწუხარედ აქნევდა თავს. ის მიწისმთხრელად მუშაობდა. ტანით პატარა და ულამაზო იყო. მაგრამ მისი დიდრონი და კეთილი თვალები მის სახეს განსაკუთრებული გულკეთილობის იერს აძლევდნენ. ის ყოველთვის ერთნაირად ველვეტის პიჯაკში და წითელ ან შავსარტყლიან შარვალში იყო ხოლმე გამოწყობილი. ის წინააღმდეგ თავისი პროფესიისა, როგორც ხელოსანთათვის ჩვეულია ხოლმე, ღვინოს არა სვამდა. ის ქუდს ყოველთვის ატარებდა, როგორც კვირა დღეებში, ისე ჩვეულებრივ დღეებშიც, ამიტომ მე გავნცვიფრდი, როდესაც ის უქუდოდ ვნახე. მას ჰქონდა მაღალი შუბლი და ძლიერ თხელი თმა. ეს მისი არაჩვეულებრივად სულმნათი სახე შეუფერებელი იყო იმ უბრალო ღარიბი მუშის ტანსაცმელთან, რომელიც მას ეცვა.

ამ ადამიანში იგრძნობოდა რაღაც განსაკუთრებული, რაც მას ძლიერ მიმზიდველს ხდიდა.

ჩვენთან საუბრის დროს ძია მიკარმა თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბო.

მაშინ გავიგე, რომ ის დაბადებული იყო დასავლეთ საფრანგეთში, სადაც მიწას ამუშავებდა და პარიზში ჩამოვიდა სამხედრო ვალდებულების მოხდის დროს. მერე დაეხეტებოდა საფრანგეთის სხვადასხვა ქალა-

ქებში — მუშაობდა ხან ბორდოში, ხან ნომში, ლიონში, ლიჟონში, ნანსაში, გავრში, გადადიოდა რა ადგილიდან ადგილზე, ის სწავლობდა ცხოვრების დიად წიგნს.

როდესაც ომი გამოაცხადეს, მიკარი ერთი პირველთაგანი გაგზავნეს ფრონტზე. მისი ხუთივე ძმა, ყველა ძია მიკარზე უმცროსნი, აგრეთვე მობილიზებულნი იყვნენ და არცერთი მათგანი არ დაბრუნებულა ფრონტიდან. როდესაც მიკარმა მსოფლიო სასაკლაოს შესახებ ლაპარაკი დაიწყო, მისი ყოველთვის ალერსიანი თვალები ბრაზით აიკვნენ. დროდადრო ხელს შუბლზე ისვამდა, თითქოს სურდა გაეფანტა რაღაც საშინელება. უცბად ორივეს, მე და ანრის, ხელი მოგვკიდა, პირდაპირ თვალებში ჩაგვაცქერდა და ჩუმად განაგრძო თავისი თხრობა.

ის გვიამბობდა სოციალისტების კრებებზე 1914 წლამდე, ჟორესის მკვლელობის შესახებ. ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის შესახებ, თავის ცხოვრების შესახებ ტრანშეებში, 1917 წლის მღელვარებების შესახებ, გერმანიაში და საფრანგეთში მომხდარ რევოლუციურ აჯანყებების შესახებ. და მოგვითხრო იმ ხალხის ისტორია, რომელიც იქ, შორს აღმოსავლეთში აღსდგა და ყველაფერი საძირკვლამდე დაანგრია, რომ ააშენოს ახალი ქვეყანა.

მერე, ცოტა რომ დამშვიდდა, მან ილაპარაკა ხვალინდელ დღეზე. მომავალი, მისი აზრით, ჩვენს ხელშია, ახალგაზრდობის ხელში და ჩვენზეა დამოკიდებული ახალი ცხოვრების აშენება. „თუ თქვენ, ახალგაზრდები, უბედურნი ხართ, განრისხების წუთებში შეგიძლიათ ბრალი დაგვდოთ ჩვენ, ძველ თაობას, რომელმაც მოგიმზადათ თქვენ ეს ტანჯვით აღსავსე ცხოვრება, მაგრამ ო, არა, ეს მხოლოდ ჩვენი ბრალი არ არის. ბევრმა ჩვენთაგანმა თავისი ძალღონე გაიღო თქვენი მომავლისთვის. დიაღ, 1917 წელს ყველგან, განსაკუთრებით საფრანგეთში დაიწყო დიდი უკმაყოფილება, მაგრამ არ იყო ისეთი ადამიანი, როგორც ლენინი, რომელსაც შეეძლო ეხელმძღვანელა და მოძრაობის სათავეში ჩამდგარიყო. ჩვენ, ბავშვებო, გვჭირდებოდა ისეთი ადამიანი, როგორიც აქ არის გამოხატული, — და მან მიგვითითა სურათზე, რომელზეც ტანმსხვილი, მაღალშუბლიანი პატარა წვერის მქონე ადამიანი სიტყვით მიმართავდა მასას, რომელიც მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცებისაგან შესდგებოდა. მათზე ფრიალებდა წითელი დროშები.

ანრიმ ძლივს ამოიკითხა რუსული ასოები, რომელიც სურათის ქვეშ იყო დაბეჭდილი: ლ ე ნ ი ნ.

მე შევხედე ძია მიკარს, მაგრამ მან მეტი აღარაფერი გვითხრა.

შინ გაცილებისას ანრიმ გამიზიარა თავისი შიში მამის ჯანმრთელობის გამო. „წარმოიდგინე, ის არა მარტო მძიმე სამუშაოს ეწევა მთელი დღის განმავლობაში, არამედ საღამოობით კრებებზეც დადის და მეტისმეტად დატვირთულია თავის უჯრედში. დღეს მან მოწოდებები უნდა გააკრას. შეიძლება დააპატიმრონ კიდეც. ვინ იცის რა მოხდება“.

ანრის ხელი ჩამოვართვი და შინისკენ გავემართე. მე აუჩქარებლად მივდიოდი შინ და გზაში ძია მიკარის ნალაპარაკევზე ვფიქრობდი, მაგრამ მე მან ვერ დამარწმუნა. მე არაფერი არ გამეგებოდა მათი, მისი და მისი მსგავსი ადამიანების, რომელნიც მზათ არიან თავი შესწირონ ხალხის ბედნიერებას, იღუპებიან ციხეებში და სიკვდილზე უშიშრად მიდიან.

დემონსტრაცია

ეს მოხდა ერთ კვირა დღეს.

ეს დღე ისე ღრმად ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, რომ ყველა მომხდარს ისე გიამბობთ, თითქოს მათ ახლაც განვიცდიდე.

მე მივდივარ ანრისთან. ვაკაკუნებ. კარს ანრის მამა აღებს.

— გამარჯვებათ, ძია მიკარ, მაპატიეთ, რომ გაწუხებთ. ანრი შინ არის?..

— დიაღ, უნდა გითხრა, რომ დროზე მოხვედი. ის უკვე წასვლას აპირებს. შემოდი.

მე ფანჯრის ახლოს ვჯდები. ანრი და მისი მამა ჩემ პირდაპირ სხდებიან. ეყრდნობიან მაგიდას. ძია მიკარი ჩრდილში ზის და მე ვხედავ მის ბრწყინვალე თვალებს.

სწორედ ამ მომენტში ვამჩნევ, რომ მისი ბაგეები იხსნებიან, ის ახლა რაღაცას იტყვის. მართლაც მიახლოვდება და მეუბნება.

— ყური დამიგდე, ჟან, აი, უკვე რამდენიმეჯერ მოხვედი ჩვენთან და ჩვენ ვსაუბრობთ. მე შენ თვალყურს გადევნებდი, მაშინ, როდესაც შენ ამაში ეჭვიც არ შეგქონდა. ვხედავ, რომ შენ ღრმათ გძულს ის საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მაგრამ ეს შეუგნებელი სიძულვილია. ის მიმართულია როგორც დაპნაშავეთა ისევე უდანაშაულოთა წინააღმდეგ. როგორც უფლებამოსილების, ისე სუსტთა და ღარიბთა წინააღმდეგ. დროა, რომ ეს შეიცვალოს. ეს რომ ასე გაგრძელდეს, მაშინ შენს თავში ყველაფერი აირევა. ბოლოს ამის გამოსწორება უკვე გვიან იქნება. შენი უდიდესი შეცდომა ის არის, რომ შენი კლასის ხალხს, გაჭირვებაში შენს ძმებს, უნდობლად უყურებ. შენისთანა ადამიანები ჯერ კიდევ ბევრნი არიან, აი, რატომ არის, რომ ჩვენ ბრძოლა ასე გვიძნელდება. იცოდე, რომ სიღატაკე და ექსპლოატაცია განსაკუთრებით ხშირად იქიდან წარმოდგება, რომ ისინი ერთმანეთს არ ენდობიან. შენც ასე გემართება. შენ უნდა გაიმსჭვალო ნდობით. რადგან დღეს ჩვენთან შემოდი, მე მოგიწოდებ წამოხვიდე ჩვენთან ერთად. შენ დღეს ისეთ რამეებს ნახავ, რაც გაიძულებს შენი შეხედულებანი შეიცვალო.

*

* *

მეტროს ვაგონში, რომელშიც ჩვენ შევედით, ათ კაცზე მეტი არ იყო. ამიტომ ჩვენ სამივენი ერთმანეთის გვერდში ვისხედით. ყოველ გაჩერებაზე ახალი მგზავრები ამოდიან.

პირველ საკვანძო სადგურზე მგზავრების მთელი ჯგუფი ამოდის. ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, მხრებგანიერ მიწისმთხრელს, რომელსაც ხავერდის შარვალი აცვია, ხელში დიდი შავი ფუტლარი უჭირავს, რომლის თავშიც მოჩანს სპილენძის ბოლო — ერთმანეთზე გადაჭდობილი ნამგლისა და ჩაქუჩის გამოხატულება.

მალე ვაგონი ივსება. ხალხი უფრო მეტი შემოვიდა, ვიდრე ჩვეულებრივ დღეს. პირველი კლასის ვაგონშიც კი არ არის ადგილი. არავინ არ სწუხდება, პირიქით, ყველა ცდილობს შემჭიდროვდეს, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი ამოვიდეს.

ჩვენთან ერთად მოემგზავრებიან სხვადასხვა ასაკისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის — ფიზიკური შრომით მომუშავენი და ინტელიგენტები, წყალსადენის მუშები და მასწავლებლები, მოხუცები, ქალები და ბავშვები.

ჩვენ გვერდში მჯდომი ახალგაზრდა მუშა ნახევარი ხმით იწყებს სიმღერას, რომელსაც სულ მალე მთელი ხალხი ბანს აძლევს. ორი თვალი და ორი ყური არ მყოფნის, რომ ყველაფერი დავინახო და მოვისმინო. სიამოვნებით ვუსმენ ახალგაზრდობის ბრაზითა და ცეცხლით წარმოშობილ სიმღერას, რომელსაც ისევე უნდა სიცოცხლე, როგორც მე მინდა.

ახალგაზრდათა გვარდია ვართ
დაუმარცხებელნი,
თრთოდეთ, ბურჟუებო,
ან მოვკვდებით, ან გავიმარჯვებთ!

ბრძოლისა და იმედის სიტყვები ღრმად აღიბეჭდა ჩემს გულსა და გონებაში. რევოლუციური სიმღერები ერთიმეორეს მოჰყვებიან, ამ სიმღერებს, რომელნიც ჰფარავენ მეტროს სადგურებს, ვაგონებს და გვირაბებს, სწყვეტს მხოლოდ რევოლუციური ლოზუნგები.

და როდესაც უკან ვიხედები, რომ შევხედო მატარებლის შემადგენლობას, ვხედავ, რომ შიგ მოსამსახურეთა მეტი არავინ დარჩა. მოსამსახურენი გვესალმებიან ჩვენ მუშტის მაღლა აწევით.

ხალხი მიიმართება ზევით. მოდის ახალი მატარებელი და მოყავს ხალხის ახალი პარტია. ძია მიკარი მეუბნება:

— ხედავ, ყოველ მატარებელს მოჰყავს ხუთასი ან ექვსასი კაცი.

მთელი საათი გრძელდება ხალხის თავმოყრა.

გრძელ კორიდორს გარეთ გასავალისკენ გავყევართ და სულ მალე სუფთა ჰაერს ვსუნთქავთ. რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძეზე ფართო ტროტუარები და ქვაფენილები გაშავებულია ხალხით.

ხალხი შეიპყრო რაღაც სასიხარულო ღელვამ, — ის მღერის. დროდადრო მისი სიმღერა ისე გუგუნებს როგორც ჭექა-ქუხილი.

ბულვარის ერთ მხარეზე ჩვენს წინ აღმართულია გროვილი, ჩვენ სამივენი ამ გროვილზე ავდივართ და ველით: ზევიდან ვხედავთ დემონს-

ტრანტების ურიცხვ რაოდენობას, რომელშიც ყველაფერი მოძრაობს და გუგუნებს.

აქ შეიკრიბნენ ხალხნი, რომელნიც ისწრაფიან თავიანთ ბორკილების დაყრას, ახალი ქვეყნის შექმნას, უფრო უკეთესის, ვიდრე ის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ხალხი, რომელსაც არ უნდა ომი, რომელნიც არ ერთობიან რბენაში შეჯიბრებით, ისინი, რომელთა მკერდში ჯერ კიდევ შერჩენილია სიამაყე, ადამიანურად ყოფნის სიამაყე.

დაბოლოს დემონსტრანტები წინ გაემართნენ.

წინ ორკესტრი მიუძღვის. უკან მიჰყვებიან ათასეული ბავშვები, ლურჯ ან რუხ ხალათებში, ყველას წითელი ხელსახვევები აქვს.

ხალხი ჩვენს წინ მიდის ოცდაათკაციან რიგებით.

წინ მიუძღვიან მოხუცები — პარიზის კომუნის მონაწილენი. მათ მოჰყვება ახალგაზრდათა გვარდია თავდაცვის ფერის ხალათებში და წითელი ყელსახვევებით, ხვალინდელი დღის კომუნის მებრძოლები.

ადამიანი სიტყვას ამთავრებდა. მე მესმოდა ჩემთვის ეს უცნობი სიტყვები გაძლიერებული ყურადღებით.

უცბად ყველამ ქუდები მოიხადა, ხელები დამუშტა და ერთდროულად აღმართა ზევით. წარმოუდგენელის სიძლიერის სიმღერა აგუგუნდა, როგორც ერთი მთლიანი დაძახილი, ორმოცდაათიათასიან ხალხის მკერდიდან.

მე ვდგევარ და ვუსმენ პირდაღებული. მე მინდა ვიმღერო, მაგრამ არ შემიძლია. მე არ ვიცი ეს სიმღერა. მე არ ვიცი, თუ რა სიმღერაა ეს. ძია მიკარი, როგორც სჩანს, ხვდება ჩემს მდგომარეობას და მეუბნება.

— ეს ინტერნაციონალია!..

არასოდეს არ განმიცდია ამის მაგვარი რამ. ის, ვისაც არასოდეს არ მოუსმენია თუ ასიათასეული მუშები როგორ მღერიან ამ ჰიმნს, არ შეუძლია წარმოიდგინოს ის შთაბეჭდილება, რომელსაც ეს ჰიმნი ახდენს. ის რისხვის დაძახილია, მაგრამ მასთან ერთად იმედისაც, ის მათ გულებში, ვისაც პირველად მოუსმენია (როგორც ეს მე დამემართა), წარუშლელ კვალს აჩენს.

ჩემს ახლოს რომელიღაც მუშა, ეუბნება თავის მეგობარს: — დაე ამ სიმღერამ, რომელმაც დაანგრია მეფური რუსეთის სიმაგრენი, დაანგრიოს ჩვენიც. მოვესწრებით ყველანი იმ დღეს, როდესაც აღარ მოგვიხდება თქმა: „აღსდექ, წამებით დაღდასმულო“, რადგან ყველა წამებით დაღდასმულნი უკვე აღდგნენ, რომ გაიმარჯვონ.

ხალხი ნელინელ მიიმართება მეტროს, ავტობუსის და ტრამვაის მიმართულებით. წითელი დროშები შავ ფუტლარებში ჩააწყვეს. ჩვენ მივემართებით პოლიციელთა და ჟანდარმთა რიგებს შორის, რომელნიც თავხედად და ურცხვად გამოიცქირებიან. ვიხედები ირგვლივ და ვერ ვხედავ ვერც ანრის, ვერც ძია მიკარს. ვბრუნდები მარტო.

მას შემდეგ თვეები გავიდნენ. მე უმუშევრად დავრჩი. ხშირად უსაქმობის, დროს, როდესაც ვიწყებ წუხილს, მივდივარ ბულვარზე, დიდ ქუჩებზე, იქ სადაც ბევრი ხალხია და შევცქერი მოსიარულე ბრბოს.

შინ, კიბეებზე რომ ავდიოდი, მე ვეუბნებოდი ჩემს თავს: საკმარისი არ არის მხოლოდ ფიქრი და ოცნება. ცხოვრება სიზმარი კი არ არის, არამედ ბრძოლა. და მე მხოლოდ ახლა მივუახლოვდი ამ ბრძოლას. მე თვით მინდა ვიბრძოლო, მაგრამ არ ვიცი, თუ როგორ უნდა მოვიქცე. როდესაც ვნახავ ძია მიკარს, მე მას ამის შესახებ ვკითხავ...

ოცი წელი

ოცი წლის! დიახ, მე ოცი წლისა ვარ. ეს სიცოცხლის საუკეთესო დროა, მე ეს ვიცი.

„ახალგაზრდობის მომავალი გახსნილია", — ამბობენ მოხუცები და როდესაც თავისუფალი ვარ, მე ვფიქრობ ჩემი მომავლის შესახებ.

მე ვფიქრობ, რომ დღეს მე სამუშაო არა მაქვს, და რომ ხვალაც არ მექნება სამუშაო.

მე ვფიქრობ, რომ სამუშაოს ისევ ვიშოვი, მხოლოდ ათი დღით, ერთი თვით, ნახევარი წლით.

მე ვფიქრობ, რომ მერე მაინც უმუშევარი გავხდები.

მე ვფიქრობ, რომ მაქვს სპეციალობა, მაგრამ ხვალ მაინც შავ მუშად ან ადამიან-სანდვიჩის [1]) სახით მომიხდება მუშაობა.

მე ვფიქრობ ჩემი თაობის ცხოვრებაზე, სწორედ ისეთსავე ცხოვრებაზე, როგორიც მე მაქვს.

*

* *

და ვამბობ ჩემს თავზე: „მე მეტად ახალგაზრდა ვარ, რომ კრიტიკულად შევხედო ცხოვრებას, მაგრამ უკვე საკმაოდ მომწიფებული ვარ, რომ საქმით შევიცნო სიმშილი და გაჭირვება". ვფიქრობ მათ შესახებ, რომელნიც ომის ხუთი წლის განმავლობაში სველ მიწაში ჩაფლეს და ვეუბნები ჩემ თავს: "ხვალ დადგება შენი ჯერი, შენ უკვე საკმაოდ მოხუცი ხარ, და დროა საიქიოს წახვიდე". ვფიქრობ მათზე, რომელთაც სურთ გამოგვიყენონ მე და სხვა ჩემისთანა ახალგაზრდები თავიანთი დიდების პიედესტალად და მე ვამბობ: „არა, არ მინდა ვიყო ბალილად, ან ჰიტლერიუნგად [2]).

მთელი ჩემი ახალგაზრდული ძლიერებით მე გავკივი: „მე მინდა თავისუფალი ცხოვრება"!

თარგმნა **ელიზბარ პოლუმოლრდვინოვმა**

---

[1]) სანდვიჩი — ეს ის პირია, რომელსაც სავაჭრო ფირმები იქირავებენ, რომ ქუჩა-ქუჩა იარონ რეკლამით ზურგზე.

[2]) ბალილა ახალგაზრდობის ფაშისტური ორგანიზაცია იტალიაში. ჰიტლერიუნგე-ახალგაზრდა გერმანელი ფაშისტები.

კრიტიკა

აკ. გაწერელია

ერნესტ ჰემინგუეი

„მშვიდობით, იარაღო“

ნაძალადევი სიკვდილი — ეს არის თემა ერნესტ ჰემინგუეის, შესანიშნავი ამერიკელი მწერლისა. „სიკვდილი ერთი იმ საგანთაგანია, რომელზედაც ღირს წერა“ — ამბობს ის და თავის რომანებში, მოთხრობებსა თუ ნოველებში არაჩვეულებრივი სიმძაფრით გადმოგვცემს მსოფლიო ომში „დაღუპული თაობის“ განცდებს, იმ თაობისას, რომელმაც გამოსცადა ნაძალადევი სიკვდილის საშინელებანი.

თანამედროვე ამერიკის დ ევროპის ლიტერატურაში იშვიათია მწერალი, რომელსაც ასე მალე დაეპყროს მკითხველი, ასე მალე შეექმნას ლეგენდა თავისი სახელის გარშემო. უშიშარი სალდათი, რომელმაც მოიარა ყველა მნიშვნელოვანი ფრონტი ევროპის კონტინენტზე წარმოებული ომისა, დამკვირვებელი მოგზაური, რომელმაც ფეხით გადათელა აფრიკის ქვეყნები, მთელი ევროპა და განსაკუთრებით ესპანეთი, სადაც მომავალი ნიჭიერი ბელეტრისტი სვამდა ერთი ჯამიდან მატადორებთან ერთად, ერნესტ ჰემინგუეი ამჟამად საყოველთაო პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს.

ფიზიკურად ძლიერი, ნამდვილი ვაჟკაცი, ერნესტ ჰემინგუეი იმავე დროს დარჩა განუკურნელ სკეპტიკოსად, რომლისთვისაც ისტორიის ბორბლის სრბოლა და თვითონ ცხოვრება რაღაც გარეშე ბედისწერის, ფატალურ კანონს დამორჩილებული მოვლენების კრებულს წარმოადგენს. ასეთი მსოფლმხედველობა მას შეუმუშავდა მსოფლიო ომში, როდესაც ერები ერთმანეთს მიესივნენ და ძმათა სასაფლაოები მოაწყვეს. ის პირდაპირ უცქეროდა სიკვდილს, ხედავდა, თუ რამდენად დაუნდობელი იყვნენ ადამიანები ერთმანეთის მიმართ, როგორი ცინიზმით ეპყრობოდენ ისინი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს ამ ქვეყნად—სიცოცხლეს.

ერნესტ ჰემინგუეიმ გადასწყვიტა დაეწერა ავტობიოგრაფია იმ თაობისა, რომელიც გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, მაგრამ უდიდესი შინაგანი ჭრილობით გამოვიდა ამ სასაკლაოდან .

ერნესტ ჰემინგუეის ერთერთ შესანიშნავ რომანს, „ფიესტას“ ეპიგრაფად წინ უძღვის „ეკლეზიასტეს“ პირველივე აბზაცები: „ამაოება ამაოთა, სთქვა ქადაგმა, ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს“.... — ჰემინგუეი ამიერიდან თავის დევიზად აღიარებს სკეპტიციზმის ამ უძველეს ფორმულას. მას აღარ შეუძლია ისმინოს მაღალფარდოვანი სიტყვები, ნასესხები კეთილშობილთა ლექსიკონიდან, ის უაღრესად ფარული ემოციის მწერალია და ყველაფერს უცქერის იჭვით, წარბებს ქვემოდან. ასე, კაპიტალიზმის საშინელებამ მასში საბოლოოდ განამტკიცა ინდიფერენტული დამოკიდებულება გარემოსადმი, დაეჭვება ადამიანებისადმი. აქედან იწყება მისი ინდივიდუალიზმი და განმარტოება.

მაგრამ ამ სფეროში ჰემინგუეი მარტო როდია. სიკვდილისა და განადგურების თემამ დიდი ხანია დაიპყრო ბურჟუაზიული ლიტერატურა. ინგლისელი ჰექსლი, ირლანდიელი ჯოისი და ფრანგი სელინი ამ თემას თითქმის ავადმყოფური სიმწვავით განიცდიან. ამათვე ენათესავება ჰემინგუეი ადამიანთა შორის არსებული სიცალიერისა და ურთიერთ გაუგებრობის საკითხში. „უნდა გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, რომ ადამიანებს არაფერი აქვთ სათქმელი ერთმანეთისთვის. ყველა — თავისთვის, დედამიწა — ყველასთვის“ — ალაპარაკებს ლუი სელინი თავის „გმირს“ წიგნში „მოგზაურობა ღამის მიჯნამდე“. *)

ორივე მწერალმა კარგად იციან (კაპიტალისტური საზოგადოების ეს ჭეშმარიტება მათ ომში შეიგნეს), რომ ადამიანთა შორის არა თუ ურთიერთ გაგების გზაა გადაჭრილი, არამედ პირიქით, ერთმანეთის მიმართ ვერაგული ჩასაფრების მეტი არაფერი არ არსებობს. ფრედერიკ გენრი, ჰემინგუეის რომანის „მშვიდობით, იარაღოს“ მთავარი მომქმედი პირი, თავის ბედს ამხანაგებისას ადარებს და ამბობს: „მოკვდები. არც კი იცი, რისთვის ხდება ყველაფერი ეს. ვერ მოასწრებ გაიგო, პირდაპირ გაგტყორცნიან ცხოვრებაში, გასწავლიან წესებს და როგორც კი ყელს გიშოვნიან, მოგკლავენ... ან მოგკლავენ, ისე, როგორც მოჰკლეს აიმოან დაგასნეულებენ სიფილისით, როგორც რინალდს. მაგრამ ბოლოსდაბოლოს მოგკლავენ, ამაში დარწმუნებული იყავი. იჯექი და უცადე, შენც მოგკლავენ“.

ბრმა ბედისწერის პრობლემა განსაკუთრებულის სიმძლავრით აქვს გაშლილი ჰემინგუეის თავის ერთერთს საუკეთესო რომანში „მშვიდობით, იარაღო“. ავტორისთვის ეს წიგნი უაღრესად დამახასიათებელია.

რომანში ნაჩვენებია იტალიური არმიის ლეიტენანტის, ახალგაზრდა ამერიკელის, ფრედერიკ გენრის თავგადასავალი. ფონად აღებულია იმპერიალისტური ომი, 1916-1918 წლები. გეოგრაფიის მხრით — ფრონტი

*) ლუი სელინზე იხ. ჩემი წერილი „ლიტ. საქართველოში“ 1937 წ. № 5.

ავსტრიის და იტალიის საზღვარზე. ფრედერიკ გენრი პირველი პირით მოუთხრობს (დამახასიათებელი ხერხით ჰემინგუეის პროზისთვის) თავის ავტობიოგრაფიას.

ეს ავტობიოგრაფია არ შეიცავს განსაკუთრებულად საინტერესო, გარეგნული ეფექტებით მდიდარ ამბავს. როგორც ჩვეულებრივი ჯარისკაცი, ჩათრეული ამ უაზრო ომში, ფრედერიკ გენრიც დაჰყვება არმიის ნაწილს, რომელსაც უხდება შეტაკება მტერთან სხვადასხვა ადგილას. ომმა აუხილა მას თვალები — არავითარ აზრს და გამართლებას არ შეიცავს ის სისხლიანი ბრძოლები, რომლის მონაწილეც თვითონაა. გენრი არ მოუთხრობს ომზე. ამიტომ ბრძოლის სცენები რომანში თითქმის არ მოიპოვება, მაგრამ მკითხველი მას ხედავს იმ შედეგების მიხედვით, რომელსაც ომი სტოვებს გენრის ცხოვრებაში (ჭრილობა ფეხზე, მოწყვეტა ნაწილებიდან, თავშესაფარის ძიება შვეიცარიაში და სხვა). ფრედერიკ გენრი მარტოა. ყველანი—ფრონტის ამხანაგები, მღვდელი, მოწყალების დები, ჰოტელების პატრონები — მას ხვდებიან ისევე, როგორც ბილიარდის რგოლები ერთმანეთს: რაღაც გარეშე ძალის შემწეობით ეჯახებიან ისინი ერთმანეთს და შემდეგ შორდებიან. მთავარია მარტოობის გრძნობა, ომისგან გამოწვეული შიში, მაგრამ გენრი ცდილობს არ იფიქროს ამაზე. ეს ფიქრი რომანში ქვეტექსტის სახით მონაწილეობს. გენრის მიზანია დატკბობა იმ მცირეთი, რომელსაც ყოველდღიური ცხოვრება იძლევა მისთვის. ასეთია მაგ. ჭამა და სმა. არცერთი მწერლის რომანებში არ სჭამენ და სვამენ ისე ხშირად უმთავრესი მომქმედი პირნი, როგორც ჰემინგუეის რომანებში. ალკოჰოლი — ეს ერთგვარი თავშესაფარია, სადაც ადამიანები ივიწყებენ უმთავრესს — ნაძალადევ სიკვდილს. ფრედერიკ გენრი მოწმეა იმისა, თუ როგორ იღუპებიან ომში მისი ამხანაგები. ნაძალადევი სიკვდილი ყოველწუთს სიცოცხლის წართმევას უქადის მათ. ხვალინდელი დღე უზრუნველყოფილი არაა.

ფრედერიკ გენრი მოსწყდა თავის ნაწილს და დიდხანს დახეტიალობდა უპასპორტოდ, როგორც დეზერტირი. ბოლოს დაიჭერენ. სხვებთან ერთად ისიც გაჰყავთ დასახვრეტად. ეს ხდება მდინარის ახლოს, ღამით. ფრედერიკ გენრი ხელიდან ვაუსხლტება კარაბინერებს, რომელთაც ეს-ეს არის დახვრიტეს რამდენიმე გაქცეული და მდინარეში გადახტება. მდინარეს მიაქვს ფრედერიკ გენრი. ის ხედავს თავის წინ მორს, რომელიც მასთან ერთად მოგზაურობს წყალში. გენრი დაღლილია, ცალ ხელს ჩაავლებს მორს და ისინი — გადარჩენილი ჯარისკაცი და მორი — ერთად განაგრძობენ გზას. და ასე, — მორი, ადამიანი კი არა, მორი ეხმარება მას. ფრედერიკ ვენრის; ადამიანებს სურდათ მისი მოკვლა, მორი კი სიცოცხლეს უნარჩუნებს.

„მორი ნელა შემოტრიალდა ისე, რომ ნაპირი ჩემს უკან დარჩა და მე მივხვდი, რომ ჩვენ მოვექეცით მორიეში. ჩვენ ნელნელ ვბრუნავდით ადგილზე"... სიტყვა „ჩვენ" აქ შესანიშნავად გადმოგვცემს ავტორის მხატვრულ და იდეურ განზრახვას.

ფრედერიკ გენრის პიროვნებას კარგად ახასიათებს მისი დიალოგი გრაფ გრეფფისთან.

„— ჩვენ ახლა შევსვამთ მეორე ბოთლს და თქვენ მომიყვებით ომის შესახებ. — ის იცდიდა, სანამ მე დავჯდებოდი.

— ვილაპარაკოთ სხვა რამეზე, — ვსთქვი მე.

— თქვენ არ გინდათ ილაპარაკოთ ომზე? კარგი. რა წაიკითხეთ ამ ბოლო დროს?

— არაფერი, — ვსთქვი მე. — მეშინია, ძალიან არ გამოვყეყეჩდე.

— არა, მაგრამ უნდა იკითხოთ.

— რა დაიწერა ომის დროს?

— არის „Le Feu" ერთი ფრანგის, ბარბიუსისა. არის „მისტერ ბრიტლინგი ყველაფერს სჭვრეტს."

— ეს არაა მართალი.

— რა არის მართალი?

— ის არ სჭვრეტს ყველაფერს.

— მაშასადამე თქვენ რაღაც წაგიკითხავთ?

— დიაღ, მაგრამ კარგი არაფერი.

— მე მგონია, რომ „მისტერ ბრიტლინგში" ძალიან კარგად არის ნაჩვენები ინგლისური ბურჟუაზიის სული.

— მე არ ვიცი რა არის სული.

— საბრალო. არავინ არ იცის თუ რა არის სული. თქვენ crovant? (ფრ. მორწმუნე ხართ?).

— მხოლოდ ღამით.

გრაფმა გრეფფემ გაიღიმა და ჭიქა დაატრიალა თითებში.

— მე მეგონა, რომ სიბერეში მორწმუნე გავხდებოდი, მაგრამ რატომღაც ეს არ მოხდა, — სთქვა მან. — ძალიან ვწუხვარ.

— თქვენ გინდათ იცხოვროთ სიკვდილის შემდეგ? — ვკითხე მე და უმალვე მივხვდი, როგორი სისულელე იყო სიკვდილის გახსენება. მაგრამ ამ სიტყვას ის არ შეუკრთია.

— საქმეა როგორ იცხოვრებ. ეს ცხოვრება ძალზე სასიამოვნოა. მე მინდოდა მუდამ მეცხოვრა. — მან გაიღიმა.

— მე ეს თითქმის მოვახერხე.

ჩვენ ვიჯექით ტყავის ღრმა სავარძელში, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებული იყო ჭიქებითა და ვედროში ჩადგმული შამპანიურით მიფენილი მაგიდით.

— თუ თქვენ ჩემს ხნოვანებამდე მიაღწევთ, ბევრი რამ უცნაურად შოგეჩვენებათ.

— თქვენ არ ჰგევხართ მოხუცს.

— სხეული ბერდება. ხანდისხან მგონია, რომ შეიძლება თითი მომძვრეს ისე, როგორც წვერო ძვრება ცარცს. სული კი არ ბერდება, სიბრძნეც არ გვემატება.

— თქვენ ბრძენი ხართ.

— არა, ეს უდიდესი შეცდომაა: მოხუცების სიბრძნე! მოხუცებულნი ბრძენები არ არიან. ისინი მხოლოდ ფრთხილნი არიან.

— შეიძლება სიბრძნეც სწორედ ეს იყოს.

— ეს ძალიან არამიმზიდველი სიბრძნეა. რას აფასებთ ყველაზე მეტად?

— საყვარელ ქალს.

— მეც. ეს სიბრძნე არაა. ცხოვრებას აფასებთ?

— დიაღ.

— მეც, რადგან ეს ყველაფერია, რაც გამაჩნია. აგრეთვე დაბადების დღეებს, — გაიცინა მან. — ჩანს თქვენ უფრო ბრძენი ყოფილხართ, ვიდრე მე. დაბადების დღეს იხდით?

ორივემ მოვსვით ღვინო.

— ნამდვილად რას ფიქრობ ომზე? — ვკითხე.

— მე ვფიქრობ, რომ ის უგუნურებაა.

— ვინ მოიგებს მას?

— იტალიელები.

— რატომ?

— ისინი უფრო ახალგაზრდა ერია.

— განა ახალგაზრდა ერი ყოველთვის იგებს ომს?

— მათ ეს შეუძლიათ გარკვეულ პერიოდში.

— შემდეგ?

— ისინი ბებერ ერებად იქცევიან.

— თქვენ კიდევ იტყვით, რომ ბრძენი არა ვარო?

— ჩემო მშვენიერო, ეს სიბრძნე არაა. ეს ცინიზმია.

— მე ეს მიმაჩნია უდიდეს სიბრძნედ.“

ფრედერიკ გენრისთვის ცარიელ სიტყვად ისმის — „სული“. სიამოვნებით ეთანხმება გრაფს, რომ სიბრძნის ნამდვილი ნიშანი არის სიფრთხილე. რადგან ეს შველის ადამიანს — უფრო დიდხანს შეინარჩუნოს სიცოცხლე. რაც შეეხება „რელიგიურ გრძნობას“, ფრედერიკ გენრი ირონიულად არწმუნებს თავის მოსაუბრეს, რომ იგი მას „მხოლოდ ღამით ეწვევა“ ხოლმე.

მაგრამ ამ დიალოგში არის ერთი ადგილი, რომელიც ცხადყოფს, რომ გენრისთვის ყოველდღიური ინსტიქტების დაკმაყოფილების გარდა არსებობს კიდევ მნიშვნელოვანი და ძვირფასი რამ — საყვარელი ქალი. „მშვიდობით, იარაღოს“ ძირითადი სუჟეტური ქარგა ორთა სიყვარულს ეხება.

აღსანიშნავია ამ სასიყვარულო ისტორიის პირველი ეტაპი.

ფრედერიკ გენრი საკმაოდ თავშეკავებული ვაჟკაცი, შინაგანად განმარტოებული და ცინიკოსი ადამიანია და თითქოს წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო მისგან ამ გრძნობის მძაფრი განცდა. ახლადგაცნობილ შოტლანდიელ ქალთან თავდაპირველად მას მხოლოდ ფიზიოლოგიური ანგარიშები ჰქონდა:

„მე ვიცოდი, რომ არ მიყვარდა კეტრინ ბარკლი, და არ ვაპირებდი მის შეყვარებას. ეს იყო თამაში, როგორც ბრიჯის, მხოლოდ კარტის მაგიერ იყო სიტყვები. და როგორც ბრიჯის დროს, საჭირო იყო ისეთი სახის მიღება, თითქოს თამაშობ ფულზე ან სხვა რამეზე. იმაზე, რაზედაც ვთამაშობდი, კრინტიც არ დამიძრავს. დე, ასეც იყოს.

— საით წავიდეთ? — ვთქვი მე. როგორც ყოველ მამაკაცს, მეც მიძნელდებოდა დიდხანს ლაპარაკი სიყვარულზე ფეხზე დგომით“.

ფრედერიკ გენრი ბოლოსდაბოლოს შეიყვარებს ქალს თავდავიწყებით. მთელი მისი ცინიზმი იმსხვრევა ამ სიყვარულის ძალის წინაშე.

მაგრამ გენრის სიყვარული თავისებურია. ომის საშინელებამ იგი სავსებით განამარტოვა ადამიანებისაგან. ამიტომაც მთელი თავისი ძალით ცდილობს მუდმივ თანამგზავრად იყოლიოს ერთად-ერთი ადამიანი — კეტრინ ბარკლი. თავისი მხრით ქალიც ასეთივე სიყვარულით უპასუხებს მას. **გენრისა და ბარკლის ეკზალტიური სიყვარული არის ცდა მარტოობის დაძლევისა.** ისინი ყოველწუთს ეუბნებიან ურთიერთს სატრფიალო სიტყვებს, არწმუნებენ ურთიერთს, რომ მათი განშორება შეუძლებელია. როცა გენრი ეუბნება ქალს სიტყვას „შენთვის“, კეტრინი ამბობს:

— „არავითარი „ჩემთვის“ არ არსებობს. მე-იგივე **შენ** ვარ. **თუ** ხათრი გაქვს, ნუ იგონებ ცალკე **„ჩემს“.**

ახლა მოვუსმინოთ თვით ფრედერიკ გენრის; ქალი ეკითხება:

„— მაშასადამე არაფერი გაშფოთებს?

— მხოლოდ აზრი იმაზე, რომ შეუძლიათ ჩვენი გაოიშვა. შენ ჩემი რელიგია ხარ. შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის ამ ქვეყნად“.

ეს შეშფოთება არცერთ მათგანს არ შორდება. სადღაც ბნელში, ბედისწერის კანონები ემუქრებიან მათ სიხარულს და მკითხველი მთელი რომანის მანძილზე გრძნობს ამ გარეშე ძალის მონაწილეობას მათს ცხოვრებაში. შეყვარებულნი ეკვრიან ურთიერთს, რომანი გადაჭრელებულია სიტყვა-პასუხით „მიყვარხარ? — ძალიან!“

— „ჩვენ არასოდეს არ ვიცოდით მარტოობა და არასოდეს არ ვიცოდით შიში, როცა ერთად ვიყავით,“ — ამბობს ფრედერიკ გენრი. „შენთან ერთად ხომ ორნი ვართ ყველა დანარჩენის წინააღმდეგ. თუ რაშე ჩადგა ჩვენს შორის, — დავიღუპებით, ხელს გვტაცებენ! — ეუბნება გენრი კეტრინს. ასე განწირულად გრძნობენ თავიანთ თავს ისინი ადამიანთა შორის.

ერნესტ ჰემინგუეი შესანიშნავად გადმოგვცემს კატასტროფის წინაგრძნობას შემდეგი დიალოგით:

კეტრინი ამბობს:

„— გესმის — წვიმს!

— ძალიან წვიმს.

— მაგრამ შენ ხომ არასოდეს არ გადამიყვარებ?

— არა.

— და ეს არაფერია, რომ წვიმს?

— არაფერი.

— რა კარგია! თორემ მე წვიმის მეშინია!

— რატომ?

მეძინებოდა. სარკმელს გარედ ასხამდა წვიმა.

— არ ვიცი, გენაცვალე, მე ყოველთვის მეშინოდა წვიმის.

— მე მიყვარს წვიმა.

— მე მიყვარს სეირნობა წვიმაში. მაგრამ სიყვარულისთვის, ეს ცუდი ნიშანია.

— ყოველთვის მეყვარები.

— მე მეყვარები წვიმაში, ქარიშხალში და... კიდევ რა ხდება?

— არ ვიცი. რატომღაც მეძინება.

— დაწექი დასაძინებლად, გენაცვალე, მე მეყვარები, რაც უნდა მოხდეს.

— შენ მართლა გეშინია წვიმის?

— როცა შენთან ვარ — არა.

— რატომ გეშინია?

— არ ვიცი.

— სთქვი.

— ნუ მაიძულებ.

— სთქვი.

— ჰო, კარგი, მე მეშინია წვიმის იმიტომ, რომ ზოგჯერ ჩემს თავს მკვდარს ვხედავ მასში.

— რას ამბობ!

— მე ზოგჯერ შენც გხედავ მკვდარს.

— ეს კი უფრო ჰგავს მართალს.

— სრულიადაც არა, ჩემო კარგო. იმიტომ, რომ მე შემიძლია შენი შენახვა. ვიცი რომ შემიძლია. მაგრამ თავისთავს ვერაფერს უშველი".

სიკვდილი, ფატალური კანონები აშორებენ მათ ერთმანეთისგან: კეტრინი გადაჰყვება მშობიარობას. ოპერაცია იმსხვერპლებს ბავშვსაც.

უჩვეულო ოსტატობით აქვს გაკეთებული ჰემინგუეის რომანის ფინალი. ამ აზრის ცხადსაყოფად დაგვჭირდებოდა მთელი გვერდების ამოწერა. ავღნიშნავთ მხოლოდ ერთ დეტალს.

ფრედერიკ გენრი შედის საავადმყოფოში კეტრინის ცხედართან გამოსათხოვებლად. მოკლედაა აღნიშნული ფსიქოლოგიური მომენტი: „.... მე შავხვდი, რომ ეს საჭირო არ იყო. **ეს თითქოს ძეგლთან გამოთხოვება იყო.** ცოტა ხნის შემდეგ გამოვედი, დავეშვი კიბეზე და წავედი ჰოტელში წვიმის ქვეშ". გენრი ისევ უბრუნდება თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას. „ეს თითქოს ძეგლთან გამოთხოვება იყო!" — წინანდელი მეგობარი არ არსებობს. ფრედერიკ გენრი ისევ მარტოდ რჩება.

ჰემინგუეის მიერ შექმნილი ქვეყანა და იქ მომქმედი ადამიანები—ეს ომით, კაპიტალიზმის საშინელებით დაშინებული ადამიანების ქვეყანაა. ამ ქვეყანას, ავტორის აზრით, ბრმა ბედისწერა მართავს.

* * *

ერნესტ ჰემინგუეის დამოკიდებულებას საგნებსა და მოვლენებთან სავსებით შეეფერება ის სტილი, რომელიც ავტორს განზრახ აურჩევია. გარეგნულად ამ არაჩვეულებრივად მშვიდი და აუღელვებელი მწერლის თხრობის მანერაში არაფერია ეფექტური და თვალისმომჭრელი. ემოციის მხრით ჰემინგუეის რომანებში განდევნილია აღტაცება. ქვეყნის ოპტიკური ათვისების ადგილს იჭერს სმენა — მომქმედნი პირნი უმთავრესად ლაპარაკობენ. ფერების ნაცვლად — საგნების შიშველი რელიეფი.

ერნესტ ჰემინგუეი დიალოგის ნიჭიერი ოსტატია. ამის მაგალითები ზემოთაც იყო მოყვანილი. ადამიანები ყოველთვის უმნიშვნელო საგნებზე ლაპარაკობენ (ხშირად მთელი გვერდები ავსებულია ცალიერი დიალოგებით). ისინი ავტორს ჰგვანან, როდესაც ფიქრობენ, რომ აღარაა საჭირო საუბარი „მაღალ მატერიებზე". სინამდვილე თავისი ნატურალური უხეშობით — ამის იქით ისინი უკვე აღარ იხედებიან. ამიტომ სიტყვა და ფრაზა აღარ აფერადებენ სინამდვილეს, აღარ ფარავენ მას მოჩვენებითი სინათლით. ჰემინგუეი ის მხატვარია, რომელსაც მობეზრებია ნაძიები სტილი, ნაძიები მხატვრულობა.

საკმაოდ უწერიათ მის „სიმშრალეზე". მწერლის უპულსაციო თხრობას სათავეები აქვს ფლობერში. „მადამ ბოვარის" ავტორი უდიდესი ოსტატი იყო იმ კანონისა, როცა მწერალი ერთი ტონით მოუთხრობს ტრაგიკულისა და ჩვეულებრივის შესახებ (რუსეთის უახლოეს პროზაში ამ კანონს თავისებურად იყენებს ივან ბაბელი). ერნესტ ჰემინგუეის არ სურს რაიმე კანონზომიერების შეტანა მოვლენებში. ამიტომაც სჭარბობს მწერლის თხრობაში მანიაკალური განმეორებანი. თუ მკითხველმა ვერ მოსძებნა გასაღები ჰემინგუეის პროზის ქვეტექსტისა, მისი რომანები უსათუოდ ძნელად საკითხავი და მოსაწყენი აღმოჩნდებიან.

მკითხველი უნდა ატყობდეს, რომ ავტორი და მისი ადამიანები განზრახ სდუმან უმთავრესზე. საჭიროა კივილი, მაგრამ ამით არაფერი გამოვა. საჭიროა საუბარი არა ამაზე, უმთავრესზე, არამედ უმნიშვნელოზე. მაგ. საჭმელზე, ამინდზე და სხვ. მიუხედავად ამისა, ჰემინგუეი ზოგჯერ მაინც მიმართავს ფსიქოლოგიური დეპრესიის მხილებას (შესაძლებელია, უიმედობისა და შინაგანი განადგურების საერთო ფონის უფრო ხაზგასასმელად). მხოლოდ აქაც ავტორს ხატვის მთელი სიმძიმე გადაქვს სმენაზე, **„შინაგან მონოლოგზე"**.

აი როგორ გადმოგვცემს ერნესტ ჰემინგუეი ფრედერიკ გენრის სულიერ განწყობილებას კეტრინის სასიკვდილო აგონიის დროს.

„მე ვიჯექ კართან დერეფანში. მე არ ვფიქრობდი, არ შემეძლო მეფიქრა. ვიცოდი რომ ის მოკვდებოდა და ვლოცულობდი, რომ არ მომკვდარიყო. არ მოკვდეს. ნუ ინებებ, მოწყალეო უფალო, რომ ის მოკვდეს. მე ყველაფერს ვიზამ შენთვის, ოღონდ ის არ მოკვდეს, მე ყველაფერს ვიზამ შენთვის, ოღონდ ის არ მოკვდეს. ნუ იქმ, ნუ იქმ, ნუ იქმ, მოწყალეო უფალო, ნუ მოკვდება ის. მოწყალეო ღმერთო, ნუ მოკვდება ის. ნუ იქმ, ნუ იქმ, ნუ მოკვდება ის. უფალო, ჰქმენ ისე, რომ არ მოკვდეს. მე ყველაფერს ვიზამ, რასაც იტყვი, ოღონდაც ის ნუ მოკვდება. შენ მიიბარე ბავშვი, მაგრამ ის კი ნუ მოკვდება. ეს არაფერია, რომ შენ მიიბარე ბავშვი, მხოლოდ ის ნუ მოკვდება. ნუ იქმ, ნუ იქმ, მოწყალეო ღმერთო, ნუ მოკვდება ის.“

შინაგან მონოლოგს, რომელშიც ცნობიერების ქაოსი ასეთი განმეორებების გზით არის გამოხატული, ერნესტ ჰემინგუეი ხშირად მიმართავს.

*

* *

მოსალოდნელი იყო, რომ ერნესტ ჰემინგუეი, ბუნებით სკეპტიკოსი მწერალი, ბოლომდე შეინარჩუნებდა მაყურებლის როლს. მაგრამ მას არ შეეძლო გულგრილად ეცქირა იმ პროცესებისთვის, რომელნიც ამზადებდნენ მომავალ ომებს ევროპაში. ჰემინგუეი მოწმე გახდა ასეთი ომისა მისთვის საყვარელ ესპანეთში. მწერალმა დასტოვა ამერიკა და კორესპონდენტად წავიდა ესპანეთის ფრონტზე.

ერნესტ ჰემინგუეის ბევრი ასწავლა უცხოელების — გერმანელებისა და იტალიელების—ინტერვენციამ რაინდული ხალხის ქვეყანაში. ამჟამად ის თავის ენერგიულ ხმას უერთებს საერთო ანტიფაშისტურ მოძრაობას, რომელსაც მიემხრნენ ევროპისა და ამერიკის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. თუ მწერალი შენიშნავს იმ რეალურ ძალას — რევოლუციურ მასას — რომელმაც უნდა იხსნას ევროპა კატასტროფისაგან, შენიშნავს მომავალს და ამით დაიბრუნებს რწმენას ადამიანისადმი, სიხარულს ცხოვრებისას: ადამიანი კი, მიუხედავად მისი სკეპტიციზმისა, ერნესტ ჰემინგუეის შინაგანად მაინც ძლიერ უყვარს.

ერ. ასტვაცატუროვი

კომკავშირი და საბჭოთა ლიტერატურა

ლენინურ-სტალინური კომკავშირი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერი ახალგაზრდობის მოწინავე რაზმია. იგი შეჰქმნა ჩვენმა სახელოვანმა პარტიამ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებში, პოლიტიკურად გამოაწრთო და იდეურად აღზარდა სამოქალაქო ომისა და სიცალიზმის დიად ეპოქაში, თეთრგვარდიელებთან, უცხოეთის ინტერვენტებთან, შინაურ კონტრრევოლუციასთან, ყველაზე საზიზღარ მტრებთან — ტროცკისტ-ბუხარინელებთან შეურიგებელ ბრძოლასა და შეუპოვარ მუშაობაში. ერთ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენებისთვის, მეცნიერების დაუფლებისთვის, სოციალისტური კულტურის. ხელოვნებისა და ლიტერატურის შექმნისთვის, **ლენინმა** და **სტალინმა** კომუნისტურ კავშირში გამოსჭედეს ბოლშევიკური იდეურობა, სიმტკიცე, შეურიგებლობა, უანგარო საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწის სპეტაკი სული, და საკავშირო კომუნისტური (ბ) პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება.

სახელოვანმა კომკავშირმა სოციალისტური რევოლუციის მძიმე დღეებში და ყველა უბანზე ბრწყინვალედ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ ის არის ლენინ-სტალინის პარტიის უახლოესი თანაშემწე, მისი საქმისთვის თანამიმდევრულად მებრძოლი და მშრომელთა უსაყვარლესი ახალგაზრდობა. სამოქალაქო ომის წლებში, როცა თეთრგვარდიელთა ბანდები და უცხოეთის ინტერვენტები გამხეცებული უტევდნენ ნორჩ საბჭოთა ხელისუფლებას და ცდილობდნენ მის ჩახრჩობას საკუთარ სისხლში, არბევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას და ცეცხლითა და მახვილით ჰბუგავდნენ სოფლებსა და ქალაქებს, ყელებს სჭრიდნენ ბავშვებსა და ორსულ ქალებს, კომკავშირი თავისი რიგებიდან ათასობით გზავნიდა ფრონტებზე მამაც გმირებს სამშობლოს, თავისუფლებისა და მშობლების დასაცავად. სამოქალაქო ომის შემდეგ ლენინურ-სტალინური კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობით და პარტიასთან ერთად, დაძაბულ მუშაობას ეწეოდა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისთვის.

სოციალისტური რეკონსტრუქციისა და აღმშენებლობის სტალინურ ეპოქაში კომკავშირლები სასწაულებს ახდენდნენ ტექნიკისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროში, იძლეოდნენ პრაქტიკული შემოქმედებითი წვის იშვიათ მაგალითებს სოფლად და ქალაქად. კომკავშირი ყოველთვის დროულად ეხმაურებოდა და ეხმაურება პარტიის მოწოდებას, დიდი **სტალინის** მოწოდებას. კომკავშირმა აიტაცა სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის დროშა და სახალხო მოძრაობად აქცია ის ფაბრიკებში, ქარხნებში, მაღაროებში, ტრანსპორტზე, სოფლის სოციალისტური მეურნეობის მინდვრებზე. კომკავშირმა თავისი მგზნებარე რევოლუციური რომანტიზმითა და სოციალისტური პატრიოტიზმით პრაქტიკაში, მეცნიერებისა და ბოლშევიზმის დაუფლებით გაამდიდრა ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრების შინაარსი და შეუქმნა ფართო სარბიელი მის სულიერ გატაცებას.

ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილი კომკავშირი ყოველთვის კვალდაკვალ მისდევდა პარტიასა და განუხრელად ანხორციელებდა თავისი დიდი მასწავლებლების მითითებას.

რუსეთის კომკავშირის მესამე ყრილობაზე 1920 წელს ვლადიმერ ილიჩი ეუბნებოდა კომკავშირს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას, რომ:

„იმ თაობას, რომლის წარმომადგენლები დღეს დაახლოებით ორმოცდაათი წლის არიან, არ შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას. ეს თაობა მანამდე გადავა.

ხოლო ის თაობა, რომელსაც დღეს 15 წელი უსრულდება, მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას და თვითონ იქნება მისი მშენებელი. და მან უნდა იცოდეს, რომ მისი ცხოვრების მთელი დანიშნულება — სწორედ ამ საზოგადოების მშენებლობაა“.

„მხოლოდ მაშინ, — ამბობდა ამხანაგი ლენინი, — თუ იგი ყოველ თავის ნაბიჯს ამ მშენებლობის წარმატების თვალსაზრისით შეხედავს და შეეკითხება თავისთავს: გავაკეთეთ თუ არა ჩვენ ყველაფერი, რომ ვიყოთ შეკავშირებული შეგნებული მშრომელები, მხოლოდ ამ ხანგრძლივ პროცესში შეასრულებს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი იმას, რომ იგი ნახევარ მილიონ თავის წევრთაგან შრომის ერთს მთლიან არმიას შექმნის და მით საყოველთაო პატივისცემას აღძრავს თავის თავისადმი“.

— დიდი მასწავლებლის ეს იმედი ბრწყინვალედ გაამართლა საკავშირო ლენინურმა კომკავშირმა. მან არა მარტო ნახევარ მილიონ წევრთაგან, რასაც ითვლიდა რუსეთის კომკავშირი მაშინ, არამედ თავის რიგებში გაერთიანებულ ხუთ მილიონზე მეტი მოწინავე ახალგაზრდობისაგან შექმნა შრომის ერთი მთლიანი არმია და თავისი სასახელო მოღვაწეობით დაიმსახურა პარტიისა და ხალხის საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული.

ამ დიდი და საპატიო მოღვაწეობისთვის საკავშირო ლენინური კომკავშირის მკერდს ორი ორდენი ამშვენებს.

განვლილი ოცი წლის მანძილზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომკავშირმა შესანიშნავი ფურცლები ჩასწერა სოციალიზმის გამარჯვების ისტორიაში საერთოდ, მაგრამ ჩვენ ამ წერილში გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროდ კონკრეტულად იმ როლზე, რომელიც ითამაშა კომკავშირმა, კერძოდ საქართველოს კომკავშირმა, საბჭოთა მწერლობის განვითარების საქმეში.

კულტურა და მწერლობა კომკავშირის მუშაობაში ერთერთი ისეთი მთავარი უბანი იყო, რომელსაც ის ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. კომკავშირს ლენინისა და სტალინის მიერ დაკისრებული ჰქონდა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა, მისი აზროვნების ჰორიზონტის გაფართოება, ცოდნისა და კულტურის ამაღლება. ამ საქმეში უდიდესი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მხატვრულ მწერლობას. ეს კარგად ესმოდა კომკავშირს და საბჭოთა ლიტერატურას, პროლეტარული კულტურის მიღწევებს იყენებდა ახალგაზრდობის იდეური და მხატვრული აღზრდისთვის. კომკავშირი დიდ მნიშვნელობას აძლევდა რა მხატვრულ სიტყვას, უშუალოდ, პრაქტიკულად მონაწილეობდა სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის შექმნაში, თავის რიგებიდან იგი გამოჰყოფდა საუკეთესო კადრებს და აძლევდა მწერლობას.

კომკავშირულმა თაობამ ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებაში მეტად თვალსაჩინო როლი შეასრულა. პროლეტარულ მწერლობაში იდეურად და მხატვრულად წამყვან ბირთვს თითქმის ყოველთვის კომკავშირის რიგებიდან გამოსული მწერლები შეადგენდნენ. ისინი იძლეოდნენ პოეზიისა და პროზის პოლიტიკურად მახვილ და მხატვრულად მაღალხარისხოვან პროდუქციას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თითქმის პირველი ათეული წლის მანძილზე ძველი ლიტერატურული ძალები, რომლებიც წარსულში წვრილ-ბურჟუაზიულ რომანტიკულ, სიმბოლისტურ და სხვა ლიტერატურულ „სკოლებს“ ეკუთვნოდნენ, ინდიფერენტულად იყვნენ განწყობილი ახალ სოციალურ და ისტორიულ მოვლენებთან, ბევრი მათგანი პირდაპირ ააშკარავებდა თავის მტრულ დამოკიდებულებას სოციალისტური რევოლუციასადმი, ან სრულიად სდუმდა, ან იდეურად მიუღებელ ნაწარმოებებს ჰქმნიდა, ნაწილი შენიღბულად მოქშედებდა და მტრულ საქმეს აკეთებდა. ამ ნაწილის პოეტური ხმა გაბზარული და ყალბი ტონისა იყო. არ ემჩნეოდა გულწრფელობა და ამიტომ მათ მიერ რევერანსებით დაწერილ ნაწარმოებებს აკლდათ გრძნობა და სიღრმე, სითბო და იდეურობა. ძველ მწერალთა ერთი ნაწილი დადგა თავიდანვე შეგნებულად და მტკიცედ სოციალისტური რევოლუციის საფუძველზე და გულწრფელად მონაწილეობდა ახალი კულტურისა და ლიტერატურის მშენებლობაში. ამ მწერლებმა უდაოდ დიდი როლი შეასრულეს მაღალი მხატვრული საბჭოთა ლიტერატურის შექმნაში.

ნიჭიერი ახალგაზრდების ერთი ნაწილი „ლეფურ.“ სენით იყო შეპყრობილი და პარტიას საკმაო ბრძოლა დასჭირდა იმისთვის, რომ ეს ახალგაზრდობა გამოესხნა „ლეფური“ ბრჭყალებიდან და დაეყენებინა სწორ შემოქმედებით გზაზე, მოექცია საბჭოთა ლიტერატურული მოძრაობის დიდ ორბიტაში.

ამ პერიოდში (და შემდეგაც, როგორც ქვევით დავინახავთ) პროლეტარულმა მწერლობამ დიდი როლი შეასრულა რევოლუციური მხატვრული სიტყვის, პოეტური ხასიათებისა და რიტმის შექმნის საქმეში. ძლიერი და არსებითი იყო ამ მწერალთა იდეური-მხატვრული ზემოქმედება მკითხველთა ფართო მასაზე. და უნდა ითქვას, რომ პროლეტარული მწერლობის მთავარ შემოქმედებით ძალას, რომელსაც გააჩნდა ფართო შემოქმედებითი პერსპექტივა, უნარი და შინაგანი რესურსები, შეადგენდა ახალგაზრდობა, რომელსაც პარტია უმთავრესად კომკავშირის რიგებში ზრდიდა. მაგრამ კომკავშირი თავისი სახელოვანი არსებობის მთელს მანძილზე არასოდეს არ ყოფილა კარჩაკეტილი, მას მუშაობა ახალგაზრდობის აღზრდისთვის არასოდეს არ შემოუფარგლავს მხოლოდ თავისი წევრების აღზრდით. პროლეტარულ მწერალთა რიგებში ყოველთვის იყვნენ არაკომკავშირელი ნიჭიერი ახალგაზრდები. ეს ახალგაზრდები კომკავშირულ გარემოცვაში იმსჭვალებოდნენ რევოლუციის სულით, პარტია და კომკავშირი ზრდიდა მათ იდეურად.

საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ ახალგარზდობას (აქ ჩვენ გვინდა ვიგულისხმოთ აგრეთვე „ლეფის“ გავლენისგან გათავისუფლებული ნიჭიერი მწერლები, კერძოდ „ლეფის“ დაშლის შემდეგ) თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და წამყვან ძალას წარმოადგენდა საბჭოთა მწერლობაში, შემდეგაც, როცა სხვადასხვა ლიტერატურული „სკოლისა“ და „მიმდინარეობის“ მოწინავე მწერლებმა დაიწყეს იდეური გადაიარაღება და აქტიური მონაწილეობის მიღება საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის შექმნაში.

პროლეტარულ მწერლობაში საბჭოთა პერიოდის ახალგაზრდობა გამოირჩეოდა მაღალი რევოლუციური პათოსით, მხატვრული ოსტატობით, პოეტური კულტურითა და მოვლენათა მხატვრული გააზრების დიაპაზონით.

ქართული პროლეტარული ლიტერატურის რევოლუციამდელმა თაობამ ერთგვარი დადებითი როლი შეასრულა რევოლუციის წინა პერიოდში მასების რევოლუციური განწყობილების გამოხატვით. აღნიშნულ მწერალთა შემოქმედებას სოციალისტურ რევოლუციამდე მით უფრო არსებითი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ რეაქციის შემდეგ ქართულ ლიტერატურაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი მისტიციზმმა, ყალბმა რომანტიკამ და სიმბოლიზმის ყველაზე მახინჯმა ფორმამ. პროლეტარული მწერლები დაკავშირებული იყვნენ პროლეტარიატის მოწინავე ნაწილთან და ცდილობდნენ გამოესახათ თავიანთ ლექსებში მისი სულიერი მისწრაფებანი.

მაგრამ ისტორიული სიმართლე მოითხოვს ავღნიშნოთ, რომ ამ თაობის მწერლებმა ვერ შესძლეს სათანადო კვალი დაემჩნიათ თავიანთი მოღვაწეობის პერიოდის ლიტერატურაზე, გაევრცელებინათ ამ უკანასკნელზე თავიანთი მხატვრული გავლენა. ასეთი დიდი როლის შესრულება მათ არ შეეძლოთ, იმიტომ, რომ ისინი მხატვრულ სიტყვას, პოეზიას უყურებდნენ, როგორც საკუთარ განწყობილებათა უბრალო პოეტურ ფორმაში გამოსახვის საშუალებას და არა, როგორც მოვლენათა და იდეათა პოეტური აზრების, ანალიზის მაღალ მხატვრულ სინთეზს. მათი ლექსის ფორმა თავისი მხატვრული ღირსებით დაბლა იდგა არა მარტო თავისი დროის პოეტურ კულტურაზე, არამედ თვით მუშათა კლასის კულტურის დონესა და მხატვრულ გემოვნებაზე.

ამ მწერლების შემოქმედებაში შინაარსი, აზრი შიშვლად იყო წარმოდგენილი, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ისინი ნაწარმოების მხატვრულ სრულყოფას და შინაარსობრივ მრავალფეროვნებას, თავიანთ ლექსებში მისდევდნენ მოვლენათა გარეგან ჭვრეტას, ყველაფერს ხატავდნენ უშუალოდ, ამ სიტყვის პუბლიცისტური მნიშვნელობით. ამის შედეგად შეუმუშავდათ მათ სტანდარტული სიტყვიერი ლექსიკონი და ღარიბი რიტმიული მარაგი.

მხატვრულ აზროვნებაში ეს ისეთი ხასიათის ნაკლოვანებები იყო, რომელთა დაძლევის გარეშე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო დიდი მნიშვნელობისა და გავლენის მხატვრული ნაწარმოების შექმნაზე. ამიტომ შეუძლებელია ლაპარაკი ამ მწერალთა შემოქმედების დიდი გავლენის შესახებ ლიტერატურულ საზოგადოებრიობაზე და მათი შემოქმედებითი გავლენით ჩვენ ლიტერატურაში მწერალთა ახალი კადრების გამოსვლაზე.

რით უნდა აიხსნას ამ მწერლების ნაკლები გავლენა ლიტერატურულ საზოგადოებრივობაზე. მწერლობაზე. სად უნდა ვეძიოთ ამის სათავე?

ეს უნდა აიხსნას იმით, რომ ისინი თავიანთ მხატვრულ აზროვნებას არ ამდიდრებდნენ კლასიკური მემკვიდრეობის მიღწევებით და პროლეტარული ლიტერატურის შექმნის საქმე ძალიან იოლად ჰქონდათ წარმოდგენილი. ჩვენის აზრით ისინი ვერ ითვალისწინებდნენ, რომ „პროლეტარული კულტურა არ წარმოადგენს საიდანღაც გამოვარდნილ რაშეს, იგი არ არის იმ ადამიანთა გამოგონება. რომელნიც თავისთავს სპეციალისტებად თვლიან პროლეტარული კულტურის დარგში. ეს თავიდან ბოლომდე ლაყბობაა. პროლეტარული კულტურა ბუნებრივი და კანონზომიერი შედეგი უნდა იყოს იმ საერთო ცოდნის განვითარებისა, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მეშამულური საზოგადოების, ჩინოვნიკური საზოგადოების უღელ ქვეშ“.[1])

ნამდვილი პროლეტარული ლიტერატურის სათავეები, სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის სათავეები შეჰქმნა დიდმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ. ამას გორკიმ მიაღწია იმით, რომ

---

[1]) ლენინი, თხ. ტ. XXX.

მან თავის შემოქმედებაში გააერთიანა მთელი კულტურული მემკვიდრეობა და ის ახალ იდეურ და მხატვრულ სიმაღლეზე აიყვანა. გორკის ყოველი ნაწარმოების რევოლუციურ შინაარსთან ერთად მკითხველს აჯადოებდა და აჯადოებს მისი ფორმის ბრწყინვალება. ამიტომ იყო, რომ გორკი თავიდანვე ჯადოქრულ გავლენას ახდენდა მკითხველზე ქვეყნის ყველა კუთხეში და, მხოლოდ მან შესძლო დასაწყისი მიეცა მსოფლიო. პროლეტარული ლიტერატურისთვის. გორკიმ და მისმა გავლენამ აღზარდა პროლეტარულ მწერალთა მთელი თაობა.

გორკის მაგალითი ჩვენ შეგნებულად გავიხსენეთ იმისთვის, რომ ნათელგვეყო თუ რა უზარმაზარი შინაარსია მოთავსებული ნამდვილი. პროლეტარული ლიტერატურის ცნებაში და, რომ უფრო აშკარა გაგვეხადა ჩვენი პროლეტარული მწერლობის პირველი თაობის ჩამორჩენის, მისი სისუსტის მიზეზები.

პროლეტარული მწერლების პირველმა თაობამ რევოლუციის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც გაჩნდნენ პროლეტარულ მწერალთა ახალგაზრდა ნიჭიერი, მხატვრული ერუდიციისა და შემოქმედებითი ძალის მქონე კადრები, როცა სხვადასხვა ლიტერატურული „სკოლის“ და „მიმდინარეობის“ საუკეთესო წარმომადგენელებმა დაიწყეს იდეური გადაიარაღება და აქტიური მონაწილეობის მიღება დიდი საბჭოთა ლიტერატურის შექმნის საქმეში, იგრძნეს, რომ საჭიროა ბრძოლა მხატვრული სიტყვის ოტატობისთვის, რომ საჭიროა ამ გზაზე სიძნელეთა გადალახვა.

მაგრამ ამ პერიოდში უკვე ახალგაზრდა ძალებმა მოიპოვეს საკმაო მხატვრული რეზონანსი. ახალგაზრდობა გამოირჩევა მომავლის პერსპექტივით, მხატვრული ოსტატობით და პოეტური სულით.

ეს ახალგაზრდები არიან ალიო მაშაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, ე. პოლუმორდვინოვი, ირ. აბაშიძე, კ. ბობოხიძე, გ. კაჭახიძე, ალ. გომიაშვილი, გრ. აბაშიძე, კრიტიკოსებიდან შ. რადიანი, დ. ბენაშვილი, გ. ნატროშვილი და სხვა. უკანასკნელად ყურადღებას იპყრობენ აგრეთვე „ჩვენი თაობის“ ირგვლივ შეკრებილი ნიჭიერი ახალგაზრდებიც.

ყველა ესენი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ საქართველოს კომკავშირის იდეური და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ქვეშ, იბეჭდებოდნენ კომკავშირული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

მთელი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ზრდასა და გამტკიცებასთან ერთად ლიტერატურული ახალგაზრდობა იზრდებოდა და მტკიცდებოდა იდეურად და შემოქმედებით, ჰქმნიდა თავის დამოუკიდებელ სახეს და თავის ადგილს იჭერდა ჩვენს მწერლობაში.

ვერ ვიტყვით, რომ ლიტერატურული ახალგაზრდების შემოქმედებითი გზა თავიდან ბოლომდე სწორხაზოვანი და უშეცდომო იყო. მაგრამ მათი მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობდა. რომ ისინი წარმატებით. სძლევდნენ შეცდომებს და ჰქმნიდნენ იდეოლოგიურად მისაღებ და მხატვრულად გამართულ ახალ-ახალ ნაწარმოებებს.

ალიო მაშაშვილი ჩვენი ახალგაზრდობის ერთერთი საყვარელი პოეტია. მან კომკავშირისა და მთელი მკითხველის სიყვარული დაიმსახურა მხურვალე გრძნობით, გულწრფელი ამღერებით, პათოსით და მაღალი განცდებით. პოეტმა ლიტერატურული საზოგადებრივობის ყურადღება პირველ ლექსებითვე მიიპყრო, როგორც ნიჭიერმა და დიდი შესაძლებლობის მქონემ. მაშაშვილის ლექსები და პოემები საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშებად ითვლებიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა „მე და ბარათაშვილი", ლექსები ლენინზე, სტალინზე, სამშობლოზე, კომკავშირზე, კერძოდ — უკანასკნელი პოემა „ენგური". ამ პოემაში თავმოყრილია მწერლის მთელი პოეტური ძალა, ოსტატობა. პეიზაჟისა და ცხოვრების პანორამული სურათების ხატვის დიდი ნიჭი. დასახელებული ლექსები და „ენგური" ჩვენი საბჭოთა პოეზიის საერთო მიღწევას წარმოადგენენ.

კ. ლორთქიფანიძემ მწერლობა დაიწყო ლექსებით. როგორც პოეტი ლორთქიფანიძე საინტერესო იყო თავისი განწყობილებითი ემოციურობით. კონ. ლორთქიფანიძემ უფრო დიდი მხატვრული ძალა პროზაში დაგვანახვა. მისი საინტერესო პროზაული ნაწარმოებებია: „პირველი დედა", „ახალი გლეხები", „იმერეთი", „ბელორუსული მოთხრობები" და სხვა. ამ მოთხრობებში საქმე გვაქვს ტიპების საინტერესო ხატვასთან, და მოვლენათა რეალისტურ გააზრებასთან, მხატვრული სიტუაციებისა და სინამდვილის კანონზომიერ შეერთებასთან.

კ. კალაძე ჩვენის აზრით მნიშვნელოვანია უფრო ლექსის ტექნიკით, სტროფის გამართვით, ლექსში, პოემაში ლოგიკური თანამიმდევრობის დაცვით და მოქმედებითი სიტუაციების დამაჯერებელი, ფსიქოლოგიურად გამართლებული გადმოცემით.

ალიო მაშაშვილი და კარლო კალაძე ცნობილნი არიან აგრეთვე, როგორც დრამატურგები.

ასევე საინტერესონი არიან თავიანთი ინტენსიური შემოქმედებითი შუშაობით მომდევნო ახალგაზრდა მწერლები: ე. პოლუმორდვინოვი, ირ. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ალ. გომიაშვილი, კ. ბობოხიძე, გრ. აბაშიძე, ბ. ჩხეიძე, ალ. ადამია, არ. ჩაჩიბაია. მათ საბჭოთა ლიტერატურას შესძინეს ბევრი კარგი პროზაული და პოეტური ნაწარმოებები. ირ. აბაშიძემ განავითარა პოლიტიკური ლირიკის ხაზი და მოგვცა იდეურად გამართლებული და პოლიტიკურად მახვილი აქტუალური ლექსები. გ. კაჭახიძის და კ. ბობოხიძის ლექსებისთვის დამახასიათებელია უფრო ყოფითი ლირიკული განწყობილებანი. ალ. გომიაშვილმა ახალგაზრდათა პოეზიაში მთის რიტმი შეიტანა, განახლებული მთის თემატიკა აქცია საბჭოთა პოეზიის საერთო თემატიკის ბუნებრივ და ორგანიულ ნაწილად და აღებული კონკრეტული თემები იდეურად სწორ მხატვრულ სახეებში მოგვცა. გრ. აბაშიძეს აქვს ნიჭიერად დაწერილი ლირიკული ლექსები, მხოლოდ მისი უკანასკნელი პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული" ერთერთი კარგი ეპიური ნაწარმოებია უკანასკნელი წლების ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

მოკლე დროის განმავლობაში ჩვენი პოეზია საუკეთესო ლექსებით გაამდიდრა აგრეთვე „ჩვენი თაობის“ გარშემო შემოკრებილმა ლიტერატურული ახალგაზრდობის ნიჭიერმა წარმომადგენლებმა.

მაგრამ არ გვექნება ნათელი წარმოდგენა საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე, თუ არ გავიხსენეთ საბჭოთა პერიოდის ის ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც პირველად მოქცეული იყვნენ უცხო იდეურ გავლენაში და გაიარეს რთული იდეურ-შემოქმედებითი ტკივილების პერიოდი. ეს მწერლები პარტიისა და სოციალიზმის ძლევამოსილ გამარჯვებათა ზემოქმედებით იდეურად გადაიარაღდნენ, შესცვალეს თავიანთი შემოქმედებითი გზა და საინტერესო საბჭოთა მწერლებად შეიქმნენ. ასეთთა რიცხვს ეკუთვნიან პირველ რიგში პოეტი სიმონ ჩიქოვანი, ბელეტრისტი დემნა შენგელაია, შემდეგ ვ. გაბესკირია და სხვა.

სიმ. ჩიქოვანს პოეტურ ძალასთან ერთად აქვს ფართო მხატვრული ხედვა. ყოველ მის ლექსს ამჩნევია აზროვნების კვალი. ჩიქოვანის მხატვრულ პოტენციაში დიდი ხვედრითი წონა აქვს გონებრივ მომენტს. პოეტი ყურადღებას იქცევს არა პლასტიკური სახეებით, არამედ უმთავრესად შედარებებით. ს. ჩიქოვანს, ალ. მაშაშვილის მსგავსად, ეხერხება პანორამული სურათების ხატვა.

დ. შენგელაია საბჭოთა პროზის ერთერთი ნიჭიერი და თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის ნაწარმოებებს მოწინავე ადგილი უჭირავს თანამედროვე პროზაში, განსაკუთრებით კარგია „ბათა ქექია“ და „ყრმობა“. ეს უკანასკნელი ახლა იბეჭდება. „ყრმობაში“ ავტორი ახერხებს აგრძნობინოს მკითხველს აღებული ეპოქის ისტორიული სიმართლე, დამაჯერებელ ფსიქოლოგიურ ხაზებში უჩვენოს წარსულის ცოცხალი ადამიანები და რეალური სიტუაციები. რომანი ძლიერია მხატვრულად და გამოკვეთილი სახეებით. მასში მოცემულია დიდი სტალინის ბავშვობის წლები, მისი მშობლების ოჯახი და ხასიათები.

უკანასკნელ წლებში პოეტმა ვიქ. გაბესკირიამ არაჩვეულებრივად გააძლიერა შემოქმედებითი აქტივობა. ახალ ლექსებში ის არის ჯანსაღი საბჭოთა პოეტი, რომელსაც აქვს საკმაო ლირიკული განცდა და უშუალობა.

მთელი ეს ლიტერატურული ახალგაზრდობა აღზრდილია მშობლიური პარტიისა და კომკავშირის მიერ. ეს ლიტერატურული ახალგაზრდობა წარმოადგენს საბჭოთა მწერლობის წამყვან ძალას.

2.

ლენინურმა კომკავშირმა დიდი დახმარება გაუწია პარტიას აგრეთვე ლიტერატურული ფრონტის კლასობრივი მტრების გავლენისგან გაწმენდის საქმეში. კომკავშირი გვერდში უდგა პარტიას ფაშიზმის საზიზღარი აგენტების, ტროცკისტ-ბუხარინელი არამზადებისა და ავერბახოვ — შჩინის წინააღმდეგ ბრძოლაში. კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობით

სისტემატურ ბრძოლას აწარმოებდა კლასობრივად უცხო იდეოლოგიისა და უცხო ელემენტების წინააღმდეგ ლიტერატურაში, ხელოვნების ყველა ფრონტზე.

ტროცკისტულ-ბუხარინელი ნაძირალები მთელი რიგი წლების მანძილზე შენიღბული მოქმედებდნენ და შეგნებულად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისთვის. ისინი ცდილობდნენ შეეფერხებიათ არა მარტო ახალი ნიჭიერი კადრების გამოყვანა მწერლობაში, არამედ ხელი შეეშალათ აგრეთვე ძველი მწერლების იდეურ გადაიარაღების საქმისთვის, ხალხის ეს დაუძინებელი მტრები შეგნებულად უარჰყოფდნენ მწერალთა ძველი კადრების მნიშვნელობას სოციალისტური ლიტერატურის შექმნის საქმეში, ჯგუფურ ინტერესებისთვის და მავნებლური მიზნით თავიანთ გარშემო იკრებდნენ უნიჭო მწერლებს და „წამყვანებად“ ასაღებდნენ. აყენებდნენ და იცავდნენ მავნე თეორიებსა და ვითომდა შემოქმედებით ლოზუნგებს. ცოტა ზიანი კი არ მოუტანია საბჭოთა მწერლობის განვითარების საქმეს ავერბახელთა მავნე ლოზუნგმა — „მტერი ან მოკავშირე“.

ლენინურმა კომკავშირმა პარტიას მათთან ბრძოლის საქმეში დიდი სამსახური გაუწია, იგი სისტემატურად ააშკარავებდა და თავისი პრესის ფურცლებზე სასტიკად ურტყამდა მათ, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს უშლიდნენ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეს. ამ ბრძოლის ისტორიაში მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა საკავშირო ლენინური კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა ორგანომ გაზ. „კომსომოლსკაია პრავდამ“.

ასევე დიდია საქართველოს კომკავშირის დამსახურებაც. საქართველოს კომკავშირი ეხმარებოდა პარტიას მავნე ლიტერატურულ დაჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი ეხმარებოდა პარტიას საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობაში მოკალათებულ მავნებლების, ტროცკისტული ნაძირალების გამოააშკარავებაში, განადგურებაში და ამით გზას უწმენდდა ნიჭიერ ახალგაზრდობას მწერლობაში გამოსასვლელად და შემოქმედებითი ძალის გასაფურჩქვნელად.

ტროცკისტ-ბუხარინელი ნაძირალების გაწმენდამ ლიტერატურის ასპარეზიდან ხელი შეუწყო და დააჩქარა საბჭოთა ლიტერატურის განვითარება, მისი საუკეთესო ძალების კონსოლიდაცია და შემოქმედებითი აღმავლობა.

კომკავშირის ოცი წლისთავი, რომლისთვისაც ემზადება მთელი ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა, კიდევ უფრო გაზრდის საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი აქტივობას და ენტუზიაზმს.